

178
1975



სახკრთა 29 სამართალი

178

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1975

1



საბჭოთა სამართალი

№ 1

1975 წელი
იანვარი-თებერვალი.

მუხრანლი გამომცემის 1976 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური მუხრანლი

შინაარსი

საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკთა აქტივის კრება	3
იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება	3
მ. უგრეხელიძე — დაუდევრობის დროს მორალური ბრალის დასაბუთებისათვის	5
ი. ზუბოვი, მ. ლენაუ — მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი საკითხი	13
გ. მისკარიანი — მსობლებსა და შვილებს მორის უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები	18
ბ. ხაჯანელი — პროფ. გ. ნანეიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხისათვის	25
გ. მეგრელიძე — საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის როლი დამნაშავეობის პროფილაქტიკაში	30
ა. უფენი — სამართლებრივი პრობლემების ქმედითობისათვის	37

18799

პროფ. თ. წარეთლის საიუბილეოდ

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე	40
ოფიციალური მასალა	54

პრიტიკა და გიგლიოგრაფია

თ. ენუჭიძე — „ქართული სამართლის ძეგლების“ გამოცემის გამო	74
--	----

მოკონფერენციები

ა. ნუფუბიძე — მებრძოლი სულისკვეთების ადამიანი	86
აობიტრაჟის პრაქტიკა	89
ინფორმაცია	92



СОДЕРЖАНИЕ

Собрание актива работников Прокуратуры Грузинской ССР 3
 Собрание республиканского актива работников юстиции и судебных органов 3
 М. Угрехелидзе — К обоснованию моральной вины при небрежности 5
 И. Зубов, М. Ленуа — Некоторые вопросы борьбы со взяточничеством 13
 Е. Мискарян — Основания возникновения взаимных прав и обязанностей между детьми и родителями 18
 Б. Саванели—К вопросу об изучении научного наследия проф. Г. Нанеишвили 25
 Г. Мегрелишвили — Роль института общественного мнения в профилактике преступности 30
 А. Жгенти — О действенности правовой пропаганды 37

К ЮБИЛЕЮ ПРОФ. Т. ЦЕРЕТЕЛИ

Ученый и общественный деятель 40

ОФИЦИАЛЬНЫЙ МАТЕРИАЛ 54

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Т. Енукидзе — По поводу издания «Памятников грузинского права» 74

ВОСПОМИНАНИЯ

А. Нуцубидзе — Человек с душой борца 86
 Арбитражная практика 89
 Информация 92



სარედაქციო კოლეგია

შეგვ. № 789
 ტირაჟი 20.850
 შე 00267

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩაია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1975 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. 103.

გადაეცა წარმოებას 20/II-1975 წ., ხელმოწერილია დასაბუქდალ 21/III-1975 წ., ქალაქის ზომა 70×1081/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვკვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკთა აქტივის კრება

გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკთა აქტივის კრება. მოხსენებით — რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაობის 1974 წლის შედეგები და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით სოციალისტური კანონიერებისა და მართწესრიგის შემდგომი განმტკიცების ამოცანები — გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ტაპიძე.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის სსრ პროკურორი მ. არღუნი, აჭარის ასსრ პროკურორი ბ. ბორჩხაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი ზ. კვიციანიძე, ქალაქ თბილისის პროკურორი მ. რაზმაძე, ქალაქ ქუთაისის პროკურორი ა. ბარბაქაძე, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი მ. ასიმეშილი, ცხაკაიის რაიონის პროკურორი რ. შირცხალაძე, სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრი, საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ი. ჩირმენსკი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. გვამბაძე, საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე მ. ძურღაძე, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ა. შუმანაშვილი.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ჯავახიშვილმა.

მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგემ ა. მანგლაშვილმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა მ. ბაბუნიაშვილმა.

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება

საქართველოს სსრ იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრებამ, რომელიც ამასწინათ გაიმართა, განიხილა იუსტიციის დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოების გასული წლის მუშაობის შედეგები და ამოცანები, რომლებიც მათ წინაშეა დასახული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შესაბამისად.

აქტივის კრებაზე მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. შავგულიძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე შ. ლაპოტაძე, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრმა დ. ბაქალიძემ, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო აღმასკომის იუსტიციის განყოფილების გამგემ ნ. ბაბლიძემ, ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს

მოსამართლემ მ. შვანიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორმა ნ. წამრთელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ლ. ჩორბოლაშვილმა, ადვოკატმა ნ. მსიპოშვილმა, ქალაქ ქუთაისის პირველი სანოტო კანტორის უფროსმა ნოტარიუსმა ბ. კოხრეიძემ, საქართველოს სსრ პროკურატორის პირველმა მოადგილემ ლ. თალაქაძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსმა ე. მმტრეშვილმა, მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კობახიძემ.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვეს სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. სუხარეშიძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩირქიძემ.

მიღებულ რეზოლუციაში დასახულია ღონისძიებანი იუსტიციის დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაბაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. მანუშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ბ. ბაბუნიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კვიციანი.

* * *

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების აქტივის კრების, აგრეთვე იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა აქტივის კრების ვრცელი ანგარიშები გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომერში.

დაუღვერობის დროს მორალური ბრალის დასაბუთებისათვის

მ. შვრახელიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საზოგადოებრივად საშიში ქცევის დასჯადობისათვის მორალური ბრალის არსებობა ერთ-ერთი აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი პირობაა. დაუღვერობით ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის დროს აღნიშნული მომენტის დასაბუთება განსაკუთრებით რთულია. ფილოსოფიის, ეთიკისა და სამართალმცოდნეობის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იყო არა ერთი ცდა დაუღვერობის დროს მორალური ბრალის დასაბუთებისა. მაგრამ ვერც ერთმა მეცნიერმა, რომელიც შეეცადა პრობლემა გადაეწყვიტა მეტაფიზიკური ფილოსოფიის საფუძველზე, ვერ შეძლო რაციონალურად დაესაბუთებინა ზნეობრივი ბრალი და პასუხისმგებლობა დაუღვერობით ზიანის მიყენებისათვის.¹

მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოყენებულ იქნა კვლევის დიალექტიკური მეთოდი, შესაძლებელი გახდა იმ შეურიგებელი წინააღმდეგობის დაძლევა, რომელიც მეტაფიზიკური ფილოსოფიის თვალსაზრისით, არსებობს დეტერმინიზმსა და ზნეობას შორის. ჰეგელის მიერ ჩამოყალიბებული დიალექტიკური მოძღვრება შემდგომ ლოგიკურად განავითარა და მატერიალისტურ საფუძველზე დაამყვიდრა მარქსისტულმა ფილოსოფიამ, რამაც გააადვილა ამ პრობლემის გადაჭრა.

ადამიანისათვის მისი ქცევის ბრალად შერაცხვა-არშერაცხვის საკითხი ნებისყოფის თავისუფლების პრობლემის ნაწილია. ამიტომ კითხვა ასე ისმება: თავისუფალია თუ აუცილებელი (დეტერმინირებული) ზიანის მიმყენებელი სუბიექტის ქცევა? სხვანაირად, ეს ქცევა მთლიანად ამ კონკრეტული სუბიექტის ნებით არის განსაზღვრული, თუ, თვით მისი ნებაც გარეშე განსაზღვრულობას ემორჩილება? მატერიალისტური დიალექტიკის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: ჩვეულებრივ, ნორმალური ადამიანის კონკრეტული საზიანო ქცევა, ისევე როგორც ყოველი სპეციფიკური ადამიანური ქცევა, ერთსა და იმავე დროს, თავისუფალიც არის და აუცილებელიც,² ე. ი. იგი არც მხოლოდ თავისუფალია, და არც მხოლოდ აუცილებელი. მაგრამ, ხომ არ ნიშნავს ასეთი პასუხი თავისუფლებისა და აუცილებლობის ეკლექტიკურ შერეგებას? ამის დასადგენად, უწინა-

¹ ამ შეხედულებათა საფუძვლიანი კრიტიკა, აგრეთვე მატერიალისტური დიალექტიკის თვალთახედვით ბრალის მომენტის ყველაზე უფრო დამაჯერებელი დასაბუთება დაუღვერობის დროს მოცემულია ვ. გ. მაყაშვილის მონოგრაფიაში Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957. აქვე განხილულია სოციალისტურ ლიტერატურაში გამოთქმული სხვა შეხედულებანი.

² დიალექტიკური ფილოსოფიის ამ ცნობილ დებულებაზე, რომელსაც ზოგჯერ გაუპართლებლად გაურბიან იურიდიულ ლიტერატურაში, მართებულად მიუთითებს ბ. ვოლკოვი. იხ. В. С. Волков, Проблема воли и уголовная ответственность, Казань, 1965, стр. 169.

რეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, თუ როგორ მოიაზრება დიალექტიკის თვალსაზრისით თავისუფლებისა და აუცილებლობის ერთიანობა.

ბუნებასა და საზოგადოებაში მოქმედებს სინამდვილის საყოველთაო ობიექტური კანონზომიერება, რომელიც განსაზღვრავს მოვლენათა მსვლელობას. ამ კანონზომიერებას ემორჩილება ადამიანის ნებისყოფაც, მისი ქცევის მოტივები, მიზნები. მათი შინაარსი განსაზღვრება საზოგადოებრივ-ისტორიული გარემოთი, ცხოვრების მატერიალური პირობებით და უშუალო კონკრეტული გარემოცვით. მაგრამ ეს განსაზღვრულობა როდია ფატალური. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ადამიანთა შეგნებული მიზანდასახული მოღვაწეობა აზრს დაკარგავდა, რადგან უნდა გველიარებინა, რომ ყველაფერი წინასწარ არის ბედისწერით განსაზღვრული. სინამდვილეში გარეშე განსაზღვრულობა დიფერენცირებულია ბუნებასა და საზოგადოებაში. ადამიანის ქცევის დეტერმინაციის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ისეთივე პასიური ობიექტი კი არ არის, როგორც ბუნების სხვა მოვლენა, არამედ თვით არის აქტიური სუბიექტი, რომელსაც, თავის მხრივ, თავისი განსაზღვრული პოზიცია აქვს გარემოს მიმართ. მართალია, ადამიანის ქცევას საფუძვლად უდევს მოტივები, რომლებიც ფსიქიკურია და ამიტომ ასახვას ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სინამდვილის ზემოქმედებისა, მაგრამ ადამიანზე გარემოს ზემოქმედებას უპირისპირდება არა მარტო შემეცნებელი სუბიექტი, არამედ გარკვეულ მოთხოვნილებათა მქონე სუბიექტი, რომელიც თავის აქტივობას ამ მოთხოვნილებათა შესაბამისად წარმართავს. ამიტომ გარემოს ასახვა მასში რეაქციას იწვევს იმისდა მიხედვით, თუ რას წარმოადგენს ის ფსიქოლოგიურად როგორც პიროვნება, როგორც ფსიქოლოგიური სუბიექტი. ამით აიხსნება, რომ „ერთი და იგივე საგანი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადამიანისათვის, ან ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა დროს ერთი და იმავე ადამიანისათვის შეიძლება სრულიად განსხვავებული განცდების წყარო იყოს“.³

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ადამიანის ნებისყოფა, და მასთანადამე, ქცევაც, უპირობოდ კი არ არის აუცილებლობით განსაზღვრული, არამედ, ადამიანს, ამავე დროს, ახასიათებს აუცილებლობის უარყოფის უნარი. აუცილებლობის უარყოფის უნარი ადამიანური ქცევის ამომწურავი თვისება არ არის, მაგრამ იგი მისი აუცილებელი ნიშანია. ადამიანს მოქმედება ყოველთვის გარკვეულ, მოცემულ გარემოებებში უხდება. „სპეციფიკური ადამიანური აქტივობა ამ უშუალოდ მოცემულზე ამალღებაში გამოიხატება, რაც თავის აუცილებელ პირობად მისგან დამოუკიდებლობას გულისხმობს. მოკლედ: დამოუკიდებლობა თავისუფლების არსებითი ნიშანია და უიმისოდ ის არ მოიაზრება“.⁴

აუცილებლობისაგან დამოუკიდებლობაზე მითითება თავისუფლების ერთი მომენტის ნეგატიური დახასიათებაა. ფენომენოლოგიურად მის დადებითს შინაარსს წარმატებით ხსნის დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიური თეორია.

სუბიექტის აქტივობისათვის ორი აუცილებელი პირობაა საჭირო: 1. მოთხოვნილება (სუბიექტური ფაქტორი) და 2. მოთხოვნილების შესაბამისი ობიექტური სიტუაცია (ობიექტური ფაქტორი). მხოლოდ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მოთხოვნილების მქონე სუბიექტი მოხვდება მისი მოთხოვნილების შესაბამის ობიექტურ სიტუაციაში, იგი მიმართავს სრულიად გარკვეულ ქცევას. მაგრამ,

³ ო. ბაკურაძე, თავისუფლება და აუცილებლობა, თბ., 1964, გვ. 152.

⁴ იქვე, გვ. 153.

სუბიექტის მოთხოვნილებისა და მისი შესაბამისი ობიექტური სიტუაციის ურთიერთზემოქმედება უშუალოდ კი არ იწვევს გარკვეულ ქცევას, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ განწყობით გაშუალების შედეგად. იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება, განწყობა ეწოდება.⁵ „მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის არსებობის შემთხვევაში, — წერს დ. უზნაძე, — სუბიექტში წარმოიშობა სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც მისი მიდრეკილება, როგორც მიმართულება, როგორც მზაობა აქტის შესრულებისა, რომელსაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია“.⁶

ქცევის განწყობით გაშუალება იმას ნიშნავს, რომ გარეგანი ვითარების ზემოქმედებით ჯერ სუბიექტი იცვლება, სათანადო განწყობა უმუშავდება და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს ის გარკვეულ ქცევას. შესაბამისად, ვიღებთ ადამიანის ქცევის დეტერმინაციის სამწევროვან ფორმულას: გ ა რ ე მ ო — ს უ ბ ი ე ქ ტ ი (გ ა ნ წ ყ ო ბ ა) — ქ ც ე ვ ა, რომელიც მკაფიოდ მიჩნავს ქცევის მატერიალისტურ-დიალექტიკურ გაგებას ქცევის მექანიკური (გარემო — ქცევა) და ვიტალისტური (ფსიქოიდი — ქცევა) ფორმულებისაგან.⁷

ზემოთ მოტანილ ფორმულას არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ნებისყოფის განსაზღვრულობის რაციონალური გაგებისათვის. ის ასაბუთებს, თუ როგორ არის შესაძლებელი, რომ არ გაწყდეს გარემოდან მომდინარე დეტერმინაციის ჯაჭვი ადამიანის, როგორც აქტიური სუბიექტის, მასში ჩართვის მიუხედავად. განწყობის თეორიის მიხედვით, ადამიანის ნებისყოფა ქცევის ჩამოყალიბების პროცესში სრულიად დამოუკიდებელი თვითმყოფი მიზეზი კი არ არის, რომელიც წყვეტს გარემომცველ სინამდვილეში მომდინარე დეტერმინაციის პროცესს, არამედ თვით ამ პროცესის გარკვეული განვითარებული საფეხურია, როდესაც ადამიანი, როგორც მოცემული მიზეზობრიობის განუყოფელი რგოლი, იძენს უნარს უპირობოდ არ დაექვემდებაროს ამ მიზეზობრიობას. ერთ გარკვეულ მომენტში ადამიანს შეუძლია შეაკავოს თავისი ქცევა, გამოყოს აზრობრივად პრაქტიკული განხორციელებიდან და სავანგებო მსჯელობის საგანი გახადოს იგი. ამ უნარის წყალობით, რომელსაც ფსიქოლოგიაში „ობიექტივაციის უნარი“ ეწოდება, ადამიანს შეუძლია მოხსნას ბუნებრივად მოცემული აქტუალური განწყობა, რომელიც თითქმის ავტომატურად არის ხოლმე განსაზღვრული უშუალო სიტუაციით. მაგრამ, განწყობა ხომ ქცევის აუცილებელი საფუძველია? მამ რაღა წარმართავს სუბიექტის ქცევას?

გამოეთიშება რა აქტუალური სიტუაციის გავლენისაგან, სუბიექტი აგებს იდეურ, აზრით სიტუაციას. იგი თავისი მომავალი ქცევის სურათს წარმოიდგენს და, ამ გზით, აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციის ზეგავლენით წარმოშობილ განწყობას რეალური ქცევის ნაცვლად, წარმოასახულ ქცევაში გამოავლენს. ამის შემდეგ სუბიექტი ახდენს წარმოსახული ქცევის ღირებულების გაცნობიერებას. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ღირებულია მისთვის წარმოსახული ქცევა — ეს კი სუბიექტის ზოგად მოთხოვნილებათა სის-

⁵ იხ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III-IV, თბ., 1964, გვ. 87.

⁶ Д. Н. Узнадзе, Основные положения теории установки, «Экспериментальные основы психологии установки», 1961, стр. 169.

⁷ იხ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 88—89.

ტემაში ამ ქცევის ჩართვით მოწმდება — მან შეიძლება გადაწყვიტოს და შეიძლება არ გადაწყვიტოს მისი რეალურად განხორციელება; სუბიექტმა შეიძლება განახორციელოს და შეიძლება არც განახორციელოს აქტუალური განწყობის შესაბამისი ქცევა. ორივე შემთხვევაში, შესაძლო ქცევის საბოლოო განსჯის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას უკვე აქტუალური სიტუაციის შესაბამისი განწყობა კი აღარ დაედება საფუძვლად, არამედ იდეური სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებული განწყობა.⁸

ადამიანი ბრმად როდი ემორჩილება აქტუალური მოთხოვნების შესაბამის გარეშე სიტუაციას და მის ნიადაგზე აღმოცენებულ განწყობას. სპეციფიკური ადამიანური უნარის წყალობით სუბიექტი ახერხებს თვით განწყობის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შეცვლას (აქტუალურ სიტუაციას ცვლის იდეური სიტუაციით, ხოლო აქტუალურ მოთხოვნებს კი — ნებისყოფით), რაც საბოლოოდ, თვით განწყობის შეცვლას იძლევა. სხვა განწყობა კი ყოველთვის სხვა, ე. ი. თავის შესაბამის, ქცევას წარმოშობს.

ამრიგად, ფსიქოლოგიაში დადგენილად უნდა მივიჩნიოთ, რომ ადამიანს შესწევს უნარი თვითონ შეიქმნას თავისივე ქცევის განწყობა. ამ ფაქტზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ფილოსოფოსთა და იურისტთა მიერ იმის მტკიცება, რომ ადამიანს აქვს „სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა“. ადამიანის ნებისყოფა რომ განსაზღვრულ ფარგლებში თავისუფალი არ იყოს, მას რომ სრულებით არ შეეძლოს თავისივე სურვილებსა და განწყობაზე ზემოქმედება, მაშინ არც „სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა“ ექნებოდა და ვერც გახდებოდა მორალურად პასუხისმგებელი. დიალექტიკური მეთოდის საშუალებით შესაძლებელი ხდება ნებისყოფის თავისუფლების რაციონალური ახსნა, რაც, თავის მხრივ, გასაღებს იძლევა მორალური პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის.

ნებისყოფის თავისუფლების დიალექტიკურ-მატერიალისტური დასაბუთება სრულებითაც არ ნიშნავს ნებისყოფის თავისუფლების ინდეტერმინისტულ გაგებას, ანუ ნებისყოფის აბსოლუტური თავისუფლების აღიარებას. პირიქით, ნებისყოფის თავისუფლება განიხილება, როგორც ერთ-ერთი, თუმცა, აუცილებელი მომენტი ნებისყოფის საერთო განსაზღვრულობაში. „ნებელობა თავისუფალია, რამდენადაც აქტუალური სიტუაციის გავლენას არ ემორჩილება, რამდენადაც აქედან მომდინარე იძულებას არ განიცდის, იგი თავისუფალია, რამდენადაც მასზე მოქმედი სიტუაცია წარმოსახვითია, მაშასადამე, სუბიექტის მიერაა გაცნობიერებული. მაგრამ იგი დეტერმინირებულია, არაა თავისუფალი, რამდენადაც, თუმცა წარმოსახულია, მაგრამ მაინც სიტუაციითაა პირობადებული“.⁹

მეორე მხრივ, ნათქვამი არ ნიშნავს თავისუფლებისა და აუცილებლობის

⁸ წარმოსახული სიტუაციის მნიშვნელობა კონკრეტული ქცევის დეტერმინაციისათვის არ არის უცხო საბჭოთა ფსიქოლოგიისათვის. ს. რუბინშტეინი, მაგალითად, წერდა: „Поведение людей детерминировано не только наличным, но и сейчас отсутствующим. Когда, познавая закономерности развития природы и общественной жизни, мы получаем возможность предвидеть дальнейший ход событий, мы вводим будущее в детерминацию нашего поведения». (С. А. Рубинштейн, Бытие и сознание, М., 1957, стр. 243—244) საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხს მართებულად აშუქებს ვ. ნ. კულდრაევცივი. (იხ. მისი Причинность в криминологии, Госюриздат, М., 1968, стр. 118).

⁹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III-IV, თბ., 1964, გვ. 222.

ეკლექტიკურ შერიგებას. ეკლექტიზმი ის იქნებოდა, რომ გვემტკიცებინა, თითქოს ნებისყოფა ადამიანის ფსიქიკის თვითმყოფი სინამდვილეც არის და მიზეზობრიობის კანონსაც ემორჩილება. მაგრამ, იმის გამო, რომ ნებისყოფას მაინც დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს საერთო დეტერმინაციის ფარგლებში, იგი განიხილება როგორც მხოლოდ შეფარდებითად თავისუფალი.

ყველაფერი, რაც ითქვა ქცევის პროცესში ადამიანის ნებისყოფის დასახასიათებლად, შეეხება დაუდევრობით ქცევასაც, თუმცა, დაუდევრობით ქცევას აქვს სპეციფიკა, რომელიც საგანგებო გათვალისწინებას მოითხოვს.

დაუდევრობა სრულიად გარკვეული მდგომარეობაა, რომელშიაც იმყოფება მოქმედი სუბიექტის ფსიქიკა ამა თუ იმ — უფრო ხშირად, შეგნებული და მიზანდასახული — ქცევის პროცესში. აღნიშნული მდგომარეობა გამოიხატება უყურადღებობაში რაიმე საგნის, მოვლენის ან ფაქტის მიმართ და არა უყურადღებობაში საერთოდ. როდესაც ეს უყურადღებობა კონკრეტულ გამოვლენას პპრვებს, გლაპარაკობთ დაუდევრობით ქცევაზე, რომელიც, უმეტესწილად, რომელიმე საზოგადოებრივი ღირებულების უყურადღებობით დაზიანებაში გამოიხატება. უყურადღებობის შედეგად განხორციელებული ზიანი სრულებითაც არ ემთხვევა, პირიქით სცილდება, სუბიექტის ქცევის მიზანს. ამიტომ იგი მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი და, როგორც წესი, არასასურველია მოქმედი სუბიექტისათვის. როგორც ჩანს, დაუდევრობის თავისებურება იმით გამოიხატება, რომ ადამიანის ყურადღების აქტივობას რომელიმე გარკვეული მიმართულებით თან ახლავს, დამატებით, ამავე ყურადღების პასიურობა სხვა რომელიმე მიმართულებით. რადგანაც ახალი და სპეციფიკური აქ ყურადღების თანამდევი პასიურობაა, ამიტომ ჩვენთვის სწორედ ეს მომენტია საინტერესო.

ამგვარად, ერთი რამ თავიდანვე ცხადია: დაუდევრობა გულისხმობს ყურადღების პასიურ მდგომარეობას ობიექტური სინამდვილის რაღაც გარკვეული მოვლენებისადმი. და მიუხედავად იმისა, რომ პასიურია, ექვს არ უნდა იწვევდეს, რომ იგი მაინც სრულიად გარკვეული ფსიქიკური მდგომარეობაა. აქ უნდა გადაიჭრას სხვა არსებითი საკითხი: გულისხმობს თუ არა დაუდევრობა ფსიქიკის ისეთ მდგომარეობას, რომელზედაც შეიძლება ნებელობითი გავლენა იქონიოს სუბიექტმა კონკრეტულ ვითარებაში? ეთიკისა და იურისპრუდენციის ასპექტში ეს იგივეა, რაც კითხვა: გულისხმობს თუ არა დაუდევრობა „სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას?“ ფსიქოლოგია საფუძველს იძლევა ამ კითხვაზე დადებითი პასუხისათვის.

უყურადღებობა ყურადღების საწინააღმდეგო მოვლენაა. ამიტომ, თუ ყურადღება ნიშნავს ჩვენი ფსიქიკური ენერჯის წარმართვას რომელიმე მიმართულებით, უყურადღებობა, პირიქით, განხილულ უნდა იქნეს, როგორც ფსიქიკური ენერჯის წარუმართველობა ამა თუ იმ ობიექტისადმი. ადამიანის ფსიქიკური ენერჯიას მხოლოდ განსაზღვრული მიმართულებით შეუძლია იმოქმედოს. ამიტომ ბუნებრივია, ერთი და იგივე პიროვნება, ერთსა და იმავე დროს, ზოგ საგანს, ფაქტს, მოვლენას ყურადღებას აქცევს, ზოგს კი — უყურადღებოდ ტოვებს. ზოგჯერ, ასეთი უყურადღებობის საგანი სამართლით დაცული ობიექტია და, ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დაუდევრობით დანაშაულთან (თუ არსებობს სხვა აუცილებელი პირობები).

ისევე, როგორც სხვა ფსიქიკურ აქტივობას, ყურადღებასაც და მის მიმართულებას გარკვეული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები განსაზღვრავს.

„ყურადღების ძირითადი ფაქტორი, — წერს დ. უზნაძე, — პირველ რიგში სუბიექტში უნდა ვეძიოთ: როდის და რა მიმართულებით (ხაზი ჩვენია — მ. გ.) დაიწყება ყურადღების მუშაობა და როდის დასრულდება იგი, ეს, უეჭველია იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოთხოვნილებები აქვს ამჟამად სუბიექტს და რომელი მათგანის დაკმაყოფილებაზე ზრუნავს იგი“.¹⁰ მეორე მხრივ, ყურადღების განმსაზღვრელად გვევლინება ობიექტური ფაქტორები, გამლიზიანებლები, სიგნალები, რომლებიც ჩვენდა უნებურად იქცევენ ჩვენს ყურადღებას. ასეთ ფაქტორს შეიძლება წარმოადგენდეს, მაგალითად, გარემოში მომხდარი მკვეთრი ცვლილება ან სხვა ინტენსიური შთაბეჭდილება. ამგვარი ფაქტორები, ზოგჯერ, მთლიანად ეუფლებიან ადამიანის ყურადღებას და ხელს უშლიან მისი რომელიმე სხვა მიმართულებით, მაგალითად, სამართლით დაცული ინტერესებისადმი, წარმართვას.

ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები ცალ-ცალკე კი არ მოქმედებს ადამიანის ყურადღებაზე, არამედ მჭიდრო ურთიერთზეგავლენას განიცდის. ეს, უპირველესად, იმით გამოიხატება, რომ ამა თუ იმ ობიექტურ ფაქტორს მით უფრო შეუძლია ყურადღების მიპყრობა, რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის სუბიექტისათვის, ე. ი. რაც უფრო მეტად შეესაბამება სუბიექტის მოთხოვნილებებს. ყურადღების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ურთიერთზე-მოქმედების შედეგად სუბიექტს გაუჩნდება ყურადღების რომელიმე გარკვეული მიმართულებით წარმართვის განწყობა, რის საფუძველზედაც წარმოიშობა, საბოლოოდ, თვით ყურადღების ფსიქოლოგიური აქტი. მაგრამ, რადგანაც „ადამიანის ენერჯიას მხოლოდ განსაზღვრული მიმართულებით შეუძლია იმოქმედოს“,¹¹ რაიმესადმი ყურადღების განწყობა აუცილებლობით უნდა გულისხმობდეს, თანამდევით მოვლენის სახით, სხვა რამისადმი უყურადღებობის მიღრეკილებასაც, რასაც, პირობითად, შეიძლება უყურადღებობის განწყობა ვუწოდოთ.

ამგვარად, ირკვევა, რომ ყოველი ქცევა რთული ფსიქოლოგიური აქტია, რომელიც, მისი ჩამოყალიბების პროცესში, გულისხმობს: 1) განწყობას ყურადღებისა გარკვეული ერთი მიმართულებით და 2) განწყობას უყურადღებობისა სხვა რომელიმე მიმართულებით, რაც დამოუკიდებელი განწყობა კი არ არის, არამედ ძირითადი განწყობის ნეგატიური მხარეა. სუბიექტის უყურადღებობას ამა თუ იმ საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ზოგჯერ კრძალავს მორალური და სამართლებრივი ნორმები და, ასეთ შემთხვევაში, ადამიანს უხდება თავი შეიკავოს თავისივე უყურადღებობის მიღრეკილებისაგან. მაგრამ, როგორ არის ეს შესაძლებელი?

როგორც ზემოთ დავინახეთ, ადამიანს აქვს ცნობიერებისა და ნებელობის სპეციფიკური უნარი. მისი წყალობით ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს თავისი ქცევის განწყობაზე, საერთოდ, და ყურადღების განწყობაზე, კერძოდ. მაშასადამე, ყურადღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ნებისყოფაა. მისი მოშველიებით სუბიექტს შეუძლია შეცვალოს ყურადღების აქტუალური განწყობა სრულიად საპირისპირო განწყობით,¹² დაუშვათ, სამართლით დაცული საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ყურადღების განწყობით. თუ ეს ასეა, დაუდევრობისას სუბიექტს ჰქონია „სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა“, ჰქო-

¹⁰ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III-IV, გვ. 539.

¹¹ იქვე, გვ. 522.

¹² იხ. დ. უზნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 543.

ნია უნარი არ იყოს უყურადღებო სამართლით დაცული ობიექტების მიმართ, არ ჩაიდინოს დანაშაული დაუდევრობით. სხვანაირად, ადამიანს ჰქონია უნარი ნოიქცეს ისე, როგორც ის უნდა მოქცეულიყო მართლწესრიგისა და კანონის მოთხოვნის შესაბამისად. მაგრამ, თუ ის ასე არ მოიქცა და არ გამოიყენა შესაძლებლობა მოქცეულიყო „უნდას“ შესაბამისად, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დანაშაულის დაუდევრობით ჩამდენი არ მოქმედებდა თავისუფლად. დანაშაულის ჩადენის ფაქტი არაფერს არ ცვლის იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ნებისყოფა იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის წინა მომენტში. დანაშაულის ჩადენა ან არჩადენა არ შეიძლება მივიჩნიოთ ნებისყოფის თავისუფლებისა თუ არათავისუფლების მაჩვენებლად. ეს რომ ასე იყოს, მაშინ უნდა გველიარებინა, რომ თავისუფალია მხოლოდ სოციალური თვალსაზრისით დადებით ქცევაზე მიმართული ნებისყოფა, ხოლო საზიანო ქცევის გამომწვევი ნებისყოფა არ არის თავისუფალი. მაშასადამე უნდა გველიარებინა, რომ ნებისყოფის თავისუფლება თუ არათავისუფლება იმთავითვე გულისხმობს მომავალი ქცევის სოციალურ შეფასებას.

სინამდვილეში ნებისყოფის თავისუფლება აუცილებელი წინაპირობაა ქცევის სოციალური (მორალური ან სამართლებრივი) შეფასებისათვის, რომელიც შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც. მაგრამ, აქედან სრულებით არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ ქცევა საზოგადოების თვალსაზრისით უარყოფითია, ის არც თავისუფალი შეიძლება იყოს. მართებულად მსჯელობს ო. ბაკურაძე: „ქცევა კეთილი ან ბოროტი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, თუ ადამიანის ნებისყოფა თავისუფალია. მორალური ქცევა არის ნებისმიერი ქცევა, თუმცა ყოველი ნებისმიერი ქცევა მორალურს არ წარმოადგენს. ეს განსხვავება გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქცევის მორალურობა მისაღმი გარკვეულ შეფასებით დამოკიდებულებას გულისხმობს, მაშინ როდესაც ნებისმიერი ქცევა ყოველთვის არ არის ასეთი შეფასების ან საერთოდ შეფასების ობიექტი“.¹³

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო ქცევა არ შეიძლება არათავისუფალიც იყოს. ცხადია, ასეთი შემთხვევებიც არის. მაგრამ ნებისყოფის არათავისუფლებას, ასეთ შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო ქცევის ჩადენის ან ქცევის მართლსაწინააღმდეგობის ფაქტიდან კი არ ასკვნიან, არამედ უშუალოდ ნებისყოფის ნამდვილი მდგომარეობის მიხედვით. კერძოდ, სამართალში ქცევა არათავისუფლად ჩაითვლება მაშინ, თუ მისი ჩამდენი შეუარაცხი იყო, ე. ი. არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი თავისათვის საკუთარ მოქმედებაში ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-11 მუხლი). არათავისუფალია აგრეთვე ქცევა, ჩადენილი ფიზიკური ძალადობისა და უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში აღვიღო აქვს ე. წ. „მოქმედების თავისუფლების“ შეზღუდვას. ჩვეულებრივად კი, ყველა და, მათ შორის, დაუდევრობითი დანაშაულიც გულისხმობს იმას, რომ პირის ქცევა, ერთსა და იმავე დროს, თავისუფალიც იყო და არათავისუფალიც,

¹³ ო. ბაკურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 387.

ე. ი. მისი ნებისყოფა შეფარდებით თავისუფალი იყო სპეციფიკური დეტერმინაციის ფარგლებში.

იმის დადგენა, რომ დაუდევრობითი დანაშაულისას პირის ნებისყოფა შეფარდებით თავისუფალია, სრულ საფუძველს იძლევა, რომ დაუდევრობის დროს ცნობთ მორალური მოვალეობის დარღვევის, ე. ი. მორალური ბრალის ფაქტი. თუ დაუდევრობის დროს ადამიანის ნებისყოფა თავისუფალია (სპეციფიკური დეტერმინაციის აზრით), თუ მას შეუძლია სხვაგვარად ქცევა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სხვაგვარად ქცევის ვარიანტთა შორის არის ის ქცევაც, რომლის შესრულება მას ევალება ზნეობრივი ნორმით, ბუნებრივია, ასეთი ნორმის შეუსრულებლობა სრულიად აშკარა მაჩვენებელია პირის მორალური ბრალისა, ამიტომ სავსებით სწორად იქცევიან ის ფილოსოფოსები და ეთიკოსები, რომლებიც დაუდევრობისას ცნობენ მორალურ ბრალს და პასუხისმგებლობას. საბჭოთა ეთიკურ ლიტერატურაში ამ საკითხს სწორად წყვეტს, მაგალითად, ა. შიშკინი, რომელიც წერს: „საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის ადამიანი პოლიტიკურად და მორალურად მარტო მაშინ კი არ აგებს პასუხს, როდესაც ის საზოგადოებისათვის საზიანოდ მოქმედებს თავისი ქცევის სოციალური შედეგების გათვალისწინებითა და სურვილით, არამედ მაშინაც, როდესაც ის არ ითვალისწინებს თავისი ქცევის სოციალურ შედეგებს, თუმცა შეეძლო და მოვალე იყო გათვალისწინებინა ისინი“.¹⁴

საბჭოური სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებულია შეხედულება, რომ დაუდევრობა მორალურ ბრალს გულისხმობს, თუმცა ამის დასაბუთებას სხვადასხვა გზებით ლამობენ. დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიური თეორია, ჩვენი აზრით, საშუალებას იძლევა ახლებურად იქნეს დასაბუთებული აღნიშნული შეხედულების საფუძვლიანობა და სისწორე.

¹⁴ А. Ф. Шишкин, Основы марксистской этики, М., 1961, стр. 206.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი საკითხი

ი. ზუბოვი, ა. ლენაუ

მექრთამეობა, როგორც უმძიმესი თანამდებობრივი დანაშაული, სერიოზულ ზიანს აყენებს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობას.

„...თუკი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, ამბობდა ვ. ი. ლენინი, მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ პოლიტიკის ნასახიცი არ არის. აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდებული დარჩება და არავითარ შედეგს არ მოიტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელებულობის პირობაში“¹.

ბრძოლა მექრთამეობასთან, როგორც დიდ სოციალურ ბოროტებასთან, როგორც მეტად მანვე გადმონაშთთან ადამიანის შეგნებასა და ქცევაში, იუსტიციის ორგანოების ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა, ასეთი მოვლენები იშვიათადაც კი არ უნდა გვხვდებოდეს.

„კომუნისტური მორალი ვერ გაიმარჯვებს, — აღნიშნავდა სკკპ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი — თუ მტკიცე ბრძოლა არ გამოვუცხადებთ მის — ისეთ ანტიბოდებს, როგორიც არის მომხვეჭელობა, მექრთამეობა, მუქთანობა, ცილისწამება, ანონიმური წერილების წერა, ლოთობა და სხვა ამგვარი გამოვლინებანი“².

მექრთამეობის საბოლოო აღმოფხვრის ამოცანები მოითხოვს ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებისაგან, აგრეთვე მთელი ჩვენი საზოგადოებისაგან გადამწყვეტ ღონისძიებებს.

ამასთან ერთად მექრთამეობასთან ბრძოლაში დაუშვებელია კანონის მოთხოვნათა რაიმე დარღვევა, სასამართლო შეცდომები, რომლებიც სრულიადაც არ უწყობენ ზღვს საბოლოო მიზნის მიღწევას. ისეთი საშიში დანაშაულის აღმოფხვრა, როგორცაა მექრთამეობა შესაძლებელია მხოლოდ კანონის ნორმების განუხრელად დაცვის საფუძველზე.

მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო შეცდომების თავიდან აცილებაში დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1962 წლის დადგენილებამ „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა შეიძინეს მექრთამეობის საქმეების გამოძიების და სასამართლოში განხილვის საკმაო გამოცდილება. რამდენადმე გამოსწორდა დაშვებული შეცდომები და ხარვეზები, მაგრამ ჯერ კიდევ გადასატრეულია მექრთამეობასთან ბრძოლის ზოგიერთი საკითხი.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 72.

² ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე, თბილისი, 1971 წ. გვ. 116.

ცნობილია, რომ ქრთამის აღება ერთ-ერთი ძნელად გამოსამყლავნებელი ბოროტმოქმედებაა. ქრთამის აღება, თითქმის მუდამ, ისე ხდება, რომ მექრთამე მოწმეს არ ისწრებს. ქრთამის აღება შენიღბულია, ხოლო მის საგანს — ფულს არ გააჩნია ინდივიდუალური ნიშნები.

ამიტომ ამ დანაშაულის გამოაშკარავებისათვის, როდესაც მოქალაქენი იძლევიან სიგნალს ქრთამის გამოძალვის თაობაზე, დიდი მნიშვნელობა აქვს დროულად იქნას მიღებული სათანადო ზომები მექრთამის მხილებასათვის.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლი მოკვლევის ორგანოებს ავალებს იხმარონ ყველა საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ზომები ბოროტმოქმედების გამოსაშკარავებლად, ეჭვიმტანილ პირთა დაკავებამდეც კი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109-ე და 121-ე მუხ.).

პრაქტიკაში ცნობილია ფაქტები, თუ რა შედეგს იძლევა მოკვლევის ორგანოების მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მარჯვედ გამოყენება. ასე მაგ. ჩუხაევისა და სხვათა საქმეების გამო დროულად გამოყენებულ ოპერატიულ ღონისძიებებს შედეგად მოჰყვა ქრთამის აღებაში ეჭვიმტანილი რამდენიმე პირის დაკავება, მათი ბინების ჩხრეკა, დიდი რაოდენობის ნაღდი ფულის და ძვირფასეულობის ამოღება, შემენახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებზე ყაღალის დადება და სხვ.

სამწუხაროდ, საკმაო არ არის მექრთამეობის საქმეებზე ოპერატიულ ღონისძიებათა მეთოდის განზოგადება. ამ საკითხისადმი მიძღვნილი უკანასკნელი პოპულარული ბროშურა გამოიცა ოცი წლის წინათ და დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.³

უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელი ბოროტმოქმედების შესახებ განცხადების შეტანისას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის მიხედვით აუცილებელია განმცხადებელს განემართოს ოქმში შეტანით, „რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა წინასწარგანზრახული ცრუ დასმენისათვის“. სამწუხაროდ, ამ წესებს ყოველთვის არ იცავენ, რაც ხშირად ხელს უშლის შემდგომ გამოძიებასა და საქმის განხილვას.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და მილიციის ორგანოებში მოქალაქეთა განცხადების შეტანისას იმის შესახებ, რომ მას სძალავენ ქრთამს, ხდება ფულის ნიშნების ნორმების დაფიქსირება და შემდგომ ქრთამის სახით მისი გადაცემა. ფულის გადაცემის შემდეგ ქრთამის გამომძალველს აკავებენ და ამ კუბიურებს ართმევენ.

ზოგიერთი იურისტის აზრით, ასეთი მოქმედება ქრთამის პროვოკაციას წაავას. მაგრამ ეს მოსაზრება კრიტიკას ვერ უძლებს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის მიხედვით (1928 წლის რედაქციით) ქრთამის პროვოკაციად მიჩნეული იყო პასუხისმგებელი პირის მიერ წინასწარგანზრახვით შექმნილი ვითარება და პირობები, ქრთამის შეთავაზების ან აღებისა იმ მიზნით, რომ შემდგომ გამოაშკარავდეს ქრთამის მიმცემი ან ამღები პირი.

ზემოთმითითებულ შემთხვევაში კი არ არსებობს პროვოკაციის არცერთი ნიშანი, რადგანაც ქრთამის გამოძალვა უკვე მოხდა. ქრთამის ამღები მოქმედებს წინასწარგანზრახვით და საკუთარი ინიციატივით, რათა მიადწიოს თავისი გან-

³ З. Т. Баранова — Расследование взяточничества, Госюриздат, М., 1955 г.

ზრახვის შედეგს, ხოლო მოკვლევის მუშაკები არა თუ ხელს არ უწყობენ ბოროტმოქმედებას, არამედ, პირიქით, ღონისძიებას იღებენ სამართალდარღვევის აღსაკვეთად: ამასთანავე ქრთამის პროვოკაციის შედეგნილობას ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსები არ იცნობს.

რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს პირის ქმედობას, რომელმაც აიღო ფული და თვლის მას ქრთამად, მაგრამ ფაქტიურად ეს ფული არ არის ქრთამი, ამის შესახებ კომენტარში არაფერია ნათქვამი. შემთხვევითი არ არის, რომ სავაზოში და სასამართლო პრაქტიკაში ქრთამის ამღების მოქმედება მსგავს სიტუაციაში სხვადასხვა კვალიფიკაციას იღებს.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ქრთამის ამღების მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც ქრთამის აღების მცდელობა.

ასრულებს რა ყველა მოქმედებას, რომლებიც უშუალოდ მიმართულია ქრთამის აღებისაკენ, დამნაშავე ამ შემთხვევაში ფაქტიურ შეცდომას უშვებს, და ჰგონია, რომ, ფული, რომელიც მას გადასცეს, ქრთამია. მან არ იცის, რომ ეს ფული უკვე დაფიქსირებულია ხელისუფლების ორგანოებში და ქრთამის მიმცემი აძლევს მას მექრთამის გამოსააშკარავებლად.

თუ დამნაშავის ქმედობაში არსებობს ფაქტობრივი შეცდომა, ეს მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც მცდელობა⁴.

ჩვენი აზრით, ასევე უნდა შეფასდეს ქრთამის მიმცემის მოქმედება, რომლისგანაც ფულს იღებენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამოაშკარავდეს მისი დანაშაული.

ქრთამის მიცემის, როგორც დასრულებული მოქმედების, აუცილებელი პირობაა პასუხისმგებელი პირის თანხმობა გასამრჯელოს მიღებაზე ცალკეულ მოქმედებათა შესრულების ან შეუსრულებლობის გამო სამსახურებრივ ან ქრთამის მიმცემის ინტერესებიდან გამომდინარე. როდესაც თანამდებობის პირმა თანხმობა განაცხადა ქრთამის მიღებაზე მიმცემის მხილებისათვის, მაშინ თანამდებობრივი პირის საქციელში არ არის მექრთამეობის შედეგნილობა, ე. ი. თუმცა ქრთამის მიმღები ფულს გადასცემს, ნამდვილად, დანაშაულებრივი შედეგი არა გვაქვს.

ამ მოტივებით საკასაციო ინსტანციის სასამართლომ კვალიფიკაცია შეუცვალა კ. ბაკოიანს. კ. ბაკოიანი საავადმყოფოში იმყოფებოდა და უნდოდა სამუშაოდან გათავისუფლებულიყო. მან ნათესავებს სთხოვა ფული, შეარჩია მომენტი და მარტოდ დარჩენილ მკურნალ ექიმს ზ. კულეშოვს შეაძლია ფული, რათა მიეღო საჭირო დოკუმენტი. ექიმი აღაშფოთა კ. ბაკოიანის წინადადება, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა დათანხმებოდა, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ქრთამის მიმცემი ემხილა.

როდესაც კ. ბაკოიანი პალატაში წავიდა ფულის მოსატანად, ზ. კულეშოვმა წინადადება მისცა ორ ავადმყოფს, ყოფილიყვნენ მოწმენი ბაკოიანის შემდგომი მოქმედებისა და ფულის გადაცემის შემდეგ დაუყოვნებლივ მოახსენა მომხდარი ფაქტი საავადმყოფოს ადმინისტრაციას და ფული ჩააბარა.

სასამართლო პრაქტიკაში არც თუ იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირი ასრულებს ამა თუ იმ კანონიერ ან უკანონო მოქმედებას, რომელიც შეესაბამება სხვა პირთა ინტერესებს. ხოლო ეს უკანასკნელი

⁴ Курс Советского уголовного права, М., 1970 г. Издательство «Наука», стр. 339, 438—440.



მოქმედების შესრულების შემდეგ „მაღლობის ნიშნად“ თანამდებობის პირს გადასცემს ფულს ან სხვა ძვირფასეულობას და ნივთებს.

ჩვენი აზრით, თანამდებობის პირი, რომელიც ასეთ „საჩუქრებს“ მიიღებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა თუ შეუსრულებლობისათვის უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ქრთამის აღების გამო, თუ კი ესმოდა, რომ ფული და სხვა ძვირფასეულობა მას გადასცეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც გამომდინარეობს ამ „საჩუქრების“ გადამცემი პირის ინტერესებიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეების სასამართლო პრაქტიკის თაობაზე“ ნათლად არის განმარტებული, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც თანამდებობის პირი ქრთამისათვის ჩადის უკანონო მოქმედებას ან იჩენს დანაშაულებრივ უმოქმედებას, იგი უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში არა მარტო აღებული ქრთამისათვის, არამედ ერთობლივად თანამდებობრივი დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა ან დაუშვა ქრთამის გულისათვის.

თუ კი ქრთამი მიცემულია კანონიერი მოქმედებისათვის, ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირი უნდა მიეცეს პასუხისგებაში მხოლოდ ქრთამის აღების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მითითებებს ყოველთვის არ იცავენ.

მაგ. ა. ალაბეკიანის საქმის განაჩენში სასამართლომ სამართალში მიცემული პირი დამნაშავედ სცნო ქრთამის აღებაში და მიუთითა, რომ ა. ალაბეკიანის მოქმედება დაკავშირებულია თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან, სავსებით შეესაბამება აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლის II ნაწილს და არ საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას.

ეს განაჩენი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მე-4 პარაგრაფს, რომელიც წინადადებას აძლევს სასამართლოებს, რომ ქრთამის აღება, რომელიც დაკავშირებულია დამოუკიდებელი შედგენილობის მქონე დანაშაულის ჩადენასთან (მოცემული საქმის მიხედვით სამსახურებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენება) საჭიროა დაკვალიფიცირდეს დანაშაულობათა ერთობლიობით.

რაც შეეხება ქრთამის აღებაში ბრალდებული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას, ეს საკითხი დადგენილების მე-8-ა პარაგრაფის თანახმად სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ინდივიდუალურად ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ფაქტიური გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის თანამდებობისა და მის კომპეტენციაში შემავალი ფუნქციების ხასიათის მიხედვით. აუ დაწესებულიებათა ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს ასეთი პირების რიგს აკუთვნებენ, სხვა პირების მიმართ პრაქტიკაში არ არსებობა ერთიანი მიდგომა.

ზოგჯერ პასუხისმგებელ თანამდებობის პირად ითვლება ის, ვინააუ სახელმწიფო აპარატსა თუ სახელმწიფო ორგანიზაციაში უჭირავს ესა თუ ის თანამდებობა, მაგრამ ფუნქციებს ასრულებს სპეციალური რწმუნებულებით ან დავალებით (სახალხო მსაჯული, საექიმო, სინფუნტაროზული და სხვა კომისიის წევრი და მისთ). ასეთი პირების მიერ თანაირ რწმუნებულების ან დავალების ძალით მიღებულ გადაწყვეტილებას ან ნიქმედებას მოსდევს მრავალი მოქა-

ლაქისათვის არასასურველი სამართლებრივი შედეგი. სწორედ ამის გამო მიეწერება ასეთი პირი პასუხისმგებლობის თანამდებობის მქონე პირებს.

ამავე დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ორგანოები საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ კოლეგიალურად, კენჭის ყრის მიხედვით (ხმების უმრავლესობის საფუძველზე) და ა. შ. ასეთ თანამდებობის პირებს, როგორც წესი, არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა.

ქრთამის აღების პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება გამოძალვა, რომელსაც თეორია და სასამართლო პრაქტიკა თვლის თანამდებობის მქონე პირის მოთხოვნად, გადაეცეს მას ქრთამი მუქარით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეასრულებს იმ პირის კანონიერ მოთხოვნებს, რომლისგანაც მოითხოვენ ქრთამს, ან მის მიმართ ჩაიდენს არაკანონიერ მოქმედებას, რომელიც ზიანს მიაყენებს მის ინტერესებს.

ბუნების გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი ხაზს უსვამს იმას, რომ მართოდენ ქრთამის გადაცემის წინადადება არ არის ქრთამის გამოძალვა.

მიუხედავად ამისა ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკი ჯერ კიდევ განიხილავს როგორც გამოძალვა, თანამდებობის პირის მართოდენ წინადადებას, გადასცენ მას ქრთამი, მაშინ როდესაც არ არსებობს მუქარა სამართალდარღვევისა იმ პირების მიმართ, რომლისკენაც მიმართულია ქრთამის მოთხოვნა, ეს, ჩვენი აზრით სწორი არ არის .

მაგალითად, სამძებრო ორგანოებმა ექიმ. ე. მამაცაშვილს ბრალად წაუყენეს ქრთამის გამოძალვა, იგი ქრთამის საფასურად იძლეოდა წინასწარგანზრახულ მცდარ დასკვნებს ქრთამის მიმცემის ნათესავების ავადმყოფობაზე, რაც ხელს უშლიდა სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებას. აღნიშნული მაკავალიფიცირებელი ნიშანი სასამართლომ გამოორიცხა სამართალში მიცემულის ბრალდებიდან, რამდენადაც ქრთამის მიმცემის სამართლით დაცულ ინტერესებს, ექიმის მოქმედება არ ემუქრებოდა, ხოლო ქრთამი მას ეძლეოდა სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების მიზნით.

სასამართლო პრაქტიკაში დადგა საკითხი მის თაობაზე, როგორ უნდა გადაწყდეს იმ ფულისა და სხვა ძვირფასეულობათა ბედი, რომლებიც წარმოადგენენ ნივთიერ მტკიცებას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ფული და ფასეულობანი ეძლეოდა მექრთამეს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ფულის (ფასეულობის) მფლობელმა შეატყობინა ხელისუფლების ორგანოებს ქრთამის გამოძალვის ფაქტი.

სასამართლო ახორციელებს მფლობელისათვის ამ ფულის დაბრუნების პრაქტიკას. ჩვენი აზრით, სხვა გადაწყვეტილება არც შეიძლება იყოს. ის პირი, ვინც ატყობინებს ხელისუფლების ორგანოებს ქრთამის გამოძალვის ფაქტს, თავისი მოქმედებით ხომ ხელს უწყობს მექრთამის გამოაშკარავებას. შეტყობინების შემდეგ ასეთი პირი აღარ წარმოადგენს ქრთამის მიმცემს. ამ პირის მოქმედებაში არ არის დანაშაულის შედგენილობა და ამიტომ ასეთი პირების დასჯა „მანეთით“ და ქრთამის აძლებთაგან, ან ფულის ამოღების შემდეგ, სახელმწიფო შემოსავალში მოქცევა, უსამართლო იქნებოდა.

667/87

ქ. მარტოვი

მშობლებსა და შვილებს შორის უფლება-მოვალეობათა ნაგამომობის საუბრძოლები

ა. მისპარიანი

მშობლების და შვილების უფლება-მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით.¹

მოქმედი კანონმდებლობით ბავშვის წარმოშობა მშობლებისაგან დასტურდება, თუ:

1. მშობელთა ქორწინება რეგისტრირებულია მმაჩის ორგანოებში.
2. ერთმანეთთან დაუქორწინებელ მშობლებს ერთობლივად შეაქვთ განცხადება მმაჩის ორგანოებში შვილად ცნობის შესახებ.
3. მამობა დადგენილია სასამართლო წესით.

ამგვარად დღეისათვის მშობელთა უფლება-მოვალეობა თითქმის აღარ განსხვავდება ქორწინებით და ქორწინების გარეშე წარმოშობის მიხედვით; მათი საფუძველია ბავშვის წარმოშობის ნამდვილობა.

იგივე პრინციპი ედო საფუძვლად საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ, აგრეთვე პირველ საბჭოთა საქორწინო-საოჯახო კოდექსებს. მიუხედავად ამისა, აღრინდელ და ამჟამად მოქმედ საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობას შორის მაინც არის განსხვავება. აღრე მოქმედ კანონმდებლობაში, ისევე როგორც ახალში, არსებობდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის ცნობა მამის მიერ მმაჩის ორგანოების საშუალებით და მამობის დადგენა სასამართლო გზით; მაგრამ პირველი წლების საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით, ამჟამად ზუსტად არის განსაზღვრული იმ გარემოებათა წრე, რომელთაც სასამართლო მხედველობაში იღებს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს. ამით, როგორც უკვე აღინიშნა ლიტერატურაში, გარკვეულად იზღუდება მამობის დადგენის შესაძლებლობა.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 50-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ანალოგიური კოდექსების შესაბამისი მუხლების მიხედვით, „შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება მშობელთა ქორწინების შესახებ ჩანაწერით“².

ეს ნორმა საყოველთაოდ სავალდებულოა. დედამ ბავშვის მამად უნდა დაასახელოს თავისი ქმარი, ე. ი. ადგილი აქვს პრეზუმფციას — დედის ქმარი წარმოადგენს ბავშვის მამას.

ბავშვის ჩასახვის ვადის მიუხედავად, თუკი იგი დაიბადა ქორწინებაში ან

¹ იხ. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მუხლი 49-ე და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსების შესაბამისი მუხლები.

² А. И. Пергамент. Правовые вопросы семьи и воспитания детей, М., изд. Юридическая литература, 1969 г.

განსაზღვრული ვადის განმავლობაში ქორწინების შეწყვეტის შემდეგ, ყველა შემთხვევაში პრეზიუმირებულია დედის ქმრის მამობა.

ბავშვის დაბადების შესახებ ჩანაწერის გაცემების დროს, დედის მიერ ბავშვის შობის ფაქტი დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით ან იშვიათად (იმ შემთხვევებში, როცა მშობიარობა მოხდა სამედიცინო დაწესებულების გარეთ) ორი მოწმის ჩვენებით, ე. ი. ადმინისტრაციული წესით.

პრაქტიკა იცნობს დედობის სასამართლოს გზით დადგენის შემთხვევებს. ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში კი რატომღაც არ არის პირდაპირი მითითება ამის შესახებ. სწორად მიუთითებს ე. მ. ბელოგორსკაია, რომ, თუ ნებადართულია მამობის სასამართლო წესით დადგენა, რატომ არ შეიძლება სასამართლო წესით დადგინდეს დედობაც — ბავშვის მიგდების, დაკარგვის ან მის შესახებ არასწორი ჩანაწერის შემთხვევაში³.

მოქმედი კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დაუქორწინებელი მშობლებისაგან ბავშვის წარმოშობა დადგინდეს ადმინისტრაციული წესით, ე. ი. ბავშვის დედისა და მამის მიერ მამის ორგანოებში ერთობლივი განცხადების შეტანის გზით.

მამის ორგანოების მეშვეობით მამად ცნობა შეიძლება, როგორც იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც დაიბადნენ 1968 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ე. ი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლების მიღების შემდეგ, ისე 1968 წლის 1 ოქტომბრამდე, ე. ი. ადმინისტრაციული წესით მამად ცნობას უკუქცევითი ძალა მიენიჭა. სრულწლოვანი პირების მიმართ მამად ცნობის დროს საჭიროა ამ პირთა თანხმობა. ამასთან მამობის ნებაყოფლობითი აღიარება არ არის შეზღუდული ხანდაზმულობის ვადით. მამას შეუძლია ბავშვი თავისად აღიაროს მისი დაბადების მომენტიდან ნებისმიერ დროს.

მანობის ნებაყოფლობით აღიარების დროს, შვილად აყვანის ინსტიტუტისაგან განსხვავებით, თუ მამა ქორწინებაში იმყოფება ან დედა გათხოვდა ამ ბავშვის დაბადების შემდეგ, არ არის საჭირო მეორე მეუღლის თანხმობა.

იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე ერთგვაროვნად არ წყდება მამობის დადგენასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხი. კერძოდ, არ არის გადაწყვეტილი, შეუძლია თუ არა არასრულწლოვან ან არაქმედუნარიან პირს თხოვოს მამის ორგანოებს მამობის დადგენა; შეუძლია თუ არა მამის ორგანოებში თავისი მამობა დაამოწმოს პირმა, რომელიც ფაქტიურად არის ბავშვის მამა?

არც საფუძვლები, არც მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსები არ იძლევიან პირდაპირ პასუხს ამ კითხვებზე. მართალია, რსფსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 49-ე მუხლის V ნაწილის და აზერბაიჯანის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 61-ე მუხლი უფლებას აძლევენ პირს, რომელიც ჩაწერილია ბავშვის მამად ან დედად, სადავოდ გახადოს თავისი უფლება სრულწლოვანების მიღწევიდან ერთი წლის განმავლობაში, შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არასრულწლოვან პირს უფლება აქვს შეიტანოს მამის ორგანოებში განცხადება მამად ცნობის თაობაზე. საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი არაფერს არ ამბობს სრულწლო-

³ იხ. Е. М. Белогорская, Основания возникновения родительских прав и обязанностей, «Вестник МГУ», № 2, 1971, стр. 35.

განების მიღწევის შემდეგ მშობლიური უფლებების სადავოდ განდომის შესახებ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოდექსმა არ მიაკუთვნა არასრულწლოვანებს მშობლიური უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის უფლება, ან და ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი არ უკრძალავს მათ ამას.

ვ. ა. რიასენცევის, ვ. ი. ვებერსის, ე. მ. ბელოგორსკაიას აზრით, პირს, რომელიც განდება ფაქტიური მამა 15-დან 18 წლის ასაკამდე, უფლება უნდა ჰქონდეს გამოხატოს თავისი ნება მამის ორგანოში, რომ იურიდიულადაც ასეთად იქცეს ცნობილი. ამასთან ერთად, ვ. ი. ვებერსის აზრით, არასრულწლოვანის მამად ცნობა შესაძლებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ზედამხედველობით⁴.

ვფიქრობთ, რომ მამად ცნობა იმ პირისა, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია, დაუშვებელია. ბავშვის აღსაზრდელად მამას, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეძლოს თავის დაჭერა, თავისი მოქმედებისა და ემოციების სწორად წარმართვა. 15 წლის ადამიანი კი არცერთი თვალსაზრისით არ შეიძლება მივიჩნიოთ იმდენად მომწიფებულად, რომ მას ბავშვის აღზრდა მივანდოთ.

ცხადია, მშობლების ზრუნვა ბავშვებზე 16 წლის ასაკამდე კანონით დადგენილია არა მარტო იმიტომ, რომ მიღებულია ეს ასაკი ჩათვალოს ბავშვობის ზღვრულ ასაკად, არამედ იმიტომაც, რომ ადამიანი 16 წლამდე თვით საჭიროებს მფარველობას და საკუთარი ინტერესების სხვისი დახმარებით დაცვას.

საბჭოთა კანონმდებლობით, განსაკუთრებულ ზრუნვასა და დახმარებას საჭიროებენ არა მარტო 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირები, არამედ მოზარდებიც — 16-დან 18 წლის ასაკამდე. ასე მაგალითად, შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით მოზარდის სამუშაოზე მიღების ასაკი 16 წლით განისაზღვრება (თხუთმეტწლიანები სამუშაოზე დაიშვებიან მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში). ყველა მომუშავე მოზარდს შრომითი შეღავათები აქვს — მუშაობს არასრულ სამუშაო დღეს, ამავე დროს, სამოქალაქო სამართლის ნორმებით არ შეიძლება მისი გამოყენება მძიმე, ჯანმრთელობისათვის მავნე და საშიშ სამუშაოებზე, ღამის ცვლაში და ზესაგანაკვეთო სამუშაოზე. პირებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკისათვის, არა აქვთ სრული ქმედუნარიანობა და მათი გათანაბრება ქმედუნარიანებთან არ შეიძლება. ამ საერთო წესიდან სამოქალაქო კანონმდებლობას აქვს გამონაკლისი. კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილით „იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით დაშვებულია ქორწინება თვრამეტი წლის ასაკამდე, პირი, რომელიც თვრამეტი წლისა ჯერ არ გამხდარა, სრულ ქმედუნარიანობას მოაპოვებს დაქორწინების დღიდან; იმის გამო, რომ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-15 მუხლით საქორწინო ასაკმა შეიძლება დაიწიოს არა უმეტეს ერთი წლისა, ხოლო რსფსრ საქორწინო და საო-

⁴ იხ. В. А. Рясенцев, Вопросы добровольного признания и судебного установления отцовства (в сб. В. И. Ленин и вопросы государственного строительства в Азерб. ССР), Баку, Изд-во АГУ, 1972, стр. 167); В. Я. Веберс, Установление отцовства, Ученые записки Латв. Гос. Университета, т. 107, 1968, стр. 87; Е. М. Белогорская, Основание возникновения родительских прав и обязанностей, «Вестник МГУ», 1971 г. № 2, стр. 86.

⁵ იხ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 77-ე მუხლი.

ჯახო კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით არა უმეტეს ორი წლისა (საქორწინო ასაკის დასაშვები შემცირება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არ სცილდება ამ საზღვრებს), მინიმალური საქორწინო ასაკი ყველა შემთხვევაში 16 წელზე ნაკლები არ არის.

მამ რატომაა, რომ აღამიანთა დაქორწინებისა და ქორწინების შედეგად ბავშვის დაბადებისათვის არსებობს მკაცრად განსაზღვრული ნორმა, ხოლო ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამობის დადგენისათვის ასეთი შედეგათებია დაწესებული?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ გონებრივი, მორალური და ფიზიკური მოწიფულობა აძლევს აღამიანს უფლებას განახორციელოს ისეთი მნიშვნელოვანი იურიდიული აქტი, როგორც არის ბავშვის მამობის აღიარება, აქედან გამომდინარე უფლებებითა და მოვალეობებით.

მთლიანად უნდა უყუვავდოდთ აგრეთვე საკითხი იმ პირების მამობის დადგენისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან არაქმედუნარიანებად.

ამ მხრივ, ჩვენ ვიზიარებთ ვ. ა. რიასენცევის აზრს იმის შესახებ, რომ მამად აღიარება შედეგია მნიშვნელოვანი და პასუხსაგები გადაწყვეტილებისა, რომელიც ითვალისწინებს საკმაო გონებრივ მოწიფულობას და ამ იურიდიული აქტის მნიშვნელობას, უნარს, ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებებს და მათ შედეგებს. ასეთი უნარი არაქმედუნარიან პირს არა აქვს⁶.

ვ. ი. ვებერსი გამოთქვამს აზრს, რომ დასაშვებია სასამართლოს გზით არაქმედუნარიანი პირის მამობის დადგენა, თუკი იგი ასეთად ცნობილია სულოთ ვადამყოფობის ან ჰუკუსუსტობის შედეგად⁷.

ჩვენი აზრით, ამას არ შეიძლება დავეთანხმოდთ, ვინაიდან სავსებით ცხადია, რომ არაქმედუნარიან პირს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე მშობლიური უფლება და მოვალეობა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია იმ პირის მამობის დადგენის თაობაზე, რომელიც არ არის ბავშვის ნამდვილი მამა.

ავტორთა უმეტესობა, რომელთა შეხედულებასაც ჩვენ ვიზიარებთ, ფიქრობს, რომ გამონაკლის შემთხვევებშიც კი არ უნდა დაფუძვთ იმ პირის მამობის დადგენა, რომელიც სინამდვილეში არ არის ბავშვის მამა,⁸ სხვა ავტორთა აზრით, გარკვეული გარემოებების არსებობისას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება ამის გაკეთება.⁹

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ პირების მამობის დადგენით, რომლებიც სინამდვილეში არ არიან მამები, ირღვევა მშობლებსა და ბავშვებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ძირითადი პრინციპი — ბავშვის სწორედ მოცემული მშობლებსაგან წარმოშობა და მათი ერთმანეთთან დაკავშირება სისხლის ნათესაობის საფუძველზე. მოქმედი კანონმდებლობის და რღვევასთან ერთად, ამ დროს ირღვევა აგრეთვე ბავშვის ნამდვილი მამის უფ-

⁶ იხ. ვ. ა. რიასენცევი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 169.

⁷ იხ. ვ. ი. ვებერსი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 87.

⁸ იხ. ე. მ. ბელოვსკაია, დასახელ. ნაშრომი, გვ. 38; А. А. Волохова, Доказывание по спорам об установлении отцовства, журнал «Советская юстиция», 1965, № 15, стр. 12—14.

⁹ იხ. ვ. ი. ვებერსი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 85.

ლებები. ამიტომ, დაუშვებელია მამობის ადმინისტრაციული წესით დადგენა იმ პირსა და ბავშვს შორის, რომლებიც ერთმანეთთან სისხლით არ არიან დაკავშირებულნი. მშობლიური უფლების წარმოშობისათვის ასეთ პირსა და სხვის ბავშვს შორის საჭირო არაა მამობის დადგენა მამის ორგანოების საშუალებით. ამისათვის არსებობს შვილად აყვანის ინსტიტუტი.

მამად ცნობის თაობაზე მამის ორგანოებში ერთობლივი განცხადების შეტანით მშობლები ადასტურებენ სისხლითი კავშირის არსებობას მათსა და ბავშვს შორის. „ეს დადასტურება — ამბობს ე. მ. ვოროჟეიკინი, — საფუძვლად ედება რეგისტრაციას. აქ მთავარია ნებელობითი ფაქტორი“.¹⁰

ამის შესაბამისად, რეგისტრაცია როგორც იმ ბავშვისა, რომელიც ქორწინების დროს დაიბადა, ასევე იმ ბავშვისა, რომელიც ქორწინების გარეშე დაიბადა, საბუთდება ბავშვის ნამდვილი წარმოშობით მოცემული მშობლებისაგან, მხოლოდ პრეზუმფციისაგან განსხვავებით, რომელიც განმსაზღვრელია რეგისტრირებული ქორწინებისაგან ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დროს, ადმინისტრაციული წესით მამობის დადგენისას განმსაზღვრელი ფაქტორია მამის ნება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა მშობლებსა და ბავშვებს შორის წარმოიშობა მამის ორგანოებში ბავშვის დაბადების რეგისტრაციის მომენტიდან.

ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ადასტურებს მის სისხლით კავშირს მშობლებთან და მათგან წარმოშობას, იმიტომ, რომ სამართლებრივი ურთიერთობა შეიცავს არა მარტო ბიოლოგიურ კავშირს, არამედ მშობლიური უფლებებისა და მოვალეობების ძირითად კომპლექსს, რომელსაც დენადი ხასიათი აქვს.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ე. მ. ვოროჟეიკინი, „მოცემული მშობლებისაგან წარმოშობის ფაქტი და მისი დადგენა სათანადო წესით — აუცილებელი ელემენტებია, რომლებიც წარმოშობენ მშობლიურ უფლებებსა და მოვალეობებს“.¹¹

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მამის ორგანოებში ერთობლივი განცხადების შეტანა მამად ცნობის თაობაზე მხოლოდ მამის თანხმობას მოითხოვს. როგორც კანონშია მითითებული, „შვილის წარმოშობა ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან დგინდება მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით“,¹² ე. ი. თანხმობა უნდა გამოემდინარეობდეს როგორც მამისაგან, ისე დედისაგან.

იურიდიულ ლიტერატურაში აქცენტი გაკეთებულია მამაზე, ვინაიდან ყველაზე უფრო ხშირად მამები იკავებენ თავს ასეთი განცხადების შეტანისაგან, თუმცა პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როცა მასზე უარს აცხადებს დედაც.

ასეთ შემთხვევებში დაინტერესებულ მხარეს („ერთ-ერთ მშობელს“) შეუძლია სასამართლოს გზით დაამტკიცოს ბავშვის წარმოშობა მისგან.

თუ ბავშვის დედა გარდაიცვალა ან მისი ადგილსამყაროელი უცნობია,

¹⁰ Е. М. Ворожейкин. Семейные правоотношения в СССР. Изд. Ю. Л., 1972, стр. 157.

¹¹ იხ. იქვე, გვ. 157.

¹² იხ. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი, 51 მუხლი.

მამას შეუძლია თვითონ შეიტანოს მამის ორგანოებში განცხადება მამად ცნობის შესახებ. მამის ეს უფლება გამოდინარეობს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 53-ე მუხლიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლებიდან. კანონი არ აძლევს უფლებას დედას ანალოგიური სიტუაციის დროს შეიტანოს მამის ორგანოში დამოუკიდებელი განცხადება.

ჩვენ გავეცანით ქ. თბლისის კალინინის, კიროვის, I მაისისა და 26 კომისიის სახელობის რაიონების მამის ორგანოების 1964-1973 წლების პრაქტიკას. მასალების ანალიზი გვიჩვენა, რომ 1969-1973 წლებში 1964-1968 წლებთან შედარებით, მკვეთრად შემცირდა იმ ბავშვთა რიცხვი, რომლებსაც იურიდიულად არა ჰყავდათ მამა და რომლებიც დედის გვარზე იწერებოდნენ.

ახალი საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის შემოღებიდან პირველ სამ წელიწადს მკვეთრად სჭარბობდა მამობის დადგენა იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც დაიბადნენ 1968 წლის I ოქტომბრამდე. შემდგომში მდგომარეობა იცვლება. 1972 წლიდან მამის განყოფილებაში სჭარბობს მამობის დადგენა იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც დაიბადნენ სწორედ ამ 1972 წელს. ეს გარემოება, აგრეთვე აღნიშნული კატეგორიის განცხადებათა დიდი რიცხვი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ადამიანებმა სიამოვნებით შეასრულეს თავიანთი ვალი ამ ბავშვების მიმართ.

ამასთანავე შეიმჩნევა ისიც, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები როგორც მატერიალური, ისე საბინაო-ყოფაცხოვრებითი თვალსაზრისით უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილი წრიდან არიან. დღეისათვის ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მდგომარეობა რამდენადმე უფრო უარესია, ვიდრე ბავშვებისა, რომლებსაც ჰყავთ როგორც დედა, ისე მამა.

ძალიან ძნელია იმის თქმა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა იგი მამის მიერ თავისად არის მიჩნეული, იმ ბავშვის პირობებში იმყოფება, რომელსაც მთლიანად არჩენს და ზრდის მამა. საბოლოო ანგარიშით, მისი ინტერესები ილახება მორალურად და ნაწილობრივ მატერიალურად.

სამართლებრივი ურთიერთობა მშობლებსა და ბავშვებს შორის წარმოიშობა აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლება აქვს როგორც ბავშვის დედას, ისე მამას. ძირითადად მამობის დადგენის მიზნით სარჩელი შეაქვს დედას, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სასამართლოს მიმართავს მამაც. ამასთან, სასამართლო ღებულობს მისგან განცხადებას იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ჯერ კიდევ არ არის მამის ორგანოებში რეგისტრირებული ან რეგისტრირებულია დედის გვარზე. თუ ბავშვი დედის ქმრის გვარზე იწერება, მაშინ დგება არა მამობის დადგენის, არამედ მამობის სადავოდ გახდომის საკითხი.

სასამართლო სარჩელს ყველა შემთხვევაში არ დააკმაყოფილებს. კანონით მკაცრად არის განსაზღვრული იმ გარემოებათა წრე, რომლებიც საფუძველს იძლევა მამობის სასამართლო წესით დადგენისათვის¹³.

მამობის დადგენის მიზნით სასარჩელო განცხადების შეტანა შეიძლება

¹³ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 51-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსების შესაბამისი მუხლები.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაიბადა 1968 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ.

ასეთ შემთხვევაში კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს.

მამობა განსაკუთრებული წარმოების წესით შეიძლება დადგინდეს ბავშვის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაიბადა 1968 წლის 1 ოქტომბრამდე და მას გარდაეცვალა მამა.

ყველა ეს საქმე განსაკუთრებული წარმოების წესით იმიტომ განიხილება, რომ მოპასუხე არ არის და საკითხის გადაწყვეტა სარჩელის წარდგენის გზით შეუძლებელია.

იმისგან დამოუკიდებლად, როგორ დაიბადა ბავშვი — რეგისტრირებულ ქორწინებით თუ ქორწინების გარეშე და მამობა დადგენილია მამის ორგანოებში თუ სასამართლოში, მშობლებსა და ბავშვებს შორის მყარდება ურთიერთობები, რომლებიც მთელი მათი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება.

თუ მამობა არც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოშია დადგენილი და არც სასამართლო წესით, მაშინ დაბადების რეგისტრაციის დროს ჩანაწერი მამის გვარის შესახებ კეთდება დედის გვარის მიხედვით, ხოლო ბავშვის მამის სახელი და ეროვნება იწერება დედის მითითებით.

იმ შემთხვევაში, თუ მამობა არ იქნება დადგენილი, სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ ბავშვსა და დედას შორის. ამასთან სახელმწიფო დახმარების მთელი სახსრები დედის განკარგულებაშია.

კანონმდებელმა უარი თქვა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების დაბადების მოწმობებში მამის შესახებ მონაცემების ნაცვლად ხაზის გასმის სისტემისაგან, რითაც თავიდან ააცილა როგორც დედას, ისე ბავშვს მძიმე განცდები.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის მომენტიდან დღემდე ყველა ბავშვს, განურჩევლად მათი მშობლების ურთიერთობების ხასიათისა, სახელმწიფო იცავს. მაგრამ ახალმა საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობამ შესაძლებლობა მისცა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს არ იცოდნენ განსხვავება მათი დაბადების რეგისტრაციის ფორმის მიხედვით.

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მიმართ მამობის დადგენის შესაძლებლობა შეესაბამება როგორც ბავშვებისა და მშობლების, ისე სახელმწიფოს ინტერესებს.

პროფ. გ. ნანეიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხისათვის

ბ. სავანელი

საკმარისი აღმოჩნდა პროფ. გ. ნანეიშვილის ნაშრომიდან — „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ — რამდენიმე ნაზრევი ციტატის სახით რუსულ ენაზე გამოქვეყნებულიყო, რომ მათ დაუყოვნებლივ გამოხმაურებოდნენ საბჭოთა მეცნიერები. საბჭოთა სამართლის თეორიის ცნობილმა სპეციალისტმა ს. ს. ალექსეევმა პროფ. გ. ნანეიშვილის ნაშრომს უწოდა «интересное исследование»¹. მხოლოდ რამდენიმე ციტატა გახდა საკმარისი, რომ ისეთ სერიოზულ მკვლევარს, როგორც ს. ს. ალექსეევია, გაეკეთებინა ასეთი დასკვნა. ცნობილმა ცივილისტმა, რ. ფ. კალისტრატოვამ პროფ. გ. ნანეიშვილის ერთ-ერთ ნაზრევს, რომელიც შეეხება სამართლის სოციალური ეფექტურობის საკითხს, მხარი დაუჭირა. ეთანხმება რა პროფ. გ. ნანეიშვილის შეხედულებას, იგი წერს: «Действительно с помощью норм права в общественные отношения привносится заранее намечаемая линия развития, «планируется» определенный социальный эффект»².

ეს ფაქტები ბევრის მთქმელია. როგორც ვხედავთ, პროფ. გ. ნანეიშვილის ნაზრევი თანდათან ყურადღებას იპყრობს. პროფ. გ. ნანეიშვილის შემოქმედებაში კიდევ მოინახება ისეთი დებულებები, რომლებსაც მიიღებენ და გაიზიარებენ საბჭოთა მეცნიერები, ზოგიერთი თეორიული კონსტრუქცია კი გარკვეულ წვლილს შეიტანს ბევრი კარდინალური პრობლემის გარკვევაში. მაგალითად, უკანასკნელ წლებში დაიწყო სამართლის ფილოსოფიური პრობლემების ინტენსიური კვლევა, რასაც ის მოჰყვა, რომ სამართლის თეორიას ცალკე დარგად თანდათან ეყოფა სამართლის ფილოსოფია. პროფ. გ. ნანეიშვილმა ჯერ კიდევ 20-იან წლებში დააყენა სამართლის ფილოსოფიის ზოგიერთი ისეთი პრობლემა, რომელიც აქტუალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება საბჭოთა სამართლის თეორიაში. ავიღოთ, მაგალითად, საკითხი სამართლის ღირებულების შესახებ. ეს პრობლემა საბჭოთა სამართლის თეორიისათვის ახალია. პროფ. გ. ნანეიშვილის ზემოთ აღნიშნული ნაშრომი კი ამ საკითხში მეტად საინტერესო და ბევრის მთქმელია.

რა თქმა უნდა, პროფ. გ. ნანეიშვილის ზოგიერთი დებულება სამართლის ნამდვილობის შესახებ მიუღებელია მარქსისტული სამართლის თეორიისათვის, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას საერთოდ უარვყოთ მის მიერ გამოთქმული პროგრესული და დღეისათვის ზედმიწევნით აქტუალური დებულებები. როგორც ჩანს, საჭიროა ყურადღებით შევაფასოთ პროფ. გ. ნანეიშვილის შემოქმედება, ვფარკვიოთ და ჩვენც გავერკვეთ, თუ რა არის მარქსისტული და რა არ არის მარქსისტული მასში — თანამედროვე საბჭოთა ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებით. ამ საკითხის გარკვევაში უპირველეს ყოვლისა, დიდ სამსახურს გავვიწევენ ფილოსოფოსები, რად-

¹ «Правоведение», 1970, № 5, стр. 106.

² Р. Ф. Калистратова, Государственный Арбитраж, М., 1973, стр. 56.

გან პრინციპულად, სამართლის ფილოსოფია ჯერ ფილოსოფიაა და შემდეგ სამართალი. იმისათვის, რომ ობიექტურად შევაფასოთ პროფ. გ. ნანეიშვილის სამართლის ფილოსოფია, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ღირებულების საბჭოთა თეორიიდან გამოვდიოდეთ. ღირებულების თეორია კი საბჭოთა ფილოსოფიურ მეცნიერებაში ქართველ ფილოსოფოსებს კარგად აქვთ დამუშავებული.

პროფ. გ. ნანეიშვილის სამართლის ფილოსოფიის შესაფასებლად არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს თანამედროვე ფიზიკის ზოგადთეორიულ დასკვნებს. თანამედროვე ფიზიკას ცნება „არსებობა“ ორი აზრით ესმის: კონკრეტული ფიზიკური ობიექტების (პროცესების) „დროში“ არსებობისა და სივრცობრივ-დროითი სტრუქტურების „ლოგიკურად“ არსებობის აზრით. ლოგიკური არსებობის აზრით წარსული და მომავალი მოვლენები არანაკლებ რეალურია, ვიდრე აწმყოს მოვლენები. როდესაც მათემატიკოსი ამბობს, რომ „არსებობს მთელი რიცხვები“, მას, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა აქვს, რომ მთელი რიცხვები არსებობს „დროში“. ფიზიკური ობიექტებისაგან განსხვავებით, მათემატიკურ ობიექტებს არა აქვთ ონტოლოგიური სტატუსი. თუმცა დროის გარკვეული მონაკვეთი შეიძლება დაიყოს უსასრულობამდე, მაგრამ ლოგიკურად ეს მონაკვეთი უყოფადია. სივრცობრივ-დროითი სტრუქტურების დროის გარეთ (ლოგიკურად) არსებობის დაშვება სრულიად არ ეწინააღმდეგება კონკრეტული ფიზიკური მოვლენების დროით (მიმდინარე, პროცესუალურ) ხასიათს, ისინი ერთმანეთს არ გამოირიცხავენ. ეს დასკვნები ზოგიერთი დაზუსტებით შეიძლება მიესადაგოს პროფ. გ. ნანეიშვილის სამართლის ფილოსოფიას.

კიდევ ერთი გარემოება. თუ კი თვალს გადავავლებთ უკანასკნელი 15 წლის საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურას, შევამჩნევთ ერთ ნიშანდობლივ ფაქტს: ყველა მეცნიერი თავის მონოგრაფიაში თავს მოვალედ თვლის საფუძვლიანად მიმოიხილოს რევოლუციამდელი გამოჩენილი რუსი მეცნიერ-იურისტების ის პროგრესული შეხედულებები და დებულებები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავს ძალა და მნიშვნელობა, თუმცა ეს მეცნიერები საერთოდ შორს იყვნენ მარქსიზმიდან. ჩვენ კი ისე არ ვმუშაობთ პროფ. გ. ნანეიშვილის შემოქმედებაზე, რომ მასში გამოთქმული პროგრესული, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის მისაღები აზრები და დღეისათვის აქტუალური დებულებები გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას. მაგალითად, წმინდა მარქსისტული თვალსაზრისით საყურადღებოა პროფ. გიორგი ნანეიშვილის ორიგინალური დებულება ბაზისის, ზედნაშენის და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, მისი აზრი სამართლის სოციალური ფუნქციის შესახებ, რომელიც კარგად შენიშნა რ. ფ. კალისტრატოვამ და სხვა საკითხები. ეს არც არის გასაკვირი, რადგან აღნიშნულ ნაშრომში, რომელიც 1928 წელს გამოვიდა, პროფესორმა უკვე მიიღო ზოგიერთი მარქსისტული დებულება, ხოლო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როგორც ცნობილია, პროფ. გიორგი ნანეიშვილი საბოლოოდ ჩადგა საბჭოთა იურიდიული მეცნიერების სამსახურში. სწორად შენიშნა ვ. ევანია: „ზოზო ნანეიშვილის მნიშვნელოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა დეტალურ შესწავლას მოითხოვს“³.

რა თქმა უნდა, არ იქნება სწორი, თუ პროფ. გიორგი ნანეიშვილის ზემოთ ხსენებულ ნაშრომს (მე მხედველობაში მაქვს მისი კონსტრუქცია სამართლის ნამდვილობის შესახებ) მარქსისტულად ჩავთვლით. თუმცა ავ-

³ ვ. ევანია. ქართველი იურისტები. თბ., 1961, გვ. 108.

ტორი იზიარებს ზოგიერთ მარქსისტულ დებულებას, ნაშრომის ეს ნაწილი მაინც არ არის მარქსისტული, მაგრამ არც ის იქნება სწორი, რომ დავუკარგოთ და არ ვავაცნოთ ფართო საზოგადოებას ნაშრომის დადებითი და ღირსშესანიშნავი მხარეები, მით უმეტეს, რომ ისინი გაამდიდრებენ საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებას. მაგალითად, როგორც ცნობილია, საბჭოთა სამართლის მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკული შეფასება. ამ აზრით, პროფ. გ. ნანეიშვილის ნაშრომები ზედმიწევნით სასარგებლოა. თავის ნაშრომებში პროფ. გ. ნანეიშვილი იძლევა ნორმატიული და ფსიქოლოგიური თეორიების ისეთ ორიგინალურ, ფართო და ღრმა კრიტიკას, რომლის მსგავსი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ძნელად თუ მოიძებნება.

ყურადღების ღირსია კიდევ ერთი გარემოება. პროფ. გ. ნანეიშვილის ზემოთ ხსენებული ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან: სამართლის ნამდვილობა და ნორმატიული ფაქტები. თუ კი პირველი ნაწილის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ ავტორი არ არის თავისუფალი იდეალისტური შეხედულებებისაგან, ამასვე ვერ ვიტყვით ნაშრომის მეორე ნაწილის მიმართ, სახელდობრ ნორმატიული ფაქტების თეორიის მიმართ⁴.

შეიძლება მთელი პასუხისმგებლობით ითქვას, რომ პროფ. გ. ნანეიშვილი პირველია, რომელმაც საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დასვა და ორიგინალურად გადაწყვიტა ნორმატიული ფაქტების საკითხი ჯერ კიდევ ოციან წლებში. მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, ე. ი. მხოლოდ ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა იურიდიული აზრი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა დამუშავდეს ეს პრობლემა. აღნიშნული პრობლემის დასა-დამუშავება დაკავშირებულია გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების — ნ. გ. ალექსანდროვის, მ. მ. აგარკოვის, ნ. ს. ნოვიკის, დ. მ. გენკინის, ა. ა. პაშერსტნიკის, რ. თ. ხალფინას სახელებთან. ამ მეცნიერებმა თავიანთ ნაშრომებში გამოიკვლიეს ხელშეკრულების როგორც ნორმატიული ფაქტის ბუნება, და აი როგორი, ჩვენი მეცნიერის შეხედულებათა ანალოგიური, დებულებები წამოაყენეს. საილუსტრაციოდ მოგვყავს ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერის რამდენიმე დებულება.

ნ. გ. ალექსანდროვის აზრით ხელშეკრულებას უნარი აქვს უშუალოდ მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი, განსაზღვროს მასში მონაწილე პირების უფლებები და მოვალეობები ზოგადი სამართლებრივი ნორმის ფარგლებში⁵.

რ. თ. ხალფინა უფრო შორს მიდის. მისი აზრით, ხელშეკრულება არა მარტო აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არა მარტო ადგენს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ აგრეთვე განსაზღვრავს კონკრეტულ კრიტერიუმებს მათი მოქმედების შესაფასებლად. ამ დროს საბჭოთა მეცნიერები იმარჯვებენ კ. მარქსის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ

⁴ ცნობისათვის უნდა ითქვას, რომ ნორმატიული ფაქტები სხვა არა არის რა, თუ არა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას აქტები, რომელთაც მხოლოდ 1955 წლის დისკუსიის შემდეგ განასხვავებენ ნორმის შეფარდების აქტებისაგან.

⁵ Н. Г. Александров, К вопросу о роли договора в регулировании общественных отношений, «Ученые записки ВЮОН», вып. VI, 1946, стр. 60 и др.

⁶ Р. А. Халфина, Значение и сущность договора в советском социалистическом праве», М., 1954, стр. 106.



გაცვლა არის იურიდიული ურთიერთობა, რომლის ფორმას წარმოადგენს ხელშეკრულება, სულ ერთია, ცნობს თუ არა მას კანონი. (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 23, стр. 94).

ასევე ანალოგიური დებულებები განავითარეს საბჭოთა მეცნიერებმა გარიგების ნათილობის შესახებ. მაგალითად, ნ. ს. ნოვიცკის აზრით, ბათილი შეიძლება იყოს მხოლოდ გარიგების შედეგი და არა ურთიერთობის მონაწილეთა ნება. პროფ. დ. მ. გენკინის აზრით მართლზომიერება ან არამართლზომიერება არ წარმოადგენს თვით გარიგების თვისებას, ნიშანს. იმავე ნ. ს. ნოვიცკის აზრით, მხოლოდ სასამართლოს ან არბიტრაჟს შეუძლია აღიაროს გარიგება ბათილად, მანამდე კი გარიგება არც ბათილია და არც ბათილი არ არის. მ. მ. აგარკოვიც ასევე თვლის, რომ გარიგება თავისთავად არ შეიძლება იყოს ბათილი⁷.

სწორედ ამ დებულებებზე ააგო დაახლოებით 50 წლის წინათ პროფ. გ. ნანეიშვილმა ნორმატიული ფაქტების ორიგინალური თეორია. დღეს, ზოგადთეორიულ ასპექტში ამ თეორიამ თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა ს. ს. ალექსეევის, ო. ა. კრასავჩიკოვის და ვ. მ. გორშენევის უკანასკნელი წლების ნაშრომებში. რამდენად მოიგებდა დღეს საბჭოთა იურიდიული მეცნიერება, ეველა საბჭოთა მეცნიერს რომ ჰქონოდა შესაძლებლობა გაცნობოდა მათი წინამორბედის თეორიას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ პროფ. გ. ნანეიშვილმა პრობლემა სწორად დააყენა და გადაწყვიტა, ნორმატიული ფაქტები მან მოწყვიტა სამართალს, გამოირიცხა სამართლის მხრივ ნორმატიული ფაქტების რეგულირების შესაძლებლობა. მთლიანობაში კი პროფ. გ. ნანეიშვილის თეორიულ კონსტრუქციას დღესაც არ დაუკარგავს მიმზიდველი ძალა, და მას დღესაც შეუძლია ბევრი რამ შესძინოს საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებას.

განსაკუთრებით ფართო ასპარეზი აქვს ნორმატიული ფაქტების ნანეიშვილისეულ თეორიას საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში, სადაც ხელშეკრულებას დომინირებული ადგილი უჭირავს. როგორც ცნობილია, საერთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობს მათში მონაწილე სახელმწიფოთა ნებაზე მძლავრად მდგომი სუვერენული ხელისუფლება. და ამიტომ არის, რომ ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლის უმთავრესი წყარო და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ძირითადი რეგულატორია, ე. ი. ფაქტია, რომელსაც ნორმატიული ძალა აქვს.

დღეს ეს კონცეფცია ეხმაურება სოციალური მართვის თეორიასაც, კერძოდ კი სოციალური მართვის იმ პრობლემას, რომელიც ცნობილია, „თვითრეგულირებული სისტემების“ სახელით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ნორმატიული ფაქტების თეორიამ საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში ე. წ. „აბტონიური რეგულირების“ სახელი მიიღო.

⁷ Н. С. Новицкий. Сделки, исковая давность, М., 1964, стр. 71; Д. М. Генкин, Недействительность сделок, совершенных с целью, противной закону, «Ученые записки ВИЮН», 1947, вып. V, стр. 5; М. М. Агарков, Понятие сделки по советскому гражданскому праву, «Советское государство и право», 1946, № 2, стр. 26).

⁸ ასე მაგალითად, ს. ს. ალექსეევის აზრით: В области социалистического хозяйствования одним из инструментов децентрализованного регулирования является хозяйственный договор. (об. С. С. Алексеев. Право и управление в социалистическом обществе, «Советское государство и право», 1973, № 6, стр. 18).

ნორმატიული ფაქტების აღნიშნული თეორია მეტ უღერადობას იძენს ახალი ეკონომიკური რეფორმის პირობებში, ხოლო ადმინისტრაციულ მართლ-ურთიერთობებში ამ თეორიას შეუძლია ახსნას ცენტრალისტური და დეცენტრალისტური რეგულირების ურთიერთმოქმედების ზოგიერთი ძირითადი ასპექტი.

ყველა ზემოთმოყვანილი ფაქტი ცხადად მიგვანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა თბიქტურად (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე) შეფასდეს პროფ. გიორგი ნანეიშვილის დეაწლი საბჭოთა და კერძოდ ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარების საქმეში. ამისათვის კი, დასაწყისისათვის საჭიროა, პროფ. გ. ნანეიშვილის შემოქმედების ძირითადი ნაკვეთები (ზოგიერთი სტატია კი მთლიანად) გაეზადოთ ცნობილი ფართო იურიდიული საზოგადოებისათვის. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ აგრეთვე დადებითად გამოეხმაურებიან საბჭოთა მეცნიერები.



საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის კომისიის დამნაშავეობის პროკლამაციაში

3. მებრალიზილი, შინაგანი სამსახურის მაიორი

საბჭოთა მილიცია — დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირმო — სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ერთგულად ემსახურებოდა ხალხს. შ. ი. კალინინის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი „საბჭოთა ხელისუფლების იდეების ბრწყინვალე გამტარებელია“. დღეს საბჭოთა მილიცია ჩამოყალიბებული მონოლითური კოლექტივია, რომელსაც შეუძლია უმოკლეს ვადაში გადაწყვიტოს რთული ოპერატიული პრობლემები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვა, დამნაშავეობის, მისი წარმომშობი მიზეზებისა და ხელმეწყობი პირობების აღმოფხვრა. ამისათვის აუცილებელია ყოველმხრივ გაძლიერდეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, დროულად გამოვლინდეს კანონის დარღვევის თვითელი ფაქტი, უთუოდ განხორციელდეს დამნაშავეის დასჯის გარდუვალობის ლენინური პრინციპი. სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ყველა სამინისტროსა და უწყების, წარმოების, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, სასწავლებლის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა. დამნაშავეობის თავიდან აცილება და პროფილაქტიკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი საზოგადოების გენერალური ხაზია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„კომუნისმის მშენებელ საზოგადოებაში, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა. მაგრამ სანამ არის დამნაშავეობის გამოვლინებები, სასტიკი ზომები უნდა ვიხმართ იმ პირთა დასასჯელად, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში დანაშაულობანი, დაარღვიეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, არა სურთ ეზიარონ პატიოსან შრომით ცხოვრებას, ნთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის თავიდან აცილებას“.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში წარმატებებს შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ პროფილაქტიკური მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერების საფუძველზე.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, რომ შეინიშნება გარდატეხა ადამიანთა უსიქიკამიც. რესპუბლიკის თითოეული მშრომელი, კომუნისტი, წესრიგის დამცველი მხურვალედ უჭერს მხარს ყველა იმ ღონისძიებას, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს თანამედროვე ეტაპზე.

შინაგან საქმეთა ორგანოები ამჯერადაც მხარში უდგანან რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას. მილიციაში მოვიდა ახალი შევსება, რომელთა ზოგადსაგანმანათლებლო დონე, ერუდიცია, მუშაობის წყურვილი არსებითად უზასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს.

სკკპ XXIV ყრილობამ მალალი შეფასება მისცა სოციალისტური კანონიერ-

რებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის საბჭოთა მილიციის მიერ გაწეულ მუშაობას. ამასთან ყრილობაზე აღინიშნა, რომ აუცილებელია განხორციელდეს ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და მილიციის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების აუცილებლობა ნაკარნახევია ჩვენი ქვეყნის განვითარებით. მიმდინარეობს საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაცია, ფართოვდება მოქალაქეთა უფლებები, განუხრელად მალდდება მოსახლეობის განათლების და კულტურის დონე. თანდათანობით ქრება არსებითი განსხვავება გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის. ადამიანის ქცევის შეფასების მორალური კრიტერიუმი სულ უფრო იზრდება. ამალდა საზოგადოების წინაშე პიროვნების პასუხისმგებლობაც. „მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის, კულტურული ღონისა და შეგნებულობის ზრდა ყველა პირობას ქმნის ამისათვის, რომ აღმოიფხვრას დამნაშავეობა“ — ნათქვამია სკკპ პროგრამაში.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენს ქვეყანაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების შედეგად დანაშაულობათა რიცხვი რამდენჯერმე შემცირდა, მოისპო პროფესიონალური დამნაშავეობა, რომელიც დღემდე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის სოციალურ უბედურებად ითვლება.

დამნაშავეობის შემდგომი შემცირება, შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე მდგომი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია საზოგადოებრივ მოვლენათა ღრმა კვლევის, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავების, დამნაშავეობასთან ბრძოლაში მთელი საზოგადოებრიობის ჩაუბმელად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან რამდენიმე წელია არსებობს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები — მეცნიერები, ხელოვნების, ლიტერატურის წარმომადგენლები. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საბჭოს წევრები არიან: ნიკო მუსხელიშვილი, ავლიბ ზურაბაშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ირაკლი აბაშიძე, თინათინ წერეთელი, ვენორი ქვაჩაბია, ბორის ფურცხვანიძე, ირაკლი ანთელავა, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ანგია ბოჭორიშვილი, პაატა გუგუშვილი; კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ნატროშვილი, ბესარიონ ქლდენტი, რევაზ მარჯანი, რევაზ ჯაფარიძე, მურმან ლებანიძე, იოსებ ნონეშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი, ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, უჩა ჯაფარიძე, სიკო დოლიძე, ვასო გოძიაშვილი, ოთარ ევაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ბორის პაიჭაძე, ვანტანგ ბალავაძე, საკოლმეურნეო სოფლის და საწარმოთა მოწინავენი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა არსებობის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

ინსტიტუტი კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა-ძიების უახლესი მიღწევების გამოყენებით პრაქტიკაში ნერგავს დამნაშავეობასთან ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებულ ყველაზე ქმედით, ოპტიმალურ რეკომენდაციებს.

ინსტიტუტს ამ მხრივ ბევრი რამ აქვს გაკეთებული. პერიოდულად ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში ეწყობა ინსტიტუტის გაფარ-

თოვებული სსდომები, რომელიც წესრიგის დაცვის თანამედროვე პრობლემებს ეძღვნება.

სსდომის ინსტიტუტის წევრებს ვარდა ესწრებიან სასამართლო-პროკურორატურის, დედაქალაქის მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები, პარტიული კომიტეტების, კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქალაქო და რაიონული შტაბების უფროსები, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვ.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში შინაგან საქმეთა ორგანოების და საზოგადოებრიობის კონტაქტების განმტკიცებას მიუძღვნა თავისი მოხსენება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა კ. კეთილაძემ, საზოგადოებრივი აზრის ფსიქოლოგიის თაობაზე მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის საბჭოს წევრმა აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საბჭოს წევრებმა ვლ. ბაჯელიძემ (ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე) მარიკა ლორთქიფანიძემ (პროფესორი), ვასილ პაპინაშვილმა (სოციალისტური შრომის გმირი, ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალი), ვერიკო ანჯაფარიძემ (სსრ კავშირის სახალხო არტისტი), ოთარ ეგაძემ (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), ვლადიმერ ჭავჭავაძემ (საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, კობერნეტის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი) ილაპარაკეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მოპოვებულ წარმატებებზე.

სსდომაზე აღინიშნა, რომ მილიციის საქმიანობის საზოგადოებრიობისათვის გაცნობა სასარგებლო საქმეა, ამოღებს მილიციის ავტორიტეტს. ხაზგასმით ითქვა, რომ შემოქმედებითმა ინტელიგენციამ მწერლებმა, თეატრმა, ტელევიზიამ, კინემატოგრაფიამ უნდა შექმნან მეტი მხატვრული ნაწარმოებები შინაგან საქმეთა ორგანოების პატრიოტულ-მოქალაქეობრივ მოღვაწეობაზე.

სსდომაზე დიდი სჯა-ბაასი იყო ბრაკონიერობის საკითხებზე. საქართველოში 70.000-მდე კაცს აქვს ორლულიანი სანადირო თოფი. საკითხავია, ვის სჭირდება სანადირო თოფებითა და ტყვია-წამლით შეიარაღებული ამოდენა „არმია“?

ინსტიტუტის სსდომაზე გამოითქვა ღრმა რწმენა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოები საზოგადოებრიობის მხარდაჭერით, კვლავაც იბრძოლებენ მშრომელი ადამიანის სიმშვიდისათვის, რესპუბლიკაში სანიმუშო-საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

სსდომის შემდეგ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საბჭოს წევრები მივლინებულ იქნენ 15 ქვეყანაში (ქუთაისი, რუსთავი, თელავი, ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, წულუკიძე და სხვ) პირად შემადგენლობასთან მაღალი კულტურისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხებზე საუბრებისა და მოხსენებების ჩასატარებლად. ლექცია-მოხსენებები წაკითხულ იქნა აგრეთვე დედაქალაქის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებში.

ამ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, აკადემიკოსებმა — ა. ზურაბაშვილმა, ა. ბოჭორიშვილმა, ნ. კეცხოველმა, პროფესორებმა — მ. ლორთქიფანიძემ, ი. ტაბაღუამ, უ. ობო-

ლაძემ, მ. კვესელავამ, მწერლებმა — რ. მარგიანმა, ბ. ჟღენტმა, ს. წვერაევამ, და სხვებმა.

მოეწყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გამსვლელი სხდომა საქართველოს ტელევიზიასთან ერთად — მუქთასობობასთან ბრძოლის პრობლემაზე. ადრე ინსტიტუტის სექციებმა სამსახურის განყოფილებასთან ერთად შეისწავლეს თუ როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში. შემუშავებულ იქნა სათანადო რეკომენდაციები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საბჭოს წევრებმა — სამართალდარღვევათა სოციალური კვლევის სექციის ხელმძღვანელმა ა. გაბიანმა, სექციის წევრებმა — სოციალისტური შრომის გმირმა ვ. პაპინაშვილმა, სოციალისტური შრომის გმირმა, გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. მამისაშვილმა და სხვებმა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის სექციამ, სისხლის სამართლის სამსახრო სამმართველოს შესაბამის განყოფილებასთან ერთად შეისწავლა ჩადენილ მკვლევლობათა ხელშემწყობი პირობები. შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები ამ საშიში დანაშაულის პროფილაქტიკისათვის. ბოლოს კი ამ სექციამ (ხელმძღვანელი პროფესორი გ. ინწყირველი) შეადგინა მიმოხილვითი წერილი, რომელშიც გაანალიზებული იყო მკვლევლობებისა და მკვლევლობების მცდელობის ფაქტები. იგი გადამრავლდა და სახელმძღვანელოდ დაეგზავნა რესპუბლიკის ყველა შინაგან საქმეთა რაიონულ, საქალაქო, ადმინისტრაციულ და პარტიულ ორგანიზაციებს.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა საგამომძიებლო სამმართველოსთან ერთად შეისწავლა ბოლო წლებში სახელმწიფო ქონების დატაცების პრაქტიკა და შესაბამის საწარმოებში მოაწყო დისპუტი თემაზე: „დანაშაული არ მოხდებოდა, რომ... (კოლექტივი, პროფილაქტიკა, კანონი“).

ასეთი დისპუტი მოეწყო მაგალითად, თბილისის სინთეტიკური ბოჭკოების ქარხანაში. საწარმოში წლების განმავლობაში მოკალათებულნი იყვნენ გამფლანგველები — თ. ლაზიშვილი, შ. ჭეიშვილი და სხვები, რომლებმაც დიდძალი სახელმწიფო თანხა მიითვისეს. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები, სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს და პოლიტაპარატის ხელმძღვანელი მუშაკები. ინფორმაციით გამოვიდა საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. ნაჭყეპია. დისპუტზე მთელი პირდაპირობითა და გულახდილობით აღინიშნა ის დანაშაულობები, რაც ამ ქარხანაში ხდებოდა. დისპუტის მსვლელობა გადიოდა საქართველოს ტელევიზიამ და ნახვენები იქნა „მოამბეში“.

ამავე თემაზე მოეწყო დისპუტი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სპეციალურ-საკონსტრუქტორო ბიუროში. აქაც წარსულში იყო დიდძალი სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები.

ინსტიტუტის საბჭოს სამართალდარღვევათა სოციოლოგიური კვლევისა და სისხლის სამართლის დანაშაულებასთან ბრძოლის სექციებმა, სამინისტროს სისხლის სამართლის სამსახროს სამმართველოსთან ერთად შეისწავლა მეზობლური დავისა და ოჯახური კონფლიქტის მდგომარეობა ამ ხანად ყველაზე დაზიანებულ საგარეჯოს რაიონში.

ამ საკითხზე პარტიის საგარეჯოს რაიკომის საექტო დარბაზში გაიმართა

ინსტიტუტის გამსვლელი სხდომა, რომელსაც დაესწრენ პროფ. მ. გაფრინდაშვილი, მწერლები გ. ფანჯიკიძე, რ. ინანიშვილი, საქართველოს ტელევიზიის პრობაგანდის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილე ფ. დანელია, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, მოდავე მეზობლები.

შინაგან საქმეთა ორგანოების საზოგადოებრიობასთან კავშირის განმტკიცებას ისახავდა მიზნად მილიციის დღის ჩატარება ქ. თბილისის ელმავალ-საშენებელ ქარხანაში და გორის რაიონის სოფ. ტყვიავში.

ელმავალსაშენებელ ქარხანაში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ კ. კეთილაძესთან ერთად იყვნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები პრესის, ტელევიზიისა და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წარმომადგენლები. მინისტრი გაეცნო ქარხნის ცხოვრებას, ესაუბრა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებს, მოაწყო მოქალაქეთა მიღება მათთვის საჭირობოროტო საკითხებზე, მოხსენებით გამოვიდა მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე და პასუხი გასცა მრავალ შეკითხვას.

გორის რაიონის სოფელ ტყვიავშიც, რომლის მშრომელები საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების ერთ-ერთ ინიციატორებად გამოვიდნენ სოფლის ყრილობაზე მოხსენებით მინისტრი გამოვიდა. იმ ხანად სოფელში იმატა დანაშაულებებმა, ეს გაითვალისწინა სამინისტრომ და ინსტიტუტის საბჭომ და სწორედ ტყვიავში მოაწყო ღონისძიება. იგი ფართოდ გაუშქდა პრესაში და უჩვენეს ტელევიზიით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ამ ბოლო დროს განხორციელდა პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებების კომპლექსი ქუთაისში, წყალტუბოში, რუსთავში, აფხაზეთის ასსრ-ში, რამაც კარგი შედეგი მოგვცა.

გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული ინსტიტუტის სექციებს, რომლის უმრავლესობა ნაყოფიერად მუშაობს. ამის მკაფიო დადასტურება იყო ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდა კადრებთან მუშაობას.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის კადრებთან მუშაობის სექციის გაფართოებულ სხდომაზე მოწვეულ იქნენ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებათა მუშაკები. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სამინისტროს კოლეგიის წევრები, სამმართველოთა და განყოფილებათა უფროსები.

სხდომა გახსნა ინსტიტუტის რექტორმა ვ. ჭავჭავაძემ.

გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახალგაზრდა კადრებთან მუშაობა, განსაკუთრებით კურსდამთავრებულების სამუშაოზე მოწყობის საქმე ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოგვარებული.

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ თანამედროვე პირობებში ახლებურად უნდა გადაწყდეს ახალგაზრდა თანამშრომლებთან მუშაობის საკითხი. საჭიროა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ მოვიდნენ საქმიანი და სერიოზული პირები, რომლებსაც ცხოვრების საკმაო პრაქტიკა აქვთ გავლილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა სხდომაზე მოწვეულ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს, საზოგადოებ-

რივი აზრის ინსტიტუტის საბჭოს წევრებს, შინაგან საქმეთა ორგანოებისადმი ასეთი მხარდაჭერისათვის.

ინსტიტუტის საბჭომ ქ. რუსთავში მოიწვია გამსვლელი სხდომა, დევიზით: ისე ვიბრძოლოთ და ვიშრომოთ, რომ არ იყოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

მოხსენებით გამოვიდა შინაგან საქმეთა რუსთავის საქალაქო განყოფილების უფროსი ვ. ბალათურია.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს კლუბში გაიმართა ინსტიტუტის საბჭოს გამსვლელი სხდომა, რომლის მოწვევის ინიციატორები იყვნენ სამმართველოს ხელმძღვანელობა და ინსტიტუტის რექტორატი.

გადავაციოთ თბილისის სანიმუშო კულტურის, კომუნისტური შრომისა და ყოფა-ცხოვრების ქალაქად — აი ამ შეხვედრის დევიზი. სხდომას დაესწრნენ — აკადემიკოსები — ა. ზურაბაშვილი, ნ. კეცხოველი, მწერლები კ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, პროფესორი მ. კვესელავა, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორი თ. კაციტაძე, დედაქალაქის მსხვილ საწარმოთა, დაწესებულებათა ის წარმომადგენლები, რომლებიც წესრიგის დაცვის საქმეს ემსახურებიან, წესრიგის დაცვის რაიონული და საქალაქო შტაბების, კომკავშირული პროექტორების ხელმძღვანელები, დედაქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობა.

აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ ინსტიტუტი აქტიურად ეხმარება შინაგან საქმეთა ორგანოებს იმ საჭირობოროტო პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც დღეს დგას მთელი საზოგადოების წინაშე, იმათ წინაშე, ვისთვისაც ახლობელი და მტკივნეულია ქალაქის ავ-კარგი.

მოხსენებით — „საზოგადოებასთან კავშირის შემდგომი განმტკიცება და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა დამნაშავეობასთან ბრძოლის წარმატების საწინდარია“ — გამოვიდა შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი გ. ბაკურაძე. მან აღნიშნა, რომ ქალაქში ჯერ კიდევ რთულია ოპერატიული ვითარება. მუქთახორათა და უქნარათა რიცხვმა იკლო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კვლავ მწვავედ დგას ავტოავარიების საკითხი. სტატისტიკა მეტყველებს, რომ ავტოსავაზო შემთხვევები მეტწილად სიმთვრალის მიზეზია. არის წვრილმანი გატაცების, სპეკულაციის ფაქტები. ეს პირველ რიგში აიხსნება დედაქალაქის წესრიგის დამცველთა არასაკმარისი მუშაობით. მომხსენებელმა მადლობით მოიხსენია საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით იბრძვიან მშობლიურ ქალაქში წესრიგის დასამყარებლად.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ავტოსავაზო შემთხვევებთან ბრძოლის სექციის ხელმძღვანელის, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორის თ. ეგაძის გამოსვლა ძირითადად მიეძღვნა ავტოავარიების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. მან წამოაყენა რამდენიმე კონკრეტული წინადადება, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს დედაქალაქში მოძრაობის მოწესრიგებას.

მწერალმა გ. ნატროშვილმა, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ხვედელიანმა ყურადღება გაამახვილეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებზე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. შადღურმა თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო საზოგადოებრიობის

როლს მართლწესრიგის განმტკიცებაში, ილაპარაკა იმ პრობლემებზე, რომლებიც უნდა გადაიჭრას დედაქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, მოსახლეობაში სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის.

ახლახან ჩატარებულ ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე ყოველმხრივ განიხილეს ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია დამნაშავეობის პროფილაქტიკის საკითხებთან.

მოსენება „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში რესპუბლიკის საზოგადოებრიობის როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა კ. კეთილაძემ.

გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი.

ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ფსიქოლოგიური ასპექტების, კომუნისტური მორალის და ცხოვრების ნეგატიური მოვლენებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანის აღზრდაში ქართველი მწერლების მონაწილეობის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი შინაარსიანი გამოსვლები აკადემიკოსმა ა. ფრანგიშვილმა, მწერალმა გ. ნატროშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსმა ვ. გეგელიამ ილაპარაკა კადრების შერჩევის მდგომარეობაზე, ხოლო დამნაშავეობის წინააღმდეგ საზოგადოებრიობის დარაზმვის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა პროფ. შ. მისაბაშვილმა, რომელიც რესპუბლიკის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალს ხელმძღვანელობს აფხაზეთში.

მეტად შინაარსიანი იყო ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ი. მესხიშვილის და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის ო. ქინქლაძის გამოსვლები, რომლებმაც ღრმად გააშუქეს პრესის, ტელევიზიისა და რადიოს როლი და მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

გაფართოებულ სხდომაზე გამოითქვა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი გ. წითლიძე (ნატანები), ო. თოლორაია (თბილისი) და სხვ.), რომელთა მიზანია აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის ქმედითობის ამაღლება.

თათბირზე წამოაყენეს აგრეთვე სხვა წინადადებები, რომლებიც მიზნად ისახავს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხთა ახლებურად გადაჭრას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ თავისი მასტუბით ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო.

ინსტიტუტს კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, რათა ჩვენს რესპუბლიკაში დამყარდეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი, უცილობლივ შესრულდეს პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები.

სამართლებრივი პროპაგანდის ქმედითობისათვის

ა. ჟღენჭი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სამართლებრივი პროპაგანდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამნაშავეობის პროფილაქტიკასა და კანონიერების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდაში. უკანასკნელ ხანს გაძლიერდა საბჭოთა კანონების პროპაგანდა პრესის, რადიოს და ტელევიზიის მეშვეობით. გაიზარდა გამომწვეული იურიდიული ლიტერატურის რაოდენობა და ტირაჟი. 1972 წელს, მაგალითად ჩვენს ქვეყანაში გამოცემული იურიდიული წიგნების და ბროშურების ტირაჟმა 19,5 მილიონი ეგზემპლარი შეადგინა. საგრძნობლად გაიზარდა მხატვრული, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების გამომწვევა, რომლებიც ემსახურებიან მოქალაქეთა აღზრდას კანონისადმი პატივისცემისა და სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების დაცვის სულისკვეთებით. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. „...საჭიროა გვაძლიეროთ საბჭოთა კანონების პროპაგანდა, ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ მათი ავტორიტეტი, ვზრდიდეთ ყველას კანონებისადმი, სამართლისადმი პატივისცემის სულისკვეთებით“¹.

სამართლის პროპაგანდის, მისი კოორდინაციის საკითხებს მიეძღვნა 1973 წლის საკავშირო-სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება“, რომელიც მოიწვია სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საზოგადოება „ცოდნამ“.

კონფერენციამ შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, რომელთა განხორციელებას დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სამართლებრივი აღზრდის საკითხებს ცალკეულ კოლექტივებში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში.

სამართლებრივი აღზრდა აუცილებელია ტარდებოდეს მიზნობრივად, ორგანიზებულად და შინაარსიანად. ყოველი გამოსვლა დასაბუთებული უნდა იყოს ფაქტობრივი მასალით, ნათლად უჩვენებდეს, თუ რამ განაპირობა დანაშაულის ჩადენა, როგორი იყო ინდივიდის, დამნაშავე პირების ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესი, მისი წარსული საქმიანობა, ცხოვრების პირობები, კონკრეტული გარემოცვა, მიკროგარემო. საუბარი სამართლებრივ თემებზე მხოლოდ ფრაზებითა და ზოგადი დებულებებით ვერ აღწევს მიზანს.

მშრომელთა სამართლებრივ აღზრდაში ლექციურმა პროპაგანდამ თავისი დანიშნულება რომ შეასრულოს, საჭიროა პროპაგანდისტთა და ლექტორთა იმ-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, „ლენინური კურსით“, ტ. 3, გვ. 54.

ჯვარად შერჩევა, რომ გათვალისწინებული იყოს მსმენელთა კატეგორია და ლექცია-საუბრის მიზანდასახულობა. დაწაშულის პროფილაქტიკის თვალსაზრისით იმას აქვს მნიშვნელობა, თუ ვის ხედება ლექტორი და რა თემაზე ატარებს საუბარს მათთან. აბა, რა აღმზრდელობითი ან გამაყრთხილებელი ძალა შეიძლება ჰქონდეს ლექციას, რომელიც წაკითხული იქნება გაუბატიურების ან ხულიგნობის თემაზე და მას მხოლოდ ამ უბანში მცხოვრები მოხუცები, პენსიონერები და დიასახლისები დაესწრებიან. ამ თემაზე ლექციები უპირველესად სწორედ ახალგაზრდობაში უნდა იკითხებოდეს, ხოლო მსმენელთა იმ კონტიგენტისათვის, რომელიც დავასახელებთ, უფრო მიზანშეწონილია საუბარი შემდეგ თემებზე: ბრძოლა სპეკულაციის, მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუების წინააღმდეგ, თაღლითობის წინააღმდეგ და სხვ. ამ სახის დანაშაულობებისა და დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტური იქნება. ლექციურ პროპაგანდაში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს კერძომესაკუთრული ვადმონაშთების მხილებას, ჩვენი ახალგაზრდობისათვის ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პროპაგანდის მავნე გავლენის ჩვენებას და ა. შ. სასურველია, გახშირდეს სამართლებრივ თემებზე დაწერილი აქტუალური წიგნების პოპულარული ბროშურებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა. აუცილებელია გაუმჯობესდეს სამართლის სწავლება ყველა სასწავლებლებში.

რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების საკითხს მივიძღვნა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის აგვისტოს დადგენილება², რომელშიც აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ „ჯეროვანი კონტროლი არ ეწევა სამართლებრივი აღზრდისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას, არ არის შექმნილი ამ საქმეში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შეთანხმებული კომპლექსურ ღონისძიებათა მწყობრი სისტემა, სუსტია სამართლებრივი პროპაგანდის კავშირი მთელ პოლიტიკურ-მასობრივ, იდეოლოგიურ და აღმზრდელობით მუშაობასთან. კოლექტივების საწარმო—სამეურნეო საქმიანობასთან, მართლწესრიგის უზრუნველყოფის საქმეში რაიონისა და ქალაქის პრაქტიკულ ამოცანებთან“. დადგენილება მიუთითებს იმ კონკრეტულ გზებსა და საშუალებებზე, რომელთა პრაქტიკული განხორციელებაც უდავოდ ხელს შეუწყობს წარმატებას ამ მეტად დიდმნიშვნელოვან საქმეში.

მშრომელთა სამართლებრივ აღზრდაში დიდი ადგილი უჭირავს სამართლის სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობას. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მოქმედებს სამართალმცოდნეობის 1950 უნივერსიტეტი და ფაკულტეტი, ხოლო საქართველოს რესპუბლიკაში 42 ასეთი უნივერსიტეტი, რომლებიც მასების სამართლებრივ აღზრდას ემსახურებიან. ქუთაისში, მაგალითად, 1961 წლიდან არსებობს სამართლის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სამართლის პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე⁴. მასში

² იხ. ვაზ. „კომუნისტი“. 1973 წ. 28 აგვისტო.

³ იხ. ქუტრნ. „საბჭოთა სამართალი“, 1973 წ. № 4, А. С. Павлов, правовое воспитание, М., 1972, 163.

⁴ Б. Бакурадзе, Народные университеты Советской Грузии, Тб., 1970, 41.

გაერთიანებული არიან საწარმოთა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, ბირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები, პროფკავშირული მუშაკები, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეები. ისინი რეგულარულად ისმენენ ნალკვალიფიციურ ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებსა და კონსულტაციებს სამართლებრივ თემებზე. ასეთი თემებია მაგალითად, — „საზოგადოების როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში“, „პასუხისმგებლობა მყიდველთა მოტყუებისათვის“, „სოციალისტური საკუთრების დატაცება და მექრთამეობა მიძიმე დანაშაულია“, სპეკულაცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა“, „შრიამის კანონმდებლობის ძირითადი საკითხები“ და სხვ.

სამართლებრივი აღზრდის ფორმები და მეთოდები მრავალფეროვნანია. ამავე მიზანს ემსახურება მაგალითად პროპაგანდისტული მუშაობის ისეთი ფორმა, როგორცაა, სამართლებრივი ცოდნის დეკადის და ხუთდღიურის მოწყობა. ასეთი დეკადა 1973 წელს ჩატარდა ქ. ქუთაისში და სასურველი შედეგიც გამოიღო. დეკადის დღეები ეს იყო, ამასთანავე, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკური საქმიანობის გაძლიერების ერთგვარი დათვალიერება. ასეთი ეფექტური ღონისძიებები ხშირად უნდა ეწყობოდეს.

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

(დაბადებიდან 70 წლისთავის გამო)



მეცნიერის პიროვნება უსათუოდ აღი-
ბეჭდება მის შემოქმედებაში. პროფ. თინა-
თინ წერეთლის შემოქმედებაც მისი პიროვნების
ზოგადი ინტელექტუალური უნარისა და მაღალი
ზნობრივი თვისებების შესატყვისია.

თ. წერეთლის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის
პირველად ყოვლისა ფასდაუდებელი როლი მისმა
ოჯახმა შეასრულა.

თინათინ ვასილის ასული წერეთელი და-

იბადა 1903 წლის 7 აგვისტოს (ძველი სტილით
25 ივლისს) ჭიათურის რაიონის სოფელ
ცხრუკვეთში.

დედა — ქეთევან ზოსიშვილ ასული ჩიქო-
ვანი — სათნო და კეთილი ხასიათით გამოი-
რჩეოდა. მამა — ვასილ გიორგის ძე წერეთელი
პროფესორი იყო. საბავშვო მოღვაწეობისას იგი
დიდ ქველმოქმედებას იჩენდა. ამ მხრივ მისი
პატიოსნება და გულთბილობა სანიშნოდ ითვლებოდა.
იმედროულად ვ. წერეთელი საზოგადოებრივ და
პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, ფართოდ
და ღრმად განსწავლული იყო ფილოსოფიასა და
პოლიტიკონომიაში. თავისი დროსათვის იგი
მარქსის ნაწარმოებთა ერთ-ერთ საუკეთესო
მცოდნედ ითვლებოდა და მარქსისტად თვლიდა
თავს.

„... უდავოა, რომ ვ. წერეთელი მარქსიზმის
გავლენას განიცდიდა. ამ გავლენის შედეგად
მან ხელი მოკიდა ისეთი საკითხების
გარკვევას, როგორცაა კაცობრიობის განვითარების
ისტორიული პროცესი, მისი კანონზომიერებისა
და განმსაზღვრელი საფუძვლების საკითხი,
კაპიტალიზმის, როგორც გარკვეული წარმოების
არსი და მისი ისტორიული აუცილებლობა.
მაგრამ ამ საკითხების ახსნისას მას ყოველთვის
საღიგისმისი თვალსაზრისი ამძიმებდა და
სუბიექტური იდეალიზმის ფარგლებს ვერ
გასცილდა“.¹

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების
გამარჯვების შემდეგ ვ. წერეთელი დიდხანს

¹ კ. ვაგოძე. ნარკვევები XIX საუკუნის ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის განვითარების ისტორიიდან საქართველოში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1961, გვ. 189.

რედაქტორობდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის ჟურნალს — „მედიცინის მაცნე“. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ საზოგადოებრივ-რევოლუციური და მეცნიერული მოღვაწეობისათვის მას პერსონალური პენსია დაუნიშნა. იგი ვარდაიცვალა 1938 წელს.

ვ. წერეთლის ოჯახში ოთხი შვილი აღიზარდა — ერთი ვაჟი და სამი ქალი. თითოეულმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩვენი კულტურის სხვადასხვა სფეროში. უფროსი შვილი ბარბალე (1901—1970) ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე იყო, მეორე შვილი ჩვენი იუბილარი განლაყთ, ხოლო მისი მომდევნო — აკადემიკოსი გიორგი წერეთელი (1904—1973), საქვეყნოდ აღიარებული დიდი მეცნიერი, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელი, ფართოდ ცნობილი არაბისტი და საბჭოთა სემიოლოგიის პირველი მესვეურთაგანი. გიორგისთან თინათინს მარტო დამობა კი არ აკავშირებდა, არამედ აგრეთვე მეცნიერული და საზოგადოებრივი ინტერესების სიახლოვიდან წარმომდგარი ღრმა მეგობრობა; ძმაც და დაც ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლები იყვნენ, ორთავე ერთსა და იმავე დაწესებულებებში — აკადემიასა და უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ. ყველაზე უმცროსი წერეთლების ოჯახში იყო ელენე, რომელმაც თავისი დებისა და ძმისაგან განსხვავებით ბუნებისმეტყველება, კერძოდ მიკრობიოლოგია ამჯობინა.

წერეთლების ოჯახი მუდმივ ხელმოკლეობას განიცდიდა. ამის მიუხედავად, მათ მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. აქ ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართველ, რუს და უცხოელ კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებს თავდავიწყებამდე კითხულობდა თ. წერეთელი, რომელიც იმთავითვე ამჟღავნებდა მხატვრული ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნებისადმი დაუოკებელ ინტერესს.

ვ. წერეთლის ოჯახში სტუმრად ხშირად თავს იყრიდნენ იმდროინდელი ქუთაისის

ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — მეცნიერები, მწერლები, მსახიობები. აქ ნახავდით აკაკი წერეთელს, დავით კლდიაშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, კიტა აბაშიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს და სხვებს. პოლიტიკა, ლიტერატურა, ხელოვნება — ასეთი იყო ოჯახის წევრთა სულიერი ინტერესების წრე.

ასეთ ვარემოცვაში ყალიბდებოდა მომავალი მეცნიერის — თინათინ წერეთლის პიროვნება, მისი პირველი შეხედულებები ცხოვრების ავ-კარგზე, საზოგადოებრივი ვალის შეგნება, დაკვირვებული და კრიტიკულად მოაზროვნე გონება. ამას თან ერთვოდა თანდაყოლილი ნიჭიერება და დიდი შრომისმოყვარეობა. თ. წერეთლის ამ თვისებებმა თავი იჩინა გიმნაზიაში სწავლისას.

თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა გიმნაზიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კითხულობდა მოხსენებებს ლიტერატურის, ისტორიის თუ ხელოვნების ისტორიის საკითხებზე.

გიმნაზია თ. წერეთელმა თავისი ასაკისათვის კარგად მომზადებულმა და ინტელექტუალურად მოწიფულმა დაამთავრა. სწავლას გადაეგებულმა მეცნიერების დაუფლება გადაწყვიტა თბილისის უნივერსიტეტში, რომელიც იმ დროს თავისი არსებობის რამდენიმე წელს ითვლიდა. თ. წერეთლის წინაშე პროფესიის შერჩევის რთული ამოცანა წამოიჭრა. საბოლოოდ, 1922 წელს იგი თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილების სტუდენტი ხდება. ამ ფაკულტეტის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, წარსულში გამოჩენილი დამცველი პოლიტიკურ საქმეებზე, იგი ივანე ჯავახიშვილის წინადადებით მოწვეული იქნა თბილისის უნივერსიტეტში, რათა სათავეში ჩადგომოდა იურიდიული კადრების მომზადებას.

ლ. ანდრონიკაშვილთან სიახლოვემ, მასთან მეცნიერულმა თანამშრომლობამ გადაწყვეტი როლი შეასრულა თ. წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების განსაზღვრაში. 35 წლის შემდეგ თ. წერეთელი თავის ყველაზე უმთავრეს ნაშრომს — გამოკვლევას მიზეზობრიობის შესახებ სისხლის სამართალში მისი საყვარელი მასწავლებლის პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის დაუვიწყარ ხსოვნას მიუძღვნის.

ლ. ანდრონიკაშვილის მრავალმხრივმა განსწავლულობამ, უდიდესმა ნიჭმა, დიდმა შრომისმოყვარეობამ, ბრწყინვალე და ღრმა-შინაარსიანმა ლექციებმა, ახალგაზრდა კადრებისათვის თავდადებად ერთბაშად დაატყვევა თ. წერეთელი. ამის გამო მას პირველსავე კურსზე გაუჩნდა უდიდესი ინტერესი სამართლის მეცნიერებისადმი. ლ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით თ. წერეთელი სტუდენტობის წლებშივე დიდ შრომისმოყვარეობას იჩენს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მეცნიერების დაუფლებისათვის. ამასთან, ლ. ანდრონიკაშვილი თავისი მოწაფეებისაგან მოითხოვდა ფილოსოფიის დაუფლებას, რადგანაც თვლიდა, რომ უამისოდ სამართლებრივი პრობლემების ღრმა შესწავლა შეუძლებელია.

თბილისის უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წელიწადი თ. წერეთელმა მეტად ნაყოფიერად გამოიყენა: მუშაობდა დაძაბულად, გულმოდგინედ. აქვე უნდა ითქვას, რომ თ. წერეთელი დიდი გულისყურით ისმენდა ცნობილი ქართველი მეცნიერების ი. ჯავახიშვილის, დ. უხანაძის, შ. ნუცუბიძის, ფ. გოგიჩაიშვილის, გრ. წერეთლის და სხვ. ლექციებს. საბოლოო ჯამში თ. წერეთელმა შესაშური სამართლებრივ-ფილოსოფიური განათლება მიიღო.

უნივერსიტეტში სწავლისას თ. წერეთლის ცხოვრების საიმედო და ერთგული მეგობარი ხდება შემდგომში ცნობილი საბჭოთა კრიმინალისტი ვლადიმერ გიორგის ძე მაცაშვილი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თ. წერეთელი მუშაობდა იურისტ-პრაქტიკოსის

სხვადასხვა თანამდებობაზე; თავდაპირველად იგი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის რეფერენტი იყო, შემდეგ კი ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს რეფერენტი, დაბოლოს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს იურისკონსულტი.



პროფ. თ. წერეთელი პოლინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარესთან პროფ. ერუი ბაფიასთან და პროფ. იგორ კარპეტთან კრიმინალისტიკა საერთაშორისო კონგრესზე რომში (1969 წ.).

1933 წელს პროფ. გ. ნანეიშვილის ინიციატივით თ. წერეთელი ასისტენტად მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე. აქ მას შესაძლებლობა ეძლევა ფართოდ გამოიყენოს თავის მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობაში სამართლის სხვადასხვა დარგის ცოდნა, შეხა-



ვებული სათანადო პრაქტიკულ გამოცდილებასთან. 1937 წლიდან 1944 წლამდე თ. წერეთელი კითხულობდა სამოქალაქო სამართლის კურსს იურიდიულ ფაკულტეტზე. იმავედროულად აქტიურად მონაწილეობდა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის მაღალი ტიპის სემინარში, რომელსაც პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა.

1944 წლის მარტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თ. წერეთელმა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად რუსულ ენაზე წარუდგინა დისერტაცია თემაზე: „ობიექტური მომენტის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის“. თ. წერეთლის საკანდიდატო დისერტაციას მაღალი შეფასება მისცა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მ. ისაევმა, ხოლო ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. ირ. სურგულაძემ თავის რეცენზიაში აღნიშნა: „ყველა ზემოთ მითითებული თვისებების გამო შრომა ძალიან შორს იტოვებს უკან საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ შრომებს და მთლიანად დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კარგად შესრულებულ გამოკვლევას უნდა ახასიათებდეს“.

1945 წელს თ. წერეთელი მივლინებულ იქნა მოსკოვს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის სადოქტორო ასპირანტურაში. 1949 წელს მან დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ეს იყო კავშირის მასშტაბით პირველი სადოქტორო დისერტაცია საბჭოთა სისხლის სამართალში, რომელიც ქალმა იურისტმა დაიცვა. მოსკოვში ყოფნისას თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოსა და სამართლის ინ-

სტიტუტის შემოქმედებით ცხოვრებაში: იყო რამდენიმე დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი, წაიკითხა მოხსენებები ისეთ პრობლემებზე, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი, უმოქმედობა, მონაწილეობა მიიღო ბრალის პრობლემისადმი მიძღვნილ დისკუსიაში და სხვ.

1948 წელს თ. წერეთელი თბილისის უნივერსიტეტში დაბრუნდა და ამ ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტებისათვის 1969 წლამდე კითხულობდა სპეცკურსს საბჭოთა სისხლის სამართალში. 1950 წლიდან 1952 წლამდე იგი იურიდიული ფაკულტეტის დეკანი იყო. 1957 წლიდან თ. წერეთელი სათავეში უდგას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს.

თ. წერეთლის ორგანიზატორული ნიჭის, თავდადებასა და მეცნიერული ხელმძღვანელობის წყალობით ერთ დროს სულ მცირერიცხოვანი სამართლის განყოფილება იქცა მძლავრ მეცნიერულ ორგანიზმად სამართლის სექტორის სახით, რომლის კვლევითი მუშაობა სამართლის მეცნიერების სხვადასხვა დარგში მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკის მოთხოვნებთან.

1967 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაში აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ წერეთელი.

დაუცნობრემელ სამეცნიერო და პედაგოგიკურ საქმიანობასთან ერთად თ. წერეთელი დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა. იგი ცხრაჯერ აირჩიეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. წლების განმავლობაში იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის შტატგარე-

შეწვევრი. ნიადაგ მონაწილეობს საკანონმდებლო აქტების პროექტა შედგენაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მოსამზადებლად, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მადლობით აღინიშნა. თ. წერეთელი არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა კომისიის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, უმაღლესი სასამართლოს მსაჯულთა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, ჟურნალების: „მაცნეს“, „საბჭოთა სამართლის“ და „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი და სხვ.

თ. წერეთლის თავდადებული შრომა და ხალხისადმი უანგარო სამსახური ღირსეულად დააფასა ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშისა“ და „საბატო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

* * *

პროფ. თ. წერეთლის ინტერესი სამართლის მეცნიერებიდან სამ მთავარ დარგს მოიცავს: სამართლის თეორია, სამოქალაქო სამართალი და სისხლის სამართალი.

სამართლის ამ დარგებიდან თ. წერეთლის გამოკვლევები, მართალია, უშუალოდ მიძღვნილია სისხლის სამართლის პრობლემებისადმი, მაგრამ მათი გაშუქებისას ოსტატურად იყენებს თავის განსწავლულობას სამართლის თეორიასა და სამოქალაქო სამართალში. იმავდროულად, თვალნათლივ იგრძნობა მისი საფუძვლიანი მომზადება ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. თავისი მასწავლებლის ლ. ანდრონიკაშვილის მსგავსად მას ემარჯვება პრობლემის სხვადასხვა ასპექტის ორგანული შერწყმა და ნათელი ჩვენება იმისა, თუ რამდენად ნაყოფიერია სამართლის მეცნიერების თანამშრომლობა

მეცნიერების სხვა დარგებთან. თ. წერეთლის ერთ-ერთი პირველი ნაშრომის შესახებ პროფ. კ. ბაქრაძე თავის დასკვნაში წერდა: „ასეთი ნაშრომის ავტორი დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის თავისუფლად უნდა ერკვეოდეს ფილოსოფიურ, კერძოდ, მრავალრიცხოვან თეორიულ-შემეცნებით მართულებებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ავტორი თავისი ამოცანის სიმაღლეზე აღმოჩნდა: სოლიდურმა ფილოსოფიურმა განათლებამ, კრიტიკული ანალიზის უნარმა და აზროვნების მკაცრმა თანმიმდევრობამ შესაძლებლობა მისცა თ. ვ. წერეთელს შეექმნა კარგი, ფილოსოფიური მხრივ დასაბუთებული ნაშრომი“.

თ. წერეთლის ბუნებრივი ნიჭიერება, შეუდრეკელი ნებისყოფა, ლოგიკური აზროვნებისა და საკითხის არსში ჩაწვდომის უნარი, ფართო განსწავლულობა ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში და სამართლის სხვადასხვა დარგში განაპირობებენ მის მეცნიერულ გამბედაობას. მას კი არ აშინებს, არამედ იზიდავს და ხიბლავს პრობლემის სირთულე. მეცნიერულ გამბედაობასთან ერთად თ. წერეთელი უადრესად მომთხვენია უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისადმი. ამით აიხსნება ის, რომ თ. წერეთელი ნაშრომს საკვლევი პრობლემის ღრმად და ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ აქვეყნებს. იგი იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც გამთირჩევიან არა ნაშრომთა რაოდენობითა და მოცულობით, არამედ პირველად ყოვლისა პრობლემის ღრმა შესწავლითა და შემოქმედებითი გადაწყვეტით. ამ თვალსაზრისით იგი წააგავს თავის აწ გარდაცვლილ ძმას, აკადემიკოს გიორგი წერეთელს.

თ. წერეთელს ღრმად აქვს შეგნებული, რომ სწავლული იურისტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ წმინდა თეორეტიკოსი, რომლისთვისაც განყენებულ, ლოგიკურ კონსტრუქციებს თავისთავადი ღირებულება აქვთ. იურიდიულ კონსტრუქციებს მხოლოდ მაშინ აქვთ აზრი და მნიშვნელობა, როცა ისინი

მჭიდროდ არიან დაკავშირებული ცხოვრებასთან. ამ თვალსაზრისით მეტად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლი-



პროფ. თ. წერეთელი პროფ. ა. პიონტოვსკისთან და ვარშავის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ინსტიტუტის დირექტორთან პროფ. აფორ ანდრეევთან რომში (1969 წ.).

კის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადებასა და განხილვაში. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით თ. წერეთელმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა იმ ინსტიტუტების განხილვას, რომელთა საკანონმდებლო რეგულირება მეცნიერ კრიმინალისტთა და პრაქტიკოსი იურისტების აზრთა განსაკუთრებულ სხვადასხვაობას იწვევდა. მისი ხელმძღვანელო-

ბითა და მონაწილეობით გამოსაცემად მომზადდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შოგადი ნაწილის მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარი.

თ. წერეთლის გამოკვლევები ყოველთვის მიზნად ისახავენ დაეხმაროს საბჭოთა მართლმსაჯულებას პრაქტიკული საკითხების სწორად გადაწყვეტაში. როგორც საბჭოური, ისე საზღვარგარეთული კანონმდებლობის შუსტი ცოდნა, იურიდიული ანალიზის მეთოდის ოსტატურად დაუფლება, ღრმად ჩაწვდომა სასამართლო პრაქტიკაში და მისი განზოგადების უნარი შესაძლებლობას აძლევს თ. წერეთელს საიმედო ხიდი გასდოს თავის თეორიულ შეხედულებებსა და პრაქტიკული ხასიათის დასკვნებს შორის.

დაბოლოს, თ. წერეთელი თავის გამოკვლევებში ითვალისწინებს ეთიკურ მომენტს და ცდილობს ისე ჩამოაყალიბოს თავისი მეცნიერული დებულებები, რომ ისინი არა მარტო ფორმალურად შეესაბამებოდნენ სამართლებრივ ნორმებს, არამედ გამართლებული იყვნენ კომუნისტური წინეობის თვალსაზრისით.

* * *

თ. წერეთელმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა დანაშაულის შემადგენლობის პრობლემას. ამ ნაშრომებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ვ. მაყაშვილთან ერთად გამოქვეყნებული სტატია „დანაშაულის შემადგენლობა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი“.² ამ სტატიაში ნაჩვენებია დანაშაულის შემადგენლობის პოლიტიკური და იურიდიული მნიშვნელობა, განსაზღვრულია ის პრინციპები, რომელთაც ემყარება დანაშაულის შემადგენლობის აღიარება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველად, გაშუქებულია ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, დანაშაულის შემადგენლობასა, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივ საშიშროებასა და მართლწინააღმდეგობას შორის. განსაკუთ-

² «Советское государство и право», 1954 г., №5.

რებული ყურადღების ღირსია ის, რომ ამ წერილის ავტორებმა, პირველად საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, დაადგინეს კრიტიკიუმები, რომელთა მომარჯვებთაც შესაძლებელია გადაწყდეს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების არსებობის თუ არარსებობის, აგრეთვე ამ საშიშროების ხარისხის განსაზღვრის საკითხი.

მოსენიებული წერილით ჟურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრაგო“-ს ფურცლებზე დაიწყო ფართო დისკუსია დანაშაულის შემადგენლობის შესახებ. შემდეგში ეს წერილი რამდენიმე უცხო ენაზე ითარგმნა.

დანაშაულის შემადგენლობის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, განხილულია აგრეთვე თ. წერეთლის ნაშრომში — „ანალოგია საბჭოთა სისხლის სამართალში“ (თსუ შრომები. 1956, ტ. 11). აქ თ. წერეთელი დაწვრილებით ეხება დანაშაულის შემადგენლობის საგარანტიო ფუნქციას. მრავალი დასაბუთებული მოსაზრების საფუძველზე თ. წერეთელმა გვიჩვენა, რომ ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის გამოყენება ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპს — „არ არის დანაშაული კანონის გარეშე“, და მხარი დაუჭირა იმ თვალსაზრისს, რომ ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის გამოყენება აკრძალული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

მიზეზობრიობის პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერების ურთულესი პრობლემაა. მის შესახებ უამრავი ნაშრომი გამოქვეყნებული ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში. ამისდა მიუხედავად, მიზეზობრიობის პრობლემა არა თუ გაირკვა, არამედ წინააღმდეგობამ კიდევ მეტად იჩინა თავი. თავის დროზე გერმანელი ბურჟუაზიული იურისტი მ. რიუმელინი წერდა, რომ კრიმინალისტიკის უმრავლესობას შიშის გრძნობა იპყრობს, როგორც კი წიგნის

ან სტატიის სათაურად კაუზალობის პრობლემას წაიკითხავენო.

ქართველმა საბჭოთა მეცნიერმა ქალმა თინათინ წერეთელმა სწორედ ეს „შიშის მომგვრელი“ პრობლემა შეარჩია თავისი კვლევადიების საგნად. ხანგრძლივი, უაღრესად დაძაბული და მეტად ინტენსიური შრომის შემდეგ თ. წერეთელმა შექმნა გამოკვლევა მიზეზობრიობის შესახებ სისხლის სამართალში, რომელიც ორჯერ გამოიცა რუსულ ენაზე — თავდაპირველად თბილისში, ხოლო შემდეგ, შევსებული სახით, მოსკოვში.

ეს გამოკვლევა საკითხების წრით, კვლევა-ძიების მასშტაბით, ფართო ინფორმაციით, განმარტადობელი დასკვნებით ფაქტობრივად წარმოადგენს მოკლე კურსს დანაშაულზე მოძღვრების შესახებ.

თ. წერეთელი მიზეზობრიობის კვლევას იწყებს იმ საწყისი და საბოლოო მომენტების დადგენით, რომელთა შორისაც მიზეზობრივი კავშირი მყარდება. ასეთ საწყისს წარმოადგენს ადამიანის ნებელობითი ქცევა, ხოლო საბოლოო მომენტს — დანაშაულებრივი ქმედობის შედეგი.

თ. წერეთელი განსაზღვრავს ნებელობით ქცევით არსს მისი ფსიქოლოგიური ნიშანთვისებების მეშვეობით. საქმე ისაა, რომ ქცევის ფსიქოლოგიური ცნება არ მოიცავს სამართლებრივი შეფასების მომენტს. ქცევა ფსიქოლოგიური მნიშვნელობით ნეიტრალურია და ამიტომ იგი იურიდიული თვალსაზრისით შეიძლება იყოს როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი, როგორც ბრალეული, ისე უბრალო. ქცევის ფსიქოლოგიურ ცნებაში არ შედის პირის იმ წარმოდგენების ხასიათი და შინაარსი, რასაც ბრალის ცნება გულისხმობს. თ. წერეთელი ადგენს იმ საერთოს, რაც განზრახ და გაუფრთხილებლობით დანაშაულს შორის არსებობს. ეს საერთო ისაა, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მი-



ზანდასახულ, ნებელობით ქცევასთან, მაგრამ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს სუბიექტის ქცევა იწვევს ისეთ შედეგს, რომელიც მოცული არ იყო მისი ცნობიერებით.

თ. წერეთელს მიაჩნია, რომ ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა იწვევს შედეგს, რომელიც გულისხმობს რაიმე ცვლილებას გარესამყაროში. ამ საერთო შედეგისაგან უნდა განვასხვაოთ შედეგი ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც შეტანილია კანონის დისპოზიციაში. მიზეზობრივი კავშირის დადგენა ასეთ შედეგსა და მოქმედებას შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრაქტიკაში.

თ. წერეთელი საგანგებოდ მიმოიხილავს მიზეზობრიობის შესახებ სხვადასხვა ბურჟუაზიულ თეორიებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეკვივალენტურ თეორიასა და მის ფილოსოფიურ ფესვებს.

ეკვივალენტური ანუ პირობათა თანასწორფასოვნების თეორია ბევრ ავტორს გაუკრიტიკებია. ამ თეორიის წინააღმდეგ ჩვეულებრივად ის არგუმენტი მოჰყავთ, რომ იგი მეტად აფართოებს პასუხისმგებლობას. თ. წერეთელმა ეკვივალენტური თეორიის კრიტიკა სულ სხვა მიმართულებით წარმართა. მისი აზრით, ეკვივალენტური თეორიის ნაკლი სულაც არ მდგომარეობს იმ თეზისში, რომ თუ ადამიანის მოქმედება წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებელ პირობას, იგი მიზეზობრივ კავშირშია ამ შედეგთან. თეზისი *conditio sine qua non* ლოგიკური თვალსაზრისით სწორია, მასში არაფერი არ არის იდეალისტური, როგორც ამას ზოგიერთი კრიმინალისტი ამტკიცებს. თ. წერეთელი ამ თეორიის ძირითად ნაკლად თვლის თეზისს აუცილებელ პირობათა ტოლფასოვნობის შესახებ. მისი აზრით, დებულება პირობათა კაუზალური ტოლფასოვნობის შესახებ ფილოსოფიური თვალსაზრით არ

შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ამ დებულებიდან გამომდინარე დასკვნებს მიგყევართ მცდელობისა და თანამონაწილეობის სუბიექტურ თეორიებამდე, მიზეზობრიობის პრობლემის უარყოფამდე, ბრალის გადაჭარბებით შეფასებამდე, რაც განწყობილების სისხლის სამართალს უახლოვდება, აგრეთვე დანაშაულის სიმპტომატურ გაგებამდე, რომლის მიხედვითაც პირის ყოველი დანაშაულებრივი განწყობა უნდა დაისაჯოს სისხლისსამართლებრივი წესით.

ბურჟუაზიულმა იურიდიულმა მეცნიერებამ მეწარმეთა პასუხისმგებლობის შეზღუდვისათვის შექმნა ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია. ამასთან, ეს თეორია შეიცავს ელასტიკურ ფორმულებს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც გაბატონებული კლასის ინტერესები მოითხოვს პასუხისმგებლობის არა შეზღუდვას, არამედ, პირიქით, გაფართოებას, როდესაც საქმე ეხება ბურჟუაზიული მართლწესრიგისადმი მტრულად განწყობილ პირებს. თ. წერეთელი ნათელყოფს ამ თეორიის ფილოსოფიურ უსაფუძვლობას, იურიდიულ ბუნდოვანებასა და სუბიექტურ ხასიათს, რასაც მოსამართლის თვითნებობამდე მივყევართ.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული მიზეზობრიობის პრობლემის შესახებ. ამ შეხედულებათა ავტორებს ერთი საერთო მიზანი აქვთ — გაილაშქრონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უსაფუძვლო გაფართოების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ამ თეორიათაგანი, რომლის მთავარი წარმომადგენელია თვალსაჩინო საბჭოთა კრიმინალისტი პროფ. ა. ა. პიონტკოვსკი, განასხვავებს მიზეზობრივად — აუცილებელსა და მიზეზობრივად-შემთხვევით შედეგებს და უარყოფს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „მიზეზობრივად-შემთხვევითი“ შედეგებისათვის. თ. წერეთელი უარყოფს ამ განსხვავებას თუნდაც იმიტომ, რომ აუცილებლობა თვითონვე წარმოადგენს მიზეზობრიობის არსებით და განუყოფელ ელემენტს. რაც მთავარია, ამ თეო-



რის არსებითი ნაკლი ისაა, რომ იგი ერთმანეთს უპირისპირებს აუცილებლობასა და შემთხვევითობას როგორც ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიებს. თ. წერეთელი მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებით აქარწყლებს ა. პიონტოვსკის თვალსაზრისს, თითქოს აუცილებლად ითვლება ის შედეგები, რომელთა დადგომისათვის არსებობდა რეალური შესაძლებლობა, ხოლო შემთხვევითად — ის შედეგები, რომელთა განხორციელებისათვის რეალური შესაძლებლობა არ არსებობდა. მიზეზობრივი კავშირები გულისხმობენ არა შესაძლებლობას, არამედ სინამდვილეს. ასევე მიუღებელია „შემთხვევითი შედეგების“ დასაბუთებაც, რადგან ამ შედეგების დადგომით დასტურდება ის, რომ ისინი სწორედ რეალურად შესაძლებელნი იყვნენ. ამრიგად, თ. წერეთლის საგებობით დასაბუთებული თვალსაზრისით, შესაძლებლობის კატეგორია ვერ გამოდგება ამ საკითხების გადაწყვეტისათვის. თ. წერეთლის გამოკვლევაში გამოთქმული ამ მოსაზრების შესახებ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი პროფ. იონ ლექშასი აღნიშნავს, რომ „ამ უაღრესად საინტერესო, ჭკუის სასწავლი და გონებაშემაჯილური პაექრობიდან არსებითად ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ ზუსტად ჩამოყალიბებული მიზეზობრიობის ზოგადი ცნებიდან გადახვევისა და ამ ცნების გვერდით განსაკუთრებული სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე მიზეზობრიობის ცნების დადგენის ყოველმა ცდამ აუცილებელი მარცხი უნდა განიცადოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ობიექტური კავშირები ასე თუ ისე ყალბ ასახვას პოულობენ“.³

თ. წერეთელი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ყოველი შედეგი არის სხვადასხვა ფაქტორის ან პირობის გადახლართვისა და ურთიერთმოქმედების პროდუქტი. ამიტომ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავარკვიოთ,

არის თუ არა ადამიანის მოქმედება ჩვეთვის საინტერესო შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, მისი *conditio sine qua non*, როდესაც ასეთი მოქმედების ჩუდუნლობისას ეს ცვლილება არ გვექნებოდა. საკითხის ასეთი გადაწყვეტისათვის თ. წერეთელი გვთავაზობს გონებრივი გამოთიშვის მეთოდის გამოყენებას.

მიზეზობრივი კავშირის დადგენით ჯერ კიდევ არ წყდება ინდივიდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რადგანაც მიზეზობრივი კავშირი გვიხსნის მარტოოდენ მოვლენის წარმოშობას მეორე მოვლენისაგან. თ. წერეთელი უკუაგდება იმ მეცნიერთა შეხედულებას, თითქოს *conditio sine qua non*-ის აღიარებით მიზეზობრიობის ჯაჭვს უსასრულობამდე უნდა მივსდით. საქმე ისაა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები არ შეიძლება გადაწყდეს მარტოოდენ მიზეზობრივი კავშირის საფუძველზე. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს, საზოგადოებრივად საშიშია თუ არა ეს მიზეზობრიობა და ჩადენილია თუ არა ქმედობა ბრალეულად. მიზეზობრივი კავშირი პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველსაც არ ამოწურავს. ამის გამო თ. წერეთელი მთავარ აქცენტს აკეთებს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც ობიექტურ კატეგორიაზე. სწორედ საზოგადოებრივ საშიშროებას თვლის თ. წერეთელი ძირითად კრიტერიუმად, რომლის საფუძველზეც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარისი მიზეზობრიობა უნდა გაიმიჯნოს ასეთი პასუხისმგებლობისათვის არასაკმარისი მიზეზობრიობისაგან. საზოგადოებრივი საშიშროების კრიტერიუმის ასეთმა მნიშვნელობამ თ. წერეთლის წინაშე ახალი პრობლემა დააყენა: რა განსაზღვრავს საკუთრივ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას? თ. წერეთელი მიუთითებს საშიშროების განსაზღვრულ სამ მთავარ მომენტზე. ესენია: 1. მოქმედების მიზანი (საზოგადოებრივად სასარგებლო ან საზიანო); 2) ხელყოფის

³ «Staat und Recht», 1959, № 3, გვ. 408.



ობიექტის ღირებულება და 3) როლი, რომელიც შეასრულა ან შეეძლო შეესრულებინა ადამიანის მოქმედებას დანაშაულებრივი შედეგის დადგომის, ე. ი. შედეგის დადგომის ხელის შეწყობის ხარისხი. მაგრამ როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი საშიშროების ის მინიმალური ხარისხი, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ქმნის? ამ საკითხზე თ. წერეთელი ნათელ და ამომწურავ პასუხს იძლევა: ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შესაძლო მინიმალურ საზღვარს წარმოადგენს პირის რეალური შესაძლებლობა შემოქმედება მოახდინოს მოვლენათა ფაქტობრივ მსვლელობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზეზობრიობა მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკმარის საფუძველად, როდესაც ინდივიდის მიერ ჩადენილი მოქმედება: ა) საზოგადოებრივად საშიშრო ან უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოებრივად არა სასარგებლო მიზანს ისახავს, ბ) მიმართულია კანონით დაცულ ობიექტზე და გ) ქმნის შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას.

თ. წერეთელი თანმიმდევრულად ილაშქრებს მიზეზობრივი კავშირის „გაწყვეტის“ თეორიის წინააღმდეგ. ენგელსის დებულების — „მიზეზი, რომელიც არ მოქმედებს, არ არის მიზეზი“⁴, — მომარჯვებით იგი აკეთებს დასკვნას, რომ ადამიანის მოქმედება ან არის მიზეზობრივ კავშირში საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, — და მაშინ არავითარ შემოერთებულ გარემოებას არ ძალუძს გაწყვიტოს იგი, ან იგი არ არის მიზეზობრივ კავშირში შედეგთან, — ასეთ შემთხვევაში უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტაზე, რადგან მიზეზობრივი კავშირი სრულიად არ არსებობდა.

თ. წერეთელი ღრმად და დამაჯერებლად

ასაბუთებს იმ მეცნიერთა შეხედულებების მცდარობას, რომლებიც უარყოფენ უმოქმედობის მიზეზობრიობას. იგი თვლის, რომ განსაზღვრული შედეგი შესაძლოა უმოქმედობამაც გამოიწვიოს.

თ. წერეთლის გამოკვლევამ მიზეზობრივი კავშირზე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა სოციალისტური ქვეყნების სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში და გამორჩენილ მეცნიერთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ა. ტრანინი წერდა:

«Автор провел самостоятельную, оригинальную и глубокую разработку причинной связи, исходя из основного положения диалектического материализма об объективной реальности причинных связей...»⁴. პროფ. ვ. კუდრიავეცი, რომელიც მიზეზობრივი კავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარია საბჭოთა სამართლის თეორიაში, აღნიშნავდა: „პროფ. თ. წერეთლის წიგნი ფუნდამენტური ნაშრომია მიზეზობრიობის საკითხებზე საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში... ამ შემოქმედებითი გამოკვლევის ავტორი დაწვრილებით ავითარებს და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს, რაც, ჩვენი აზრით, მეტად დამაჯერებელია“.⁵

თ. წერეთლის ამ ნაშრომს ფართოდ გამოეხმაურნენ საზღვარგარეთაც. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს თ. წერეთლის წიგნს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. იონ ლექმასი, რომელიც თვით არის ავტორი გამოკვლევისა მიზეზობრივი კავშირის შესახებ. იგი ასე ამთავრებს თავის ვრცელ რეცენზიას თ. წერეთლის წიგნზე: „დასასრულ უნდა ითქვას, რომ თ. ვ. წერეთლის ნაშრომი სისხლის სამართალში მიზეზობრიობის პრობლემის შესახებ წარ-

⁴ იხ. «Причинная связь в уголовном праве», диссертация Т. Церетели. «Советское государство и право», 1949, № 9, стр. 70.

⁵ ვ. კუდრიავეცი. ფუნდამენტური ნაშრომი მიზეზობრიობის საკითხებზე საბჭოთა სამართალში. «საბჭოთა სამართალი», 1964, № 5, გვ. 81.

რომებში¹⁰ თ. წერეთელი იკვლევს ბრალის პრობლემის სადავო და რთულ საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ იურიდიულმა საზოგადოებრიობამ თ. წერეთელი სწორედ გაუფრთხილებლობითი ბრალის პრობლემაზე გამტკიცებული პუბლიკაციით გაიცნო (თანაავტორი ვ. მაქაშვილი).¹¹ მართალია, შემდეგში დაუდევრობის ობიექტური კრიტიკის გააქტიურებული შეფასება ავტორებმა უარყვეს, მაგრამ ფაქტია ის, რომ ამ წერილის წყალობით დაუდევრობის კრიტიკურიუმების საკითხი საბჭოთა ცივილისტებისა და კრიმინალისტების ფართო დისკუსიის საგნად იქცა.

დიდ თეორიულ ინტერესს იწვევს და ამასთან პრაქტიკულად სირთულესთანაა დაკავშირებული პასუხისმგებლობის დასაბუთება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. ამ თვალსაზრისით უსათუოდ მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს თ. წერეთლის მონოგრაფია დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესახებ, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოაქვეყნა 1963 წელს. მასში ასახულია თ. წერეთლის ნაშრომში „რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის აგებისათვის“ (თსუ შრომები, 1942) გამოთქმული ძირითადი იდეა, რომელიც შემდგომ დაშვებულა საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

თ. წერეთლის შეხედულებით, მცდელობა შეიცავს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. ის გარემოება, რომ მცდელობის დროს დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელებულა, აიხსნება იმით, რომ დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის საშიშროებას, რომელიც ადაზიანის მოქმედებითაა შექმნილი, წინ აღუდგა სხვა შესაძლებლობა. რეალურ სინამდვილეში

თავი იჩინეს სხვა პირობებმა, რომელთაც ხელი შეუშალეს შედეგის განხორციელებას.

ამ მონოგრაფიაში სწორად არის მიგნებული ის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ნებაყოფლობით ხელის ალება განასხვავებს დასჯადი მომზადებისა და მცდელობისაგან. ავტორის შეხედულებით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალების დაუსჯელობა აიხსნება არა იმით, რომ ის პობა პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება (ამას ამტკიცებენ მრავალრიცხოვანი სუბიექტური თეორიები ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში), არამედ იმით, რომ ასეთ შემთხვევაში არ არსებობს დანაშაულის არსებითი ნიშანი — საზოგადოებრივი საშიშროება. თ. წერეთელი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ყველა საფუძველი არსებობს ვცნოთ ნებაყოფლობით ხელის ალება დამთავრებული მცდელობის დროს. ამასთან, დამთავრებული მცდელობის ჩამდგნის მოთხოვნა აქტიური ჩარევა მოვლენათა მსვლელობაში, რათა მიზეზობრივი კავშირის ჩარხი უკან შემოაბრუნოს.

მონოგრაფიაში თანამონაწილეობის შესახებ, რომელიც პროფ. თ. წერეთელმა 1965 წელს გამოაქვეყნა, დადგენილია თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები, დასაბუთებულია მოსაზრება, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის ბუნებას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის აქცესორული თეორია. ამ ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები განსხვავება თანამონაწილეობასა და თანაამსრულებლობას შორის. თანაამსრულებლობა, თ. წერეთლის აზრით, გვექნება არა მარტო მაშინ, როცა თანაამსრულებელი დანაშაულის მთელი შემადგენლობის განხორციელებაში მონაწილეობს, არამედ მაშინაც, როცა შემადგენლობის ნაწილს ასრულებს.

¹⁰ К вопросу о понятии вины. «Известия Отделения общественных наук АН Грузинской ССР», 1960, № 1.

¹¹ об. Проблемы социалистического права», 1939, № 4—5.



ამგვარად, თ. წერეთელმა მონოგრაფიულად დაამუშავა დანაშაულის შესახებ მოძღვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა. ამასთან ერთად ცნობილმა კრიმინალისტიკმა ვ. მყაყვილმა და მათმა უახლოესმა მოწაფეებმა (გ. ტყემელიძე, თ. შავგულიძე, თ. გამყრელიძე, მ. უგრესელიძე, ა. გაბიანი და სხვ.) გამოაქვეყნეს ნაშრომები დანაშაულის პრობლემის ცალკეულ საკითხებზე. ამით შეიქმნა მეცნიერული საფუძველი თ. წერეთლის ხელმძღვანელობით სამართლის განყოფილებას წამოეწყო მუშაობა ქართულ ენაზე დანაშაულის შესახებ მოძღვრების ვრცელი კურსის შესაქმნელად. უკვე გამოქვეყნდა ამ კურსის პირველი ტომი.

თ. წერეთელი უდიდეს ინტერესს იჩენს თანამედროვეობის ყველა მწვავე თეორიული სამართლებრივი პრობლემებისადმი, ცდილობს ახლებურად გაიაზროს ეს პრობლემები. სახელდობრ, იგი იკვლევს თანამედროვე ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საკითხებს. მისმა მოხსენებებმა ამ თემებზე საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე გარკვეული წვლილი შეიტანა საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერების პრესტიჟის ამაღლებაში.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ქართველ სწავლულთა მეცადინეობით მეცნიერების მრავალი დარგის ტერმინოლოგია დამუშავდა. ამ მიმართულებით საგრძნობლად ჩამორჩებოდა სამართალმცოდნეობა. ეს ყოვლად მიუტყევებელი იყო, რადგან ჯერ ერთი, უამისოდ შეუძლებელია საკუთრივ სამართლის მეცნიერების განვითარება და, გარდა ამისა, იურიდიული ტერმინების დაუდგენლობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობისა და მართლმსაჯულების საქმიანობაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრე-

ბით დასაფასებელია ინტენსიური მუშაობა, რომელიც თ. წერეთელმა, როგორც ერთ-ერთმა შემდგენელმა და მთავარმა რედაქტორმა გასწია „იურიდიული ტერმინოლოგიის“ რუსულ-ქართული ნაწილის შესაქმნელად.¹² სრული საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ მომავალშიც გაგრძელდება ეს მუშაობა და, რაც მთავარია, გამოიცემა უკვე იურიდიული ტერმინოლოგიის ქართულ-რუსული ნაწილი.

* * *

პედაგოგიურ მოღვაწეობას პროფ. თ. წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მან თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწეობის 36 წლის მანძილზე იურისტთა მრავალი თაობა აღზარდა. იურისტთა ღირსეული კადრების აღზრდა მას მიაჩნია როგორც იუსტიციის წარმატების, ისე საკუთრივ სამართლის მეცნიერების განვითარების უწინარეს პირობად.

თ. წერეთლის ლექცია არ წარმოადგენდა სამართლებრივი მასალის მშრალ, შეკუმშულ ვადმოცემას. იგი თავისი ლექციით ინტელექტუალურად ამაღლებდა მსმენელებს, თითქოსდა მათ ეუბნებოდა: „თქვენ საკმაოდ მოწიფული ხართ იმისათვის, რომ მეცნიერების ლაბორატორიაში შევიყვანოთ: თვითონვე დაუკვირდით იმ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც მე მინდა მეცნიერული ჭეშმარიტება დავადგინო, თვითონვე იაზროვნეთ, მე კი საამისოდ გაძლევთ შესაფერის ხერხს, საშუალებას. მე ვადმოცემთ არა მხოლოდ შედეგს, არამედ გისახავთ იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც ამ შედეგამდე მივდი“ მასწავლებელი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ სტუდენტებისათვის მიუწვდომელი სიმალლიდან აწვდიდა აზრებს, მათ გვერდში აღმოჩნდებოდა, მხარში ამოუდგებოდა და მათთან ერთად იწყებდა პრობლემის გადასაჭრელი გზების ძი-

¹² „იურიდიული ტერმინოლოგია. რუსულ-ქართული ნაწილი“. შეადგინეს გ. უვანიამ, დ. ფურცელიძემ, პ. ქავთარიძემ, თ. წერეთელმა. მთავარი რედაქტორი თ. წერეთელი. თბილისი, 1963 წ.

ებას. დამსწრენი მონაწილენი ხდებოდნენ ჭეშმარიტების ძიებისა. ამასთან ერთად მონაგალი იურისტი მისი ლექციით მხოლოდ პროფესიულ ცოდნას კი არ ღებულობდა, არამედ იმავდროულად მოქალაქეობრივ, ზნეობრივ თვისებებს იძენდა.

თ. წერეთლისათვის იურისტის ზნეობრივ შეხედულებებს, რწმენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი ძალდონეს არ იმურებს იმისათვის, რათა მისი მოწაფე ადამიანობის, უანგარობის, სოციალისტური კანონიერების დაცვის ნიშნში იყოს. თავად ფაქიზი და თანაც მკაცრი, უკომპრომისო მორალის ადამიანი, თ. წერეთელი ამ მხრივ უადრესად მომთხოვნია ყველას მიმართ, განსაკუთრებით კი სამართლის დარგის მუშაკებისადმი. მას ღრმად სწამს, რომ ახალგაზრდა, რაგინდ ნიჭიერი და ბეჯითიც უნდა იყოს იგი, ვერ გახდება ნამდვილი მეცნიერი იურისტი, თუ არ ჩამოყალიბდა როგორც სანიმუშო მოქალაქე, სპეტაკი, პრინციპული, შეუპოვარი მსახური სამართლიანობისა, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

* * *

თ. წერეთელი, როგორც გულისხმიერი აღმზრდელი და მეცნიერი, თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებად თვის ახალგაზრდობასთან სიახლოვეს, ფართო მეცნიერულ ერუდიციასა და პედაგოგიურ გამოცდილებას დაუშურებლად ახმარს მეცნიერ მუშაკთა აღზრდას. სჯა-ბაასის, ზოგჯერ საკმაოდ დამაბული მეცნიერული კამათის დროს მოწაფეები ვერ გრძნობენ ინტელექტუალურ დიქტატს. თ. წერეთლისათვის მთავარია მეცნიერული არგუმენტაცია. მოწაფის დასაბუთებული პასუხი, თუნდაც იგი მის შეხე-

დულებას არ ემთხვეოდეს, მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. მოწაფეები თავიანთ პუბლიკაციებში ზოგჯერ კიდევ ედავებიან თავიანთ მასწავლებლებს, მაგრამ ასეთი დავისათვის როგორც თ. წერეთელი, ისე მისი მეუღლე გ. მაყაშვილი გულწრფელ მადლობასა და ქებას გამოსთქვამენ. სხვათაშორის, არც თუ ისე იშვიათად მეუღლენი ერთმანეთსაც ედავებიან გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

ხშირად თ. წერეთელი საკუთარ საქმეებს გადასდებს და ხანგრძლივად თავისი მოწაფეების ნაშრომებს კითხულობს. ასეთი მზრუნველობა შეხამებულია მკაცრ მოთხოვნასთან. თ. წერეთელს ძულს უდარდებობა, უტილიტარული დამოკიდებულება მეცნიერებისადმი. მან და მისმა მეუღლემ მთელი სიცოცხლე მეცნიერებას მიუძღვნეს, ამასვე მოითხოვენ ისინი ახალბედა მეცნიერებისაგან.

* * *

თუ ბუნებისაგან ნიჭიერებით დაჯილდოებულ ადამიანს თან შრომისა და გარჯის უნარიც მოსდგამს, მაშინ იგი მეცნიერების ასპარეზზე სასახლო წარმატებებს მოიპოვებს. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის თ. წერეთელი. ჩვენ დღესაც გვანცვიფრებს მისი განუწყვეტელი გარჯა, დღენიადაგ მუშაობა, მას ვერ დაინახავთ დამაშვრალს. ბერნარდ შოუსი არ იყოს, რაც მეტს ვმუშაობ, მით უფრო მეტს ვცოცხლობო. დიას, 70 წლის მეცნიერი-იუბილარი მრავალ და მრავალ წელს იცოცხლებს, რადგან მას შემოქმედებითი შრომის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია.

დ ა რ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის
სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებას-
თან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღ-
ლესი საბჭო აღბენს:

1. საქართველოს სსრ კანონი „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ სამოქ-
მედოდ დშემოღებულ იქნეს 1975 წლის 1 აპრილიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგი-
ნოს „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმე-
დოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ
კანონს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს ინსტრუქ-
ცია სახელმწიფო სანოტარო კანტორებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა
დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომი-
ტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ და შეუსა-
ბამოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები საქართველოს სსრ კანონს
„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე

თბილისი, 1974 წლის 27 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ

კ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელმწიფო ნოტარიატის ამოცანები

სახელმწიფო ნოტარიატის ამოცანებია სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოლბერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, სამართალდარღვევების თავიდან აცილება ხელშეკრულებებისა და სხვა გარიგებების სწორი და დროული დადასტურების, მემკვიდრეობის უფლებების გაფორმების, სააღსრულებო წარწერებისა და სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების გზით.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ შედგება სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონისაგან და მის შესაბამისად მიღებული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტების, ამ კანონისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მუხლი 3. საანოტარო მოქმედების შემსრულებელი ორგანოები და თანამდებობის პირები

სანოტარო მოქმედების შესასრულებლად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში იქმნება სახელმწიფო საანოტარო კანტორები.

საქართველოს სსრ დედაქალაქ თბილისში, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ დედაქალაქებში — სოხუმსა და ბათუმში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრში — ქალაქ ცხინვალში ერთ-ერთი სახელმწიფო საანოტარო კანტორა იქმნება როგორც პირველი სახელმწიფო საანოტარო კანტორა ყველაზე რთული საანოტარო მოქმედებისა და სხვა ფუნქციების შესასრულებლად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

რო მოქმედებისა და სხვა ფუნქციების შესასრულებლად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო საანოტარო კანტორები, სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონით და ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ საანოტარო მოქმედებას ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საზღვარგარეთ საანოტარო მოქმედების შესრულება ეკისრებათ სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებს. საანოტარო მოქმედების შემსრულებელ საკონსულო თანამდებობის პირთა ნუსხას ადგენს სსრ კავშირის საკონსულო წესდება.

სახელმწიფო საანოტარო კანტორებში საანოტარო მოქმედებას ასრულებენ სახელმწიფო ნოტარიუსები (უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსები, უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსების მოადგილეები, სახელმწიფო ნოტარიუსები).

სანოტარო მოქმედებას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებში ასრულებს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი, რომელსაც შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დავალებული აქვს ამ მოქმედების შესრულება.

ნოტარიულად დადასტურებული დოკუმენტების ძალის შენარჩუნებას ანდერძებისა და რწმუნებულებების დადასტურება შეუძლიათ აგრეთვე ამ კანონის მე-16 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირებს.

მუხლი 4. სახელმწიფო ნოტარიატის ხელმძღვანელობა

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარო-



რიატს საქართველოს სს რესპუბლიკაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დებუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის და საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება

სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე დაინიშნებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება.

პირები, რომლებიც დაინიშნენ სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე, სტაჟირებას გაივლიან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

უფროს სახელმწიფო ნოტარიუსებს, მათ მოადგილეებს და სახელმწიფო ნოტარიუსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი.

სახელმწიფო ნოტარიუსებს არ შეუძლიათ იმსახურონ სხვა დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს იმ სახელმწიფო ნოტარიუსებისათვის, რომლებიც პედაგოგიურ ან მეცნიერულ მუშაობას ეწევიან.

მუხლი 6. სანოტარო მოქმედების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

სახელმწიფო ნოტარიუსები და საქართველოს სსრ სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების და-

გენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე აქტებით, რომლებსაც სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები გამოსცემენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

სახელმწიფო ნოტარიუსები და საქართველოს სსრ სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირები კანონით დადგენილ შემთხვევებში იყენებენ აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას.

მუხლი 7. შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვა

სახელმწიფო ნოტარიუსები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირები მოვალენი არიან დაცვან შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ და დოკუმენტები ეძლევათ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა დავალებით ან რომელთა მიმართ იყო შესრულებული სანოტარო მოქმედება.

სასამართლოს, პროკურატურის, გამოძიების და მოკვლევის ორგანოების მოთხოვნით ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ და დოკუმენტები გაიცემა მათთან წარმოებაში მყოფი სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

ცნობები ანდერძის შესახებ გაიცემა მხოლოდ მონადერძის გარდაცვალების შემდეგ.

წესები სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის შესახებ ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებმაც შესრულებული სანოტარო მოქმედების თაობაზე შეიტყვეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ამ მუხლის პირველ და მეხუთე ნაწილებში აღნიშნულ პირებს, რომლებსაც ბრალი დაედება შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოების გამჟღავნებაში, პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. მოქალაქეების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ხელის შეწყობა მათი უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში

სახელმწიფო ნოტარიუსები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მოქალა-



ქეგს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში, განუმარტონ მათ უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილონ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შედეგების შესახებ, რათა იურიდიული ვალუთითენობიერებლობა და სხვა მსგავსი ვარემოებანი გამოყენებული არ იქნეს მათ საზიანოდ.

აუცილებელ შემთხვევებში სახელმწიფო ნოტარიუსებმა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელმა სხვა თანამდებობის პირებმა მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნით, რომლებმაც მათ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მიმართეს, უნდა შეადგინონ ვარიგებათა და განცხადებათა პროექტები, მოამზადონ დოკუმენტების პირები და მათი ამონაწერები, აგრეთვე მისცენ განმარტება სანოტარო მოქმედების შესრულების საკითხებზე.

მუხლი 9. სანოტარო საქმისწარმოების ენა
სახელმწიფო სანოტარო კანტორებსა და მშრომელთა დებუტატების, საქალაქო, საღაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სანოტარო საქმისწარმოება მიმდინარეობს შესაბამისად ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებში სანოტარო საქმისწარმოება მიმდინარეობს იმავე ენაზე, რომელზეც მიმდინარეობს სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებათა საქმისწარმოება.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მიზონენა პირმა არ იცის ის ენა, რომელზედაც საქმისწარმოება მიმდინარეობს, ვასაფორმებელი დოკუმენტების ტექსტი მას უნდა უთარგმნოს სახელმწიფო ნოტარიუსმა ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელმა სხვა თანამდებობის პირმა ანდა მთარგმნელმა, რომელსაც იცნობს სახელმწიფო ნოტარიუსი თუ სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირი.

თუ პირს არ შეუძლია ხელი მოაწეროს იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია დოკუმენტი, ის ხელს აწერს იმ ენაზე, რომელიც მან იცის.

მუხლი 10. სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელი და შტატები

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელი მტკიცდება ამ წესით, რომ

მელსაც ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამ კანტორებისათვის დადგენილი საშტატო ერთეულების რაოდენობის, ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით.

მუხლი 11. სანოტარო კანტორის შესანახი სახსრები

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების შესანახი ხდება რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მუხლი 12. სახელმწიფო სანოტარო კანტორის ბეჭედი

სახელმწიფო სანოტარო კანტორებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და კანტორის სახელწოდება.

პ ა რ ი II

სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები და სხვა ორგანოები

მუხლი 13. სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები

სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

- 1) აღასტურებენ ვარიგებებს (ხელშეკრულებებს, ანდერძებს, რწმუნებულებებს და სხვა);
- 2) იღებენ ზომებს საშვიდრო ქონების დასაცავად;
- 3) ვასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობებს;
- 4) ვასცემენ მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობებს;
- 5) ყალბას ადებენ საცხოვრებელი სახლის ვასხვისებას;
- 6) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან;
- 7) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;
- 8) ამოწმებენ დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორეს;
- 9) აღასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;
- 10) აღასტურებენ მოქალაქის ვანსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
- 11) აღასტურებენ მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;



12) ადასტურებენ დოკუმენტების წარდგენის დროს;

13) გადასცემენ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებს და სხვა მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

14) დებოზიტში იღებენ ფულსა და ფასიან ქაღალდებს;

15) ასრულებენ საადრულებო წარწერებს;

16) ასრულებენ თამასუქების პროტესტებს;

17) გასანადღებლად წარადგენენ ჩეკებს და ადასტურებენ ჩეკის გაუნადღებლობას;

18) შესანახად იღებენ დოკუმენტებს;

19) უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს;

20) ასრულებენ საზღვაო პროტესტებს.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სახელმწიფო სანოტარო კანტორებს შეიძლება დაეკისროთ სხვა სანოტარო მოქმედების შესრულებაც.

მუხლი 14. სანოტარო მოქმედებანი, რომელთაც ასრულებენ მზრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები

დასახლებულ პუნქტებში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ არის, მზრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

- 1) ადასტურებენ ანდერძებს;
- 2) ადასტურებენ სხვა გარიგებებს (ხელშეკრულებებს, რწმუნებულებებს და სხვა), გარდა ხელშეკრულებებისა, რომლებიც ეხება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების უვადო სარგებლობაში გადაცემას, და გარიგებებისა, რომლებიც ეხება საზღვარგარეთ არსებულ ქონებას, ან უფლებებს, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა განხორციელდეს;
- 3) იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;
- 4) ყადაღის ადებენ საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;
- 5) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან;
- 6) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;
- 7) გადასცემენ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებს და სხვა მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებუ-

ლებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

8) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

9) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;

10) შესანახად იღებენ დოკუმენტებს.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით მზრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეიძლება დაეკისროთ ამ კანონის მე-13 მუხლის მე-12, მე-15 და მე-20 პუნქტებით გათვალისწინებული სხვა სანოტარო მოქმედებათა შესრულებაც.

აუცილებელ შემთხვევებში საქართველოს სსრ კანონმდებლობით მზრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეიძლება დაეკისროთ სხვა ისეთ სანოტარო მოქმედებათა შესრულებაც, რომლებიც ამ კანონის მე-13 მუხლით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 15. სანოტარო მოქმედებანი, რომელთაც ასრულებენ სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებები

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

- 1) ადასტურებენ გარიგებებს (ხელშეკრულებებს, ანდერძებს, რწმუნებულებებს და სხვ.), გარდა ხელშეკრულებებისა სსრ კავშირში არსებული საცხოვრებელი სახლების გასხვისებისა და დაგირავების შესახებ;
- 2) იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;
- 3) გასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობებს;
- 4) გასცემენ მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობებს;
- 5) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან;
- 6) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;
- 7) ამოწმებენ დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორეს.
- 8) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;
- 9) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
- 10) ადასტურებენ მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;
- 11) ადასტურებენ დოკუმენტების წარდგენის დროს;

12) დემოზიტში იღებენ ფულსა და ფასიან ქაღალდებს;

13) ასრულებენ საადრულებო წარწერებს;

14) შესანახად იღებენ დოკუმენტებს;

15) უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს;

16) ასრულებენ საზღვაო პროტესტებს.

სსრ კავშირის კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა სანოტარო მოქმედებებიც, რომელთაც სსრ კავშირის საკონსულტო დაწესებულებანი შეასრულებენ.

მუხლი 16. თანამდებობის პირთა მიერ იმ ანდერძებისა და რწმუნებულებების დადასტურება, რომლებიც უთანაბრდებიან ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს

ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს უთანაბრდება:

საავადმყოფოებში, სხვა სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სანატორიუმებში სამკურნალოდ მყოფ ან მოხუცებულთა და ინვალიდთა სასტუმროებში მცხოვრებ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საავადმყოფოების, სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმების მთავარი ექიმების, სამედიცინო ნაწილში მათი მოადგიელების ან მორიგე ექიმების მიერ, აგრეთვე მოხუცებულთა და ინვალიდთა სასტუმროების დირექტორებისა და მთავარი ექიმების მიერ;

სსრ კავშირის აღმით მცურავ საზღვაო ან შიდა ნაოსნობის გემებზე მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ გემების კაპიტნების მიერ;

საღაზვერვო, არქტიკულ და სხვა მათ მსგავს ექსპედიციებში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ ექსპედიციების უფროსების მიერ;

ჰოსპიტლებში, სანატორიუმებსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლების, სანატორიუმებისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებათა უფროსების, სამედიცინო ნაწილში მათი მოადგიელების, უფროსი და მორიგე ექიმების მიერ;

სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები და რწმუნებულებანი, ხოლო იმ ჯარის ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებებისა და სამხედრო სასწავლებლების დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებებისა

ბებისა და სასწავლებლების მეთაურების (უფროსების) მიერ;

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის მიერ.

ამ მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები მოვალენი არიან მათ მიერ დადასტურებული ანდერძების თითო ცალი დაუყოვნებლივ გადასცენ შესანახად სახელმწიფო სანოტარო კანტორას მოანდერძის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საზღვაო გემის კაპიტანი მოვალეა მის მიერ დადასტურებული ანდერძების თითო ცალი გადასცეს სსრ კავშირის ნავსადგურის უფროსს ან უცხოეთის ნავსადგურში სსრ კავშირის კონსულს შემდგომ მათ გადასაგზავნად სახელმწიფო სანოტარო კანტორისათვის მოანდერძის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ მოანდერძეს სსრ კავშირში არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან თუ მოანდერძის საცხოვრებელი ადგილი არ არის ცნობილი, ანდერძი გაეგზავნება იმ სახელმწიფო სანოტარო კანტორას, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო.

სახელმწიფო ნოტარიუსი მოვალეა შეამოწმოს შესანახად შემოსული ანდერძის კანონიერება და, თუ დადგინდა, რომ იგი არ შეესაბამება კანონს, აცნობოს ამის შესახებ მოანდერძეს და თანამდებობის პირს, რომელმაც ანდერძი დადასტურა.

ამ მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთა მიერ ანდერძისა და რწმუნებულებების დადასტურება ხდება ამ კანონის მე-6—მე-8, მე-19, მე-20 და 26-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

პ ა რ ი III

სანოტარო მოქმედების შესრულების წესები

მ თ ვ ი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 17. სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი

სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში საქართველოს სსრ მიერ ტერიტორია-



ზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობის თანახმად სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან განსაზღვრულ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სანოტარო მოქმედება სრულდება სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში. ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფო ნოტარიუსს ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელ სხვა თანამდებობის პირს უფლება აქვს სანოტარო მოქმედება შეასრულოს აღნიშნული შენობების გარეთაც, თუ იმ მოქალაქეს, რომლისთვისაც მოქმედება სრულდება, საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, ინვალიდობა და სხვა) არ შეუძლია გამოცხადდეს სანოტარო კანტორაში ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებათა მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილს განსაზღვრავს სსრ კავშირის საკონსულო წესდება.

მუხლი 18. სანოტარო მოქმედების შესრულების ვადები

სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დღეს.

სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს, თუ საჭიროა დამატებითი ცნობების ან დოკუმენტების გამოთხოვა სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თანამდებობის პირებისაგან ან დოკუმენტების გაგზავნა საესპერტოზოდ.

თუ სასამართლოსაგან მიღებულია ცნობა, რომ შემოსულია დაინტერესებული პირის განცხადება, რომელიც სადავოდ ხდის უფლებას ან ფაქტს, რის დადასტურებასაც მოითხოვს მეორე დაინტერესებული პირი, სანოტარო მოქმედების შესრულება შეჩერდება სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტამდე.

სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს აგრეთვე მოქალაქეთა თხოვნით, რომელთაც სურთ მიმართონ სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედავებისათვის, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე პირი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება აქვს გადადოს სანოტარო მოქმედების შესრულება არაუმეტეს ათი დღის ვადით. თუ სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დად-

გენილ ვადაში სამართლიანად მიღებულ არ იქნა ცნობა დაინტერესებული მოქალაქის განცხადების შემოსვლის შესახებ, სახელმწიფო ნოტარიუსი ასრულებს სანოტარო მოქმედებას.

მუხლი 19. იმ პირთა ვინაობის დადგენა და ქმედუნარიანობის შემოწმება, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ

სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირნი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, დაადგენენ იმ მოქალაქეების, მათი წარმომადგენლების ან სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციონთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ.

გარიგებათა დადასტურების დროს უნდა გამოიტყვეს მოქალაქეთა ქმედუნარიანობა და შემოწმდეს გარიგების მონაწილე იურიდიულ პირთა უფლება-უნარიანობა. წარმომადგენლის მიერ გარიგების დადების შემთხვევაში ამოწმებენ მის უფლებამოსილებას.

მუხლი 20. იმ პირთა ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმება, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას.

გარიგებათა დადასტურების და ზოგაერთი სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოწმდება გარიგების მონაწილეთა და სხვა იმ პირთა ხელმოწერის ნამდვილობა, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას.

ნოტარულად დასამოწმებელ გარიგებებს, აგრეთვე განცხადებებს და სხვა დოკუმენტებს ხელს აწერს სახელმწიფო ნოტარიუსი ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირის დასწრებით. თუ გარიგების, განცხადების ან სხვა დოკუმენტის ხელმოწერას არ დასწრებია აღნიშნული თანამდებობის პირი, ხელმოწერმა პირადად უნდა დადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთვნის.

იმ პირის ნაცვლად, რომელსაც ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტს, მისი დავალებით ხელს აწერს სხვა პირი სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირის თანდასწრებით.

სახელმწიფო ნოტარიუსს ან სხვა თანამდებობის პირს, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, შეუძლია არ მოითხოვოს სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თა-

ნამდებობის პირების პირადად გამოცხადება, თუ ეს პირები მისთვის ცნობილი არიან ან თუ მას მოეპოვება ამ თანამდებობის პირების ხელმოწერის ნიმუში, მიღებული მათთვის პირადი მემართვის შედეგად, და მათი ხელმოწერის ნამდვილობა ექვეს არ იწვევს.

მუხლი 21. სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საჭირო ცნობებისა და დოკუმენტების გამოთხოვა

სახელმწიფო ნოტარიუსებსა და სხვა თანამდებობის პირთ, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უფლება აქვთ გამოითხოვონ სახელმწიფო დაწესებულებებიდან, საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, კოლმეურნეობებიდან და სხვა კოოპერატიული და სასოფლო-ეზოო ორგანიზაციებიდან ცნობები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის. შესაბამისი ცნობები და დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ნოტარიუსის ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირის მიერ მითითებულ ვადაში. ეს ვადა ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

მუხლი 22. სანოტარო მოქმედების შესრულების უფლების შეზღუდვები

სახელმწიფო ნოტარიუსებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება თავიანთ სახელზე და თავიანთი სახელით, თავიანთი მეუღლეების, ამათი და თავიანთი ნათესავების (პაპის, ბების, შვილების, შვილიშვილების, ძმების, დების) სახელზე და სახელით, აგრეთვე მოცემული სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან მოცემული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკთა სახელზე და სახელით. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთ უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება აგრეთვე მოცემული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე და სახელით.

სანოტარო მოქმედება აღნიშნულ შემთხვევებში ასრულებს ნებისმიერი სახელმწიფო სანოტარო კანტორა ან ნებისმიერი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

იმ შემთხვევებში, როდესაც სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან განსაზღვრულ მშრომელთა დეპუტატების

საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი დადგინდება იმ წესით, რომელსაც ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სახელმწიფო ნოტარიუსის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საკონსულთო თანამდებობის პირი ვერ შეასრულებს სანოტარო მოქმედებას თავის სახელზე და თავისი სახელით, თავისი მეუღლის, მისი და თავისი პირდაპირი ნათესავების სახელზე და სახელით.

ამ კანონის მე-16 მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთ უფლება არა აქვთ დადასტურონ ანდერძები და რწმუნებულებანი თავიანთი სახელზე და თავიანთი სახელით, თავიანთი მეუღლეების, ამათი და თავიანთი იმ ნათესავების სახელზე და სახელით, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ მუხლის პირველ ნაწილში.

სანოტარო და მასთან გათანაბრებული მოქმედება, რომელიც ამ მუხლით დადგენილი წესების დარღვევით შესრულდა, ბათილია.

მუხლი 23. სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის ტექსტი

სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის არ იღებენ დოკუმენტებს, რომელშიც არის გადაფხეკილი ადგილები, მინაწერები, წაშლილი სიტყვები და სხვა ისეთი შესწორებები რომლებიც წინასწარ დათქმული არ იყო, აგრეთვე დოკუმენტებს, რომლებიც ფაქტობრივად შესრულებულია.

სანოტარო წესით დასადასტურებელი დოკუმენტების ტექსტი უნდა დაიწეროს ნათლად და გარკვევით, თარიღი და ვადა, რომელიც დოკუმენტს შეეხება, ერთხელ მაინც უნდა დაიწეროს სიტყვებით, მოქალაქეთა გვარი, სახელი და მამის სახელი სრულად უნდა იქნეს ჩაწერილი, ხოლო იურიდიული პირის სახელწოდება შეუმოკლებლად უნდა დაიწეროს და მიეთითოს მისი ორგანოების ადგილსამყოფელი.

მუხლი 24. დამადასტურებელი წარწერა

გარიგებების ნოტარიული დადასტურება, დოკუმენტების პირებისა და მათი ამონაწერების, დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობის, ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორის დამოწმება მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ნოტარიუსი ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირი დადასტურების ან დამოწმების შესახებ სათანადო დოკუმენტზე გააკეთებს წარწერას ბეჭდის დასმით.

მუხლი 25. სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაცია

ყველა სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო ნოტარიუსები ან მშრო-



მელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, რეგისტრაციაში ტარდება სანოტარო რეესტრში.

ყველა შესრულებულ სანოტარო მოქმედებას ეძლევა დამოუკიდებელი ნომერი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული გაცემულ დოკუმენტებსა და დამადასტურებელ წარწერებში.

მუხლი 26. ამონაწერის გაცემა სანოტარო რეესტრიდან

სახელმწიფო ნოტარიუსი ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, ამონაწერს სანოტარო რეესტრიდან გაცემს იმ მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების და სხვა კოლექტიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წერილობითი განცხადებით, ვისი დავალებით ან ვის მიმართაც შესრულებულია სანოტარო მოქმედება.

მუხლი 27. დაკარგული დოკუმენტის დუბლიკატის გაცემა

სახელმწიფო ნოტარიუსის ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირის მიერ დადასტურებული ან გაცემული დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს წერილობითი განცხადების საფუძველზე ეძლევა დაკარგული დოკუმენტის დუბლიკატი.

სახელმწიფო ნოტარიუსი გაცემს აგრეთვე იმ ანდერძის დუბლიკატს, რომელიც მან მიიღო ამ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 28. ზომები, რომლებსაც მიიღებენ სახელმწიფო ნოტარიუსები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირები კანონის დარღვევის აღმოჩენისას

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირნი, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, აღმოაჩენენ, რომ მოქალაქეებმა ან ცალკეულმა თანამდებობის პირებმა დაარღვეეს კანონიერება, ისინი ამის შესახებ, აუცილებელი ზომების მისაღებად, ატყობინებენ შესაბამის დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს ან პროკურორს.

თუ წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, სახელმწიფო ნოტარიუსს და სხვა თანამდებობის პირს, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, უფლება აქვს დააკავოს

ეს დოკუმენტი და გაგზავნოს იგი საექსპერტიზოდ.

მუხლი 29. უარის თქმა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე

სახელმწიფო ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს:

უარს ამბობს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე თუ ასეთი მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს, (თუ მოქმედება არ უნდა შესრულდეს სანოტარო ორგანოს მიერ ან უნდა შესრულდეს სხვა სანოტარო ორგანოში; თუ სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვს არაქმედუნარიანი პირი ან წარმომადგენელი, რომელსაც საამისო რწმუნებულება არ მოეპოვება; თუ იურიდიული პირის სახელით შესრულებული გარიგება ეწინააღმდეგება იმ მიზნებს, რომლებიც მითითებულია მის წესდებაში ან დებულებაში და ა. შ.);

სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის არ იღებს დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონმდებლობის მოთხოვნებს, არ შეიცავენ ცნობებს, რომლებიც ჩირქს ცხებენ მოქალაქეთა ბატონსა და ღირსებას.

სახელმწიფო ნოტარიუსმა და სხვა თანამდებობის პირმა, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, იმ პირის თხოვნით, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, უნდა გაცეს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის მიზეზები და განმარტოს ისი გასაჩივრების წესი.

სახელმწიფო ნოტარიუსის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის საკონსულტო წესდებით შეიძლება დადგინდეს სსრ კავშირის საკონსულტო დაწესებულებების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის სხვა საფუძვლებიც, აგრეთვე განისაზღვროს ასეთი უარის თქმის წესი.

მუხლი 30. სანოტარო მოქმედების ან მის შესრულებაზე უარის თქმის გასაჩივრება

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უმართებულოდ მიაჩნია შესრულებული სანოტარო მოქმედება ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა, უფლება აქვს ამის შესახებ საჩივარი შეიტანოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სახელმწიფო სანოტარო კანტორის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სახელმწიფო ნოტარიუსის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საჩივარი საკონსულტო თანამდებობის პირის მიერ სანოტარო მოქმედების უმართებულო შესრულების ან მის შესრულებაზე უარის თქმის გამო განიხილება

იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირის საკონსულტაციო წესდება.

საჩივრები ამ კანონის მე-16 მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა მიერ ანდერძებისა და რწმუნებულებების უმართებულო დადასტურების ან მათ დადასტურებაზე უარის თქმის გამო შეაქვთ სასამართლოში შესაბამისად საავადმყოფოს, სხვა სტაციონარული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების, სანატორიუმის, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის, ექსპედიციის, ჰოსპიტლის, სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების, ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულების, სამხედრო სასწავლებლის, თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საჩივარი სსრ კავშირის ალმაიანი საზღვაო ან შიდა ნავსადგომის გემის კაპიტნის მიერ ანდერძის უმართებულო დადასტურების ან მის დადასტურებაზე უარის თქმის გამო შეაქვთ სასამართლოში გემის მიწერის ნავსადგურის მიხედვით.

ამ მუხლში აღნიშნულ საჩივარს განიხილავს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო განსაკუთრებულ წარმომცემს წესით საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 253-ე — 255-ე და 286-ე — 288-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 31. იმ უფლებების შესახებ დავის გადაწყვეტის წესი, რომელიც დაჰყარებულია შესრულებულ სანოტარო მოქმედებაზე

დაინტერესებულ პირებს შორის წარმოშობილ დავას იმ უფლებების შესახებ, რომელიც დაჰყარებულია შესრულებულ სანოტარო მოქმედებაზე, განიხილავს სასამართლო ან არბიტრაჟი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სასარჩელო წარმოების წესით.

მუხლი 32. საჩივარი სახელმწიფო ნოტარიუსის მოქმედებაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებასთან

სახელმწიფო ნოტარიუსის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საჩივარს სახელმწიფო ნოტარიუსის მოქმედებაზე, რომელიც არ ეხება მის მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედების არსს (სანოტარო მოქმედების შესრულების ვადების დარღვევა, მიღების დადგენილი საათების დაუცველობა და ა. შ.), განიხილავს შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 33. სანოტარო მოქმედების შესრულების წესი, სანოტარო რეესტრების, მოწმობებისა და დამადასტურებელი წარწერების ფორმები

სახელმწიფო სანოტარო კანტორებისა და მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესს ადგენს სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო ნოტარიუსის შესახებ, სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტები, ეს კანონი და საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტები.

სსრ კავშირის საკონსულტაციო დაწესებულებათა მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესს ადგენს სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო ნოტარიუსის შესახებ, სსრ კავშირის საკონსულტაციო წესდება და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტები.

სახელმწიფო ნოტარიუსის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრების, სანოტარო მოწმობების, გარიგებებსა და დასამოწმებელ დოკუმენტებზე დამადასტურებელი წარწერების ფორმები დგინდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 34. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო სანოტარო კანტორებისა და მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე გარიგებების, განცხადებების პროექტების, დოკუმენტების პირების, მათი ამონაწერების მომზადებისათვის, დოკუმენტების დუბლიკატების გაცემისათვის დაინტერესებულ პირებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადახდება სახელმწიფო ბაჟი.

თუ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად სახელმწიფო ნოტარიუსი, მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი ადგილზე გაემგზავრა, დაინტერესებული პირი ანაზღაურებს ფაქტიურ სატრანსპორტო ხარჯებს.

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებისაგან განთავისუფლება შეიძლება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

სახელმწიფო ნოტარიუსის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის საკონსულტაციო დაწესებულების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაინტერესებულ პირს გადახდება საკონსულტაციო გამოსაღები. იგივე პირი ანაზღაურებს სანოტარო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებულ ფაქტიურ ხარჯებს.



თ ა ვ ი ი

გარიგებათა დადასტურება

მუხლი 35. გარიგებები, რომლებიც სანოტარო წესით დადასტურდება

სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, ადასტურებენ გარიგებებს, რომელთა შესასრულებლად კანონმდებლობით დადგენილია სავალდებულო სანოტარო ფორმა. მხარეთა სურვილით დადასტურდება სხვა ისეთი გარიგებანიც, რომლებსთვისაც კანონმდებლობით დადგენილი არ არის სავალდებულო სანოტარო დადასტურება.

მუხლი 36. გარიგების პროექტის შეინარჩისა და მნიშვნელობის განმარტება მხარეებისათვის

სახელმწიფო ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, მოვალეა განუმარტოს მხარეებს მათ მიერ წარმოდგენილი ან მათი თხოვნით შედგენილი გარიგების პროექტის შეინარჩი და მნიშვნელობა და შეამოწმოს — შეესაბამება თუ არა მისი შეინარჩი მხარეთა ნამდვილ სურვილებს.

მუხლი 37. გადასახადით ან გამოსადებით დაბეგრული ქონების გასხვისების შესახებ გარიგების დადასტურების პირობები

გარიგება გადასახადით ან გამოსადებით დაბეგრული ქონების გასხვისების შესახებ შეიძლება დადასტურებულ იქნეს იმ პირობით თუ წარმოდგენილი იქნება გადასახადის ან გამოსადების გადახდის მტკიცებულება ან შესაბამისი ორგანოს და შემქმნის თანხმობა იმის შესახებ, რომ გადასახადის ან გამოსადების გადახდა ვალდებულ იქნეს ქონების შემქმნე.

მუხლი 38. საცხოვრებელი სახლის გასხვისების ან დაგირავების გარიგების დადასტურება

მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინების გასხვისების ან დაგირავების გარიგების დადასტურებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, ამოწმებს ეკუთვნის თუ არა ისინი გამსხვისებელ ან დამგირავებელ პირს და არსებობს თუ არა ყადაღა მათ გასხვისებაზე.

ყადაღის არსებობისას გასხვისების გარიგება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი და შემქმნი თანახმაა, რომ ვალი ვალდებულ იქნეს შემქმნე.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გასხვისების ან დაგირავების ხელშეკრუ-

ლება დადასტურდება საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დადასტურებისას ხელშეკრულების დამდებ მხარეებს განუმარტავენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე და 238-ე მუხლების შეინარჩს.

მუხლი 39. სოფელში მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დადასტურება

სოფელში მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულება არ საჭიროებს სანოტარო წესით სავალდებულო დადასტურებას, მაგრამ მხარეთა სურვილით ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დადასტურებული იქნეს სანოტარო წესით.

ასეთი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულების დადასტურების დროს მხარეებს აფრთხილებენ იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან და ამ წესის დაუცველობა გამოიწვევს გასხვისების ხელშეკრულების ბათილობას.

საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულების დადასტურების დროს მხარეებს აფრთხილებენ იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან და ამ წესის დაუცველობა გამოიწვევს გასხვისების ხელშეკრულების ბათილობას.

საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულების დადასტურება არ შეიძლება კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობის გარეშე, ხოლო თუ კომლში არიან არასრულწლოვანი ან არაქმედუნარიანი პირები — მეურვეობისა და მსრუტუნელობის ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე; იმ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულების დადასტურება, რომელიც კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის მიმავრებულ ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს გამგებლობაში მყოფ მიწაზეა, არ შეიძლება შესაბამისად კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილების, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

მუხლი 40. პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკ-



ვეთების გაცემის ხელშეკრულებების დადასტურება

პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მოქალაქეებზე მიწის ნაკვეთების უვადო სარგებლობაში გაცემის ხელშეკრულებებს ადასტურებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები მიწის ნაკვეთის გაცემის ადგილის მიხედვით.

აღნიშნული ხელშეკრულების დადასტურების დროს სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება ხელშეკრულება იმ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელიც აწესრიგებს მოქალაქეთა უფლებას პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე.

მუხლი 41. იმ ქონების გასხვისების გარიგების დადასტურება, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება

სახელმწიფო ნოტარიუსი იმ ქონების გასხვისების გარიგების დადასტურებისას, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება (ავტომაქანები, მოტოციკლები და სხვა), ამოწმებს ამ ქონების კუთვნილებას უფლების დამდგენი დოკუმენტის მიხედვით.

მუხლი 42. ანდერძის დადასტურება

სახელმწიფო ნოტარიუსი და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირი ადასტურებს ქმედუნარიანი მოქალაქის მიერ პირადად წარდგენილ ანდერძს; რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

წარმომადგენლის მეშვეობით ანდერძის დადასტურება დაუშვებელია.

მოანდერძეს განუმარტავენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 546-ე, 547-ე მუხლების შინაარსს.

მუხლი 43. ანდერძის შეცვლის და მოშლის წესი

თუ სახელმწიფო ნოტარიუსი ან თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, მიიღებენ განცხადებას ადრინდელი ანდერძის მოშლის შესახებ, აგრეთვე ახალი ანდერძის მიღების შემთხვევაში, რომელიც ცვლის ან აუქმებს ადრინდელ ანდერძს, ამას შესახებ აღინიშნება ანდერძის იმ ცალში, რომელიც იწახება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სასოფლო, საღებო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, და სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში. ხელმოწერა განცხადებაზე ანდერძის მოშლის შესახებ ნოტარიულად უნდა დამოწმდეს.

მუხლი 44. რწმუნებულების დადასტურება

სახელმწიფო ნოტარიუსს ან სხვა თანამდებობის პირს, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, უეუძლია დაადასტუროს რწმუნებულე-

ბა ერთი ან რამდენიმე პირის სახელი ერთი ან რამდენიმე პირის სახელზე.

რწმუნებულება შეიძლება გაცემულ იქნეს ვადით არაუმეტეს სამი წლისა. ამ კანონის მმ-ე მუხლში მითითებული შემთხვევების გამოკლებით, იმ რწმუნებულებას, რომელშიც აღნიშნული არ არის მისი მოქმედების ვადა, ძალა აქვს ერთი წლის განმავლობაში მისი გაცემის დღიდან. რწმუნებულება, რომელშიც აღნიშნული არ არის მისი შედგენის თარიღი, ბათილია.

რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულება შეიძლება დადასტურებულ იქნეს სანოტარო წესით მხოლოდ ძირითადი რწმუნებულების წარდგენის შემდეგ, რომელშიც დათქმულია რწმუნების გადაცემის უფლება. რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულება არ შეიძლება შეიცავდეს იმაზე მეტ უფლებებს, ვიდრე ძირითადი რწმუნებულება. რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულების მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს იმ რწმუნებულების ვადას, რომლის საფუძველზეც არის იგი გაცემული.

მუხლი 45. იმ დოკუმენტების ცალების რაოდენობა, რომლებშიც ჩამოყალიბებულია გარიგების შინაარსი

ხელშეკრულებები, ანდერძები, რწმუნებულებანი და სხვა დოკუმენტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სანოტარო წესით დასადასტურებელ გარიგებათა შინაარსი, სახელმწიფო ნოტარიუსს ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელ თანამდებობის პირს წარედგინება არანაკლებ ორი ცალისა, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ორგანოს საქმეში.

თ ა ვ ი III

ზომების მიღება სამკვიდრო ქონების დაცვისათვის

მუხლი 46. შეტყობინება სამკვიდროს გახსნის შესახებ

სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სასწავლებლები, სადაც მუშაობდნენ ან სწავლობდნენ გარდაცვალებულები, მილიციის ორგანოები და საბინაო ორგანოები გარდაცვალებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საბინაო-სამშენებლო და საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ მშენებელთა კოლექტივების გამკვებები, აგრეთვე მოქალაქეები — იმ სახლების მესაკუთრენი, სადაც გარდაცვალებულები ცხოვრობდნენ, მოვალენი არიან სახელმწიფო სანოტარო კანტორებს ან

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს აცნობონ იმ მოქალაქეთა გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების შესახებ, რომელთა მემკვიდრეები ადგილზე არ იმყოფებიან, და აგრეთვე მათთვის ცნობილი მონაცემები სავარაუდო მემკვიდრეების საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის შესახებ.

მუხლი 47. ზომების მიღება სამკვიდრო ქონების დაცვისათვის

სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სახელმწიფო ნოტარიუსი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა შეტყობინებით ან საკუთარი ინიციატივით მიიღებს ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, როდესაც ეს საჭიროა მემკვიდრეების, საანდერძო დანაჯისრის მიმღების, კრედიტორების ან სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

თუ სამკვიდროს დამტოვებლის ქონება ან ქონების ნაწილი არ არის სამკვიდროს გახსნის ადგილზე, სახელმწიფო ნოტარიუსი ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სახელმწიფო სანოტარო კანტორას ან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სამკვიდრო ქონების ადგოსამყოფელის მიხედვით უგზავნის დავალებას მისი დაცვისათვის ზომების მიღების შესახებ.

მუხლი 48. სამკვიდროს გახსნის შესახებ მემკვიდრეებისათვის შეტყობინება

სახელმწიფო ნოტარიუსი, რომელმაც მიიღო ცნობა სამკვიდროს გახსნის შესახებ, მოვალეა შეატყობინოს ამის შესახებ მემკვიდრეებს, თუ მისთვის ცნობილია მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი.

სახელმწიფო ნოტარიუსს შეუძლია აგრეთვე მემკვიდრეების გამოწვევა საჯარო განცხადების ან პრესის მეშვეობით.

მუხლი 49. სამკვიდრო ქონების აღწერა და შენახვა

სამკვიდრო ქონების დასაცავად სახელმწიფო ნოტარიუსები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, აღწერენ ამ ქონებას და შესაძლებლად ჩააბარებენ მემკვიდრეებს ან სხვა პირებს.

თუ მემკვიდრეობაში ისეთი ქონებაა, რომელიც მართვის მოთხოვნას, აგრეთვე მემკვიდრეებისათვის სამკვიდროს მიღებამდე სამკვიდროს დამტოვებლის კრედიტორების მიერ სარ-

ჩეის წაყენების შემთხვევაში, სახელმწიფო ნოტარიუსის ან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იმ თანამდებობის პირის წარდგინებით, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტს სამკვიდრო ქონებას მეურვეს დაუნიშნავს.

მეურვეებს და სხვა პირებს, რომლებსაც შესაძლებლად აქვთ გადაეცემა სამკვიდრო ქონება, აგრეთვე სამკვიდრო ქონების მეურვედ დანიშნულ პირს აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლის შესაბამისად სამკვიდრო ქონების გაფლანგვის, გასვლის ან დამალვისათვის, აგრეთვე მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ მიყენებული ზარალისათვის.

მუხლი 50. გასამრჯელო სამკვიდრო ქონების შენახვისათვის

პირებს, რომლებსაც შესაძლებლად გადაეცათ სამკვიდრო ქონება, აგრეთვე ქონების მეურვეებს, თუ ისინი მემკვიდრეები არ არიან, უფლება აქვთ მიიღონ დადგენილ წესით განსაზღვრული გასამრჯელო სამკვიდრო ქონების შენახვისათვის.

აღნიშნულ პირებს აგრეთვე აუნაზღაურდებთ სამკვიდრო ქონების შენახვისა და მართვისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯები, ამ ქონების სარგებლობით ფაქტიურად მიღებული სარგებლის გამოკლებით.

მუხლი 51. აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება სამკვიდრო ქონებიდან

აუცილებელ შემთხვევებში მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღებამდე, ხოლო თუ ასეთი ქონება მიღებული არ არის, სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობის უფლებაზე მოწმობის გაცემამდე, სახელმწიფო სანოტარო კანტორა გასცემს განკარგულებას სამკვიდრო ქონებიდან იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელიც გაწეული იყო;

- 1) სამკვიდროს დამტოვებლის მოსავლელად მისი ავადმყოფობის დროს ან მის დასაკრძალავად;
 - 2) სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფივ მიყოლი მოქალაქეების შესანახად;
 - 3) ხელფასთან დაკავშირებით წაყენებული პრეტენზიებისა და მათთან გათანაბრებული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად;
 - 4) სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის; აგრეთვე მემკვიდრეების შეტყობინებასთან დაკავშირებული პუბლიკაციისათვის.
- თუ სამკვიდრო ქონებაში არ მოიპოვება ფულადი თანხები, მაშინ ვაიცემა ნივთი, რომლის ღირებულება არ აღემატება ასანაზღაურებელი ხარჯების თანხას.



მუხლი 52. სამკვიდრო ქონების დაცვის დონისძიებათა შეწყვეტა

სამკვიდრო ქონების დაცვა გრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების მიღებადღე, ხოლო თუ მათ არ მიიღეს სამკვიდრო ქონება, — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლით დადგენილი ვადების გასვლამდე.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოვალეა წინასწარ შეატყობინოს მემკვიდრეებს სამკვიდრო ქონების დაცვის დონისძიებათა შეწყვეტის შესახებ, ხოლო, თუ ქონება მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოს უნდა გადაეცეს — შესაბამის საფინანსო ორგანოს.

თ ა შ ი V

მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემა

მუხლი 53. მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის ადგილი და ვადა

მემკვიდრეების წერილობითი განცხადებით სახელმწიფო სანოტარო კანტორა სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით გასცემს მემკვიდრეობის უფლების მოწმობას. მოწმობა ვაიცემა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 567-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

მუხლი 54. მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის წესი

მემკვიდრეობის უფლების მოწმობა მიეცემა იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო ქონება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის შესაბამისად.

მემკვიდრეები, რომლებსაც მემკვიდრეობა კანონით დადგენილ ვადაში არ მიუღიათ, შეიძლება შეტანილ იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა იმ მემკვიდრის თანხმობით, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა. თანხმობა განცხადებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემამდე.

მემკვიდრეობის უფლების მოწმობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან მათი სურვილის მიხედვით თითოეულს ცალ-ცალკე.

მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემის დროს მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ეძლევა შესაბამის საფინანსო ორგანოს.

მუხლი 55. კანონით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის პირობები

კანონით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის

გაცემის დროს სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტს. სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, იმ ურთიერთობათა არსებობას, რაც წარმოადგენს კანონისმიერ მემკვიდრედ იმ პირთა მოწვევის საფუძველს, რომლებმა შეიტანეს განცხადება მოწმობის გაცემის შესახებ, და იმ ქონების შედგენილობას, რომელზედაც უნდა გაციეს მემკვიდრეობის უფლების მოწმობა. ამ გარემოებათა დასადასტურებლად მემკვიდრეებისაგან გამოითხოვენ სათანადო მტკიცებულებებს.

თუ ერთ ან რამდენიმე კანონისმიერ მემკვიდრეს საშუალება არა აქვს წარმოადგინოს იმ ურთიერთობათა მტკიცებულება, რაც საფუძველია კანონისმიერ მემკვიდრედ მოსაწვევად, ისინი შეიძლება ჩაწერილ იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა იმ დანარჩენი ნათესავის თანხმობით, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა და წარადგინეს სამკვიდროს დამტოვებელთან ნათესაური ურთიერთობის მტკიცებულებანი.

მუხლი 56. ანდერძით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის პირობები

ანდერძით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის დროს სახელმწიფო ნოტარიუსი შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვის გზით ამოწმებს სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტს, ანდერძის არსებობას, სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, სამკვიდრო ქონების შედგენილობას და ადგილსამყოფელს.

სახელმწიფო ნოტარიუსი აგრეთვე არკვევს იმ პირთა წრეს, რომლებსაც უფლება აქვთ სავალდებულო წილზე სამკვიდრო ქონებაში.

მუხლი 57. იმ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის პირობები, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება

თუ სამკვიდრო ქონებაში არის საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი), სახელმწიფო ნოტარიუსი მოითხოვს დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს სახლი ნამდვილად ეკუთვნოდა სამკვიდროს დამტოვებელს, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობას, აგრეთვე ამოწმებს ხომ არ აქვს დადებული ყალბა ამ სახლის გასხვისებას.

მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში სხვა ისეთი ქონების ჩარიცხვისათვის, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება (ავტომობილები, მოტოციკლები და სხვა), სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს სამკვიდროს დამტოვებლისათვის ამ ქონების კუთვნილების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

მუხლი 58. მემკვიდრეობა საკოლმეურნეო ან ერთპიროვნულ კომლში

თუ საკოლმეურნეო ან ერთპიროვნული კომლის წევრის გარდაცვალების შემდეგ კომლში



სხვა წევრები არ დარჩენილი, სახელმწიფო ნოტარიუსი კომლის ქონების მიმართ გამოიყენებს მეშვედრეობითი სამართლის ნორმებს საერთო წესით.

კომლის ვარდაცვლილი წევრის პირადი ქონება მეშვედრეებზე გადადის საერთო წესით.

თ ა შ ი V

მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა

მუხლი 59. მოწმობის გაცემა მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით

სახელმწიფო სანოტარო კანტორა მეუღლეთა ერთობლივი წერილობითი განცხადების საფუძველზე ორივეს ან ერთ-ერთ მათგანს აძლევს მოწმობას ქორწინების განმავლობაში შექმნილ საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების შესახებ.

საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) საკუთრების უფლების მოწმობა გაიცემა საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 60. მოწმობის გაცემა ერთ-ერთი მეუღლის ვარდაცვალების შემთხვევაში

ერთ-ერთი მეუღლის ვარდაცვალების შემთხვევაში მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას ცოცხლად დარჩენილი მეუღლის განცხადებით ვასცემს სახელმწიფო სანოტარო კანტორა სამკვიდროს ვასხნის ადგილის მიხედვით, რის შესახებ წინასწარ აცნობებენ მეშვედრეებს.

ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა შეიძლება მიეცეს ქორწინების განმავლობაში შექმნილი საერთო ქონების ნახევარზე.

თ ა შ ი VI

ყადაღა საცხოვრებელი სახლის ვასხვისებაზე

მუხლი 61. ყადაღის დადება

მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სახლის ან ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლი ბინის მშენებლობის, კაპიტალური რემონტის ან შექმნისათვის სესხის მიცემის შესახებ საბანკო დაწესებულებების, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების და ორგანიზაციების შეტყობინების მიღების შემთხვევაში, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) დაგირავების ხელშეკრულების დადასტურების დროს სახელმწიფო ნოტარიუსი ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით ყადაღას და-

აღებს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის, ბინის) ვასხვისებაზე და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის, ბინის) ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 62. ყადაღის მოხსნა

სესხის ვადადის შესახებ საბანკო დაწესებულების, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოს ან ორგანიზაციის შეტყობინების ან გირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსი ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, ვაუქმებს ყადაღის საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე, ბინაზე) და ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის, ბინის) ადგილსამყოფელის მიხედვით.

თ ა შ ი VII

დოკუმენტის პირის და დოკუმენტიდან ამონაწერის დედანთან სისწორის, ხელმოწერის სინამდვილისა და თარგმანის სისწორის დამოწმება

მუხლი 63. დოკუმენტის პირის და დოკუმენტიდან ამონაწერების სისწორის დამოწმება

სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, კოლმეურნეობისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, აგრეთვე მოქალაქის მიერ გაცემული დოკუმენტის პირის და დოკუმენტიდან ამონაწერების სისწორის დედანთან სახელმწიფო სანოტარო კანტორები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები დამოწმებენ იმ პირობით, თუ დოკუმენტი კანონს არ ეწინააღმდეგება, აქვს იურიდიული მნიშვნელობა და დოკუმენტის პირისა და მისგან ამონაწერის დედანთან სისწორის დამოწმება კანონით არ არის აკრძალული.

აკრძალულია პასპორტის, პარტიული ბილეთის, პროფკავშირული ბილეთის, სადებუტატო და სამხედრო ბილეთის პირების დამოწმება.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება არა აქვთ დამოწმონ საშუალო სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შესახებ დოკუმენტების პირების სისწორე დედანთან.

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების იმ აქტების პირების დამოწმება, რომ-



ლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ინტერესებს ეხება, აგრეთვე უცხო ენაზე დაწერილი დოკუმენტების პირების დამოწმება შეიძლება მხოლოდ პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორებში.

თუ ნამდვილობა იმ დოკუმენტისა, რომლის პირიც წარმოდგენილია დასამოწმებლად, ეჭვს იწვევს, სახელმწიფო ნოტარიუსს ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირს, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, უფლება აქვს არ დაამოწმოს დოკუმენტი და გაგზავნოს იგი საექსპერტიზოდ.

მოქალაქეთა მიერ გაცემული დოკუმენტის პირის სისწორე დამოწმდება იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი ხელმოწერის სინამდვილეს ამოწმებს სანოტარო ორგანო ან ის ორგანიზაცია, სადაც მოქალაქე მუშაობს ან სწავლობს, იმ სახლის სახლმმართველობა, სადაც იგი ცხოვრობს, ან იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაცია, სადაც იგი მკურნალობს.

ამონაწერების სისწორე შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი, რომლიდანაც კეთდება ამონაწერი, შეეხება რამდენიმე ცალკეულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ საკითხებს. ამონაწერი უნდა შეიცავდეს განსაზღვრულ საკითხზე დოკუმენტის ნაწილის სრულ ტექსტს.

მუხლი 64. დოკუმენტის პირისგან შესრულებული პირის სისწორის დამოწმება

დოკუმენტის პირისაგან შესრულებული პირის სისწორე სახელმწიფო ნოტარიუსმა შეიძლება დამოწმოს იმ პირობით, თუ პირის სისწორე დამოწმებულია სანოტარო წესით ან თუ დოკუმენტის პირი გაცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მიერ, რომელმაც შეადგინა დოკუმენტის დედანი.

მუხლი 65. ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

სახელმწიფო ნოტარიუსი ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ის თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს სანოტარო მოქმედებას, ამოწმებს იმ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას, რომლის შინაარსი კონონს არ ეწინააღმდეგება და რომლის შინაარსსაც არ აქვს ვარიეტების ხასიათი.

ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება არ ადასტურებს დოკუმენტში ვადმოცემულ ფაქტებს, არამედ ადასტურებს მხოლოდ გარკვეული პირის ხელმოწერას.

ვარიეტებზე შეიძლება დამოწმდეს იმ პირის ხელმოწერის ნამდვილობა, რომელსაც ფიზიკუ-

რი ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა საბატო მიზეზის გამო არ შეეძლო ხელის მოწერა.

მუხლი 66. თარგმანის სისწორის დამოწმება

სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორეს იმ პირობით, თუ მან იცის ორივე ეს ენა.

თუ სახელმწიფო ნოტარიუსმა არ იცის შესაბამისი ენა, დოკუმენტის თარგმანი შეიძლება შესრულებულ იქნეს მისთვის ცნობილი მთარგმნელის მიერ, რომლის ხელმოწერის ნამდვილობას ამოწმებს სახელმწიფო ნოტარიუსი.

**თ ა ვ ი VIII
ფაქტების დადასტურება**

მუხლი 67. მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება

სახელმწიფო სანოტარო კანტორა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ის თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს სანოტარო მოქმედებას, ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს და ამის შესახებ დაინტერესებულ პირებს მისცემენ მოწმობას.

არასრულწლოვანის ცოცხლად ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მკურავის ან მზრუნველის) თხოვნით.

მუხლი 68. მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება

სახელმწიფო სანოტარო კანტორა ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს სანოტარო მოქმედებას, მოქალაქის თხოვნით ადასტურებს განსაზღვრულ ადგილას მისი ყოფნის ფაქტს და ამის შესახებ გასცემს მოწმობას.

არასრულწლოვანის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მკურავის ან მზრუნველის) თხოვნით.

მუხლი 69. ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან მოქალაქის იდენტობის დადასტურება

სახელმწიფო სანოტარო კანტორები ადასტურებენ ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან მოქალაქის იდენტობას და ამის შესახებ გასცემენ მოწმობას.

მუხლი 70. დოკუმენტის წარდგენის დროს დადასტურება

სახელმწიფო სანოტარო კანტორები ადასტურებენ დოკუმენტის წარდგენის დროს და ამის შესახებ გასცემენ მოწმობას.



თ ა შ ი IX

მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადების გადაცემა სხვა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის

მუხლი 71. მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებების გადაცემა სხვა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის

სახელმწიფო სანოტარო კანტორები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, რომლებიც ასრულებენ სანოტარო მოქმედებას, მოქალაქეებისაგან, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან იღებენ განცხადებებს სხვა მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადასაცემად. განცხადებები გაიგზავნება ფოსტით, ჩაბარების შეტყობინებით ან გადაეცემა უშუალოდ ადრესატს ხელწერილის ქვეშ.

განცხადების შემტან პირს, მისი თხოვნით, მიეცემა მოწმობა განცხადების გადაცემის შესახებ.

თ ა შ ი X

ფულისა და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღება

მუხლი 72. ფულისა და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღება

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოვალისაგან სანოტარო კანტორის დეპოზიტში მიიღებს ფულს და ფასიან ქაღალდებს კრედიტორისათვის გადასაცემად.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიღების შესახებ აცნობებს კრედიტორს და მისი თხოვნით გასცემს ამ თანხებსა და ქაღალდებს.

ფულს ან ფასიან ქაღალდებს სახელმწიფო სანოტარო კანტორა დეპოზიტში მიიღებს ვალდებულებების შესრულების ადგილის მიხედვით.

მუხლი 73. დეპოზიტში მიღებული ფულისა და ფასიანი ქაღალდების დაბრუნება

ფულისა და ფასიანი ქაღალდების იმ პირისათვის დაბრუნება, რომელმაც ისინი დეპოზიტში შეიტანა (დებიტორი), შეიძლება მხოლოდ იმ პირის წერილობითი თანხმობით, რომლის სასარგებლოდაც შეიტანეს ფული ან ფასიანი ქაღალ-

დი (კრედიტორი), ან სასამართლოს დადგინებით.

თ ა შ ი XI

სააღსრულებო წარწერების გაკეთება

მუხლი 74. ფულის გადახდევინება და მოვალისაგან ქონების გამოთხოვა

ფულის გადასახდევინებლად ან მოვალისაგან ქონების გამოსაბრუნებლად სახელმწიფო ნოტარიუსი დოკუმენტზე აკეთებს სააღსრულებო წარწერას, რომელიც ადასტურებს დავალიანებას.

იმ დოკუმენტების ნუსხას, რომელთა მიხედვით დავალიანებას უდავო წესით, სააღსრულებო წარწერის საფუძველზე, გადაახდევინებენ, გადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 75. სააღსრულებო წარწერის გაკეთების პირობები

სააღსრულებო წარწერა გაკეთდება:

1) თუ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით უდავოა დავალიანება ან მოვალის სხვა პასუხისმგებლობა გადახდევინებლის წინაშე;

2) თუ სარჩელზე უფლებების წარმოშობის დღიდან გასულია არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციითა შორის ურთიერთობათა გამო — არაუმეტეს ერთი წლისა.

თუ იმ მოთხოვნების მიმართ, რომელზედაც გაცემულ უნდა იქნეს სააღსრულებო წარწერა, კანონით ხანდაზმულობის სხვა ვადებია დაწესებული, სააღსრულებო წარწერა გაიცემა ამ ვადის ფარგლებში.

მუხლი 76. სააღსრულებო წარწერის შინაარსი სააღსრულებო წარწერაში უნდა აღინიშნოს:

1) სააღსრულებო წარწერის შემსრულებელი პირის თანამდებობა, გვარი და ინიციალები;

2) გადახდევინებლის სახელწოდება და მისამართი;

3) მოვალის სახელწოდება და მისამართი;

4) გადახდევინების ვადა;

5) გადასახდელი თანხა ან დასაბრუნებელი საგნები, აგრეთვე კუთვნილი საურავი და პროცენტი;

6) გადახდევინებლის მიერ გადახდილი ან მოვალის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხები;

7) სააღსრულებო წარწერის შესრულების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);



8) სანოტარო რეესტრში სააღსრულებო წარწერის გატარების ნომერი;

9) სააღსრულებო წარწერის შემსრულებელი თანამდებობის პირის ხელმოწერა და სახელმწიფო სანოტარო კანტორის ბეჭედი.

მუხლი 77. სააღსრულებო წარწერით გადახდენიების წესი

სააღსრულებო წარწერით გადახდენიება ხდება იმ წესით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით სსსამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

მუხლი 78. სააღსრულებო წარწერის წარდგენის ვადა

თუ გადახდენიებელი ან მოვალე მოქალაქეა, სააღსრულებო წარწერა, იძულებითი აღსრულებისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს სამი წლის განმავლობაში მისი შესრულების დღიდან, ხოლო ყველა დანარჩენ მოთხოვნებზე — ერთი წლის განმავლობაში, თუ კანონმდებლობით სხვა ვადები არ არის დადგენილი.

თ ა ვ ი X I I

თამასუქის პროტესტი, ჩეკის წარდგენა გასანაღდებლად და ჩეკის გაუნაღდებლობის დადასტურება

მუხლი 79. თამასუქის პროტესტი

სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ თამასუქის პროტესტს მისი გაუნაღდებლობის, გასანაღდებლად მისი მიუღებლობის ან დაუთარიღებელი აქტების გამო, ვასაცემი და უზრალო თამასუქის დებულების შესაბამისად.

მუხლი 80. ჩეკის მიღება გასანაღდებლად და ჩეკის გაუნაღდებლობის დადასტურება

სახელმწიფო სანოტარო კანტორა გადახდენლის ადგილსამყოფელის მიხედვით გასანაღდებლად იღებს ჩეკებს, რომლებიც წარდგენილია მათი გადაცემიდან ათი დღის შემდეგ, ხოლო უცხოეთის ჩეკებს — ექვსი თვის ვასკლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ამ ვადის მომდევნო დღის 12 საათისა.

ჩეკის გაუნაღდებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსი ჩეკის გაუნაღდებლობას ადასტურებს ჩეკზე წარწერით, დადგენილი ფორმის მიხედვით, და ამის შესახებ აღნიშნავს რეესტრში. ჩეკზე წარწერის გაკეთებასთან ერთად სახელმწიფო ნოტარიუსი ჩეკის გამცემს აცნობებს ბანკის მიერ ჩეკის გაუნაღდებლობისა და მასზე წარწერის გაკეთების შესახებ.

ჩეკის გამცემის თხოვნით სახელმწიფო ნოტარიუსი ჩეკის გაუნაღდებლობის შემთხვევაში შეასრულებს სააღსრულებო წარწერას.

თ ა ვ ი X I I I

საზღვაო პროტესტები

მუხლი 81. განცხადება საზღვაო პროტესტის შესახებ

სახელმწიფო ნოტარიუსი მიიღებს გემის კაპიტანის წერილობით განცხადებას იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც მოხდა ნაოსნობის ან ნავსადგურში დგომის დროს და რომელიც შესაძლოა ვახდეს გემის მფლობელისათვის ქონებრივი მოთხოვნის წარდგენის საფუძველი. განცხადება საზღვაო პროტესტის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს სსრ ნავსადგურში, სახელმწიფო სანოტარო კანტორაში სსრ კავშირის სავაჭრო ნაოსნობის კოდექსის 288-ე და 289-ე მუხლებით დადგენილ ვადაში.

საზღვაო პროტესტის შესახებ განცხადებაში გადმოცემული გარემოებების დასადასტურებლად სახელმწიფო ნოტარიუსს სსრ კავშირის სავაჭრო ნაოსნობის კოდექსის 290-ე მუხლის დადგენილ ვადაში ვასაცნობად უნდა წარუდგინონ გემის ეურნალი და გადასცენ გემის კაპიტანის მიერ დამოწმებული ამონაწერი გემის ეურნალიდან.

მუხლი 82. აქტი საზღვაო პროტესტის შესახებ

კაპიტანის განცხადების, გემის ეურნალის მონაცემების, აგრეთვე თვით კაპიტანის და, შეძლებისდაგვარად, გემის მეთაურთა შემადგენლობიდან არანაკლებ ორი მოწმისა და გემის კომანდიდან ორი მოწმის გამოკითხვის საფუძველზე ნოტარიუსი შეადგენს აქტს საზღვაო პროტესტის შესახებ ორ ცალად, რომელთაგან ერთი მიეცემა გემის კაპიტანს ან რწმუნებულს, ხოლო მეორე რჩება სანოტარო კანტორის საქმეებში.

თ ა ვ ი X I V

დოკუმენტების მიღება შესანახად

მუხლი 83. დოკუმენტების მიღება შესანახად

სახელმწიფო სანოტარო კანტორები და მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაზო, სოსოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები შესანახად იღებენ დოკუმენტებს აღწერის მიხედვით, რის შესახებ იმ პირს, რომელმაც დოკუმენტები შესანახად ჩააბარა, ვაძლევა მოწმობა და აღწერის ცალი.

შესანახად მიღებული დოკუმენტები დაუბრუნდება შესანახად მათ ჩამბარებელ პირს ან კანონიერ რწმუნებულს მოწმობის და აღწერის ცალის ან სსსამართლოს დადგენილების წარდგენისას.



მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

მუხლი 84. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დაინტერესებულ პირთა თხოვნით სახელმწიფო სანოტარო კანტორა ახდენს იმ მტკიცებულებათა უზრუნველყოფას, რომლებიც სპეციალურ სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის აღძვრის შემთხვევაში, თუ არსებობს იმის საფუძველი, რომ შემდგომი მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლებელი ან ძნელი გახდება.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით სახელმწიფო ნოტარიუსი დაპატიხავს მოწვევებს, დაათვალიერებს წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს, ნიშნავს ექსპერტჩას.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა არ უზრუნველყოფს მტკიცებულებებს იმ საქმეებზე, რომლებიც სახელმწიფო სანოტარო კანტორისადმი დაინტერესებული პირების მიმართვის მომენტში საბჭოთა სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების წარმოებაშია.

მუხლი 85. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესი

მტკიცებულებათა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოქმედების შესრულებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი წესებით.

მეორე მხარეს და დაინტერესებულ პირებს სახელმწიფო ნოტარიუსი აცნობებს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ადგილისა და დროის შესახებ, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს მოქმედების შესრულებას მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მეორე მხარისა და დაინტერესებული პირებისათვის შეუტყობინებლად შეიძლება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია იმის გამოკვლევა, თუ შემდგომში ვინ მიიღებს მონაწილეობას საქმეში.

გამოწვეული მოწმის ან ექსპერტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსი აცნობებს ამის შესახებ სახალხო სასამართლოს მოწმის ან ექსპერტის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე და 81-ე მუხლებით გათვალისწინებული ზომების მისაღებად.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობის გამოყენება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. უცხოეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის გამოყენება, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

მუხლი 86. სანოტარო მოქმედება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, უცხოეთის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ საბჭოთა მოქალაქეებთან თანაბარი უფლება მიმართონ საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს, აგრეთვე სანოტარო მოქმედების შემსრულებელ სხვა ორგანოებს.

უცხოეთის საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სსრ სანოტარო კანტორებსა და სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლია დაუწესოს საპასუხო შეზღუდვები იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სადაც დაშვებულია საბჭოთა მოქალაქეების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ნოტარიატის ორგანოებში მიმართვის უფლებების სპეციალური შეზღუდვები.

მუხლი 87. უცხოეთის სამართლის გამოყენება სახელმწიფო ნოტარიუსები სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობის, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, იყენებენ უცხოეთის სამართლის ნორმებს.

სახელმწიფო ნოტარიუსები იღებენ უცხოეთის სამართლის მოთხოვნების შესაბამისად შედგენენ დოკუმენტებს, აგრეთვე ასრულებენ დამატებულ წარწერებს უცხოეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძველებს.

მუხლი 88. სამკვიდრო ქონების დაცვისა და მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემისას საბჭოთა სამართლის გამოყენება. რწმუნებულბანი საზღვარგარეთ მოქმედების შესასრულებლად

უცხოელი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დარჩენილი ქონების ან საბჭოთა მოქალაქის გარდაც-



ვალდების შემდეგ უცხოელი მოქალაქის კუთვნილი ქონების დაცვასთან, აგრეთვე ასეთ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული მოქმედება ხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დადასტურებული რწმუნებულება, რომელიც განკუთვნილია საზღვარგარეთ მოქმედების შესასრულებლად და არ შეიცავს მითითებებს მისი მოქმედების ვადის შესახებ, ინარჩუნებს ძალას რწმუნებულების გამკეცი პირის მიერ მის გაუქმებამდე.

მუხლი 89. საზღვარგარეთ შედგენილი დოკუმენტების მიღება საქართველოს ხსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ

საზღვარგარეთ უცხოეთის ხელისუფალთა მონაწილეობით შედგენილ ან მათგან გამოსულ დოკუმენტებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები იღებენ იმ პირობით, თუ ისინი ლეგალიზებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასეთ დოკუმენტებს ლეგალიზაციის გარეშე იღებენ იმ შემთხვევაში, როცა ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ.

მუხლი 90. უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებათა შესრულება და საქართველოს ხსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიმართვა დავალებით უცხოეთის იუსტიციის ორგანოებისადმი

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ დადგენილი წესით უცხოეთის იუსტიციის ორგანოებისაგან მიღებულ დავალებებს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

1) დავალების შესრულება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სუვერენიტეტს ან ემუქრება სსრ კავშირის უშიშროებას;

2) დავალების შესრულება არ შედის საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების კომპეტენციაში.

უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებანი ცალკეული სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ სრულდება საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს შეუძლიათ უცხოეთის იუსტიციის ორგანოებს მიმართონ დავალებით ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ.

უცხოეთის იუსტიციის ორგანოებთან საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების ურთიერთობის წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ.

მუხლი 90. უცხოეთის სახელმწიფოთა ორგანოებში საქმის წარმოებისათვის საქარო მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს, რომლებიც საქარო საქმის წარმოებისათვის უცხოეთის სახელმწიფოთა ორგანოებში.

მუხლი 92. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, თუ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი სანოტარო მოქმედების წესები, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობა, კავშირის სანოტარო მოქმედების შესრულების დროს იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილ წესებს.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორების კომპეტენციას განაკუთვნებს ისეთი სანოტარო მოქმედების შესრულებას, რომელსაც არ ითვალისწინებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ამ სანოტარო მოქმედებას შესრულებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, გათვალისწინებულია ისეთი სანოტარო მოქმედება, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება შესასრულონ რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო სანოტარო კანტორებმა, ან, თუ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კომპეტენტურ სახელმწიფო სანოტარო კანტორას, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო ადგენს, თუ რომელმა სახელმწიფო სანოტარო კანტორამ უნდა შესასრულოს და რომელ მოკავშირე რესპუბლიკაში უნდა შესასრულდეს აღნიშნული სანოტარო მოქმედება.



„ქართული საბარტლის ძეგლები“ გამოცემის გამო

„ქართული საბარტლის ძეგლები“ გამოცემის გამო

თ. ანაჭიძე,

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ამ ათიოდე წლის წინათ საქართველოს ხსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ ითავა „ქართული საბარტლის ძეგლები“ სამტომეულის გამოცემა. მისი შემდგენელი აკად. ი. დოლიძე წინასიტყვაობაში წერდა: „ქართული საბარტლის ძეგლები“ სამ ტომად გამოდის. წინამდებარე I ტომი ვახტანგ VI-ის საბარტლის წიგნთა კრებულს შეიცავს. მეორეში XI-XVIII საუკუნეების საერო და სასულიერო სჯულმდებლობის ძეგლები შევა, ხოლო უკანასკნელ მესამე ტომში უმნიშვნელოვანესი იურიდიული აქტები“.¹

მას შემდეგ აკადემიის გამომცემლობამ ამავე ავტორის შედგენილი ოთხი მრავალთაბახიანი წიგნი გამოსცა. სამწუხაროდ, დღემდე არ გამოქმულა აზრი ამ გამოცემებში შესულ მასალებზე ჩატარებულ ტექსტოლოგიურ და არქეოგრაფიული ხასიათის სამუშაოთა შესახებ.

წინამდებარე წერილის მიზანია მკითხველებს გაეუზიაროთ ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება ამ წიგნების მეცნიერული ღირებულების შესახებ.

I ტომში აკად. ი. დოლიძემ დაბეჭდა: ვახტანგ VI-ის საბარტლის წიგნთა კრებული. დაურთო გამოკვლევა და ლექსიკონი.

უფრო ადრე და იმ პერიოდშიც ძველი ქართული საბარტლის ძეგლების გამოხატვმად დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ბევრი რამ გაკეთდა. კერძოდ, მონოგრაფიულად დამუშავდა ვახტანგ VI-ის საბარტლის წიგნთა კრებულში შესული ზოგიერთი ძეგლი.² ხავსებით კანონზომიერი იყო, რომ აკად. ი. დოლიძე მის მიერ შესრულებულ განმეორებით გამოცემებში

ქართული საბარტლის ძეგლების ტექსტოლოგიური და არქეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე მოგვეცემა სრულყოფილ, სანიმუშო მონოგრაფიულ ნაშრომს, რომელშიც გთვალისწინებული და გამოყენებული იქნებოდა აღრიხდელი გამოცემები და თანამედროვე მეცნიერების მიღწევები;

სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა. „ქართული საბარტლის ძეგლების“ I ტომის (და საერთოდ II-V ტომების) გაცნობა გვიჩვენებს, რომ აკად. ი. დოლიძე ამ დიდი ეროვნული საქმის — ძეგლების გამოცემას სათანადო მეცნიერული ხიფათხილით და კეთილსინდისიერებით არ მოეკიდა, აჩქარდა, ბოლომდე არ გამოიკვლია და დამუშავდა საკითხები, ამასთან სრულიად გაუმართლებლად უგულებელყო სხვა ავტორთა ნაშრომები და ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები.

I ტომში, როგორც აღვნიშნეთ, გამოკვეთებულია ვახტანგ VI-ის საბარტლის წიგნთა კრებული. მსგავსი გამოცემები, ჩვეულებრივად, ითვალისწინებს გამოხატვები ძეგლის როგორც ისტორიულ-არქეოგრაფიულ, ისე ტექსტოლოგიურ სამუშაოებს. სამწუხაროდ, ამ მხრივ ი. დოლიძის გამოცემას აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც ხაზგაშობლად ამცირებს მის მეცნიერულ ღირებულებას.

შეველით გამოცემის ისტორიოგრაფიულ და არქეოგრაფიულ მხარეს. წიგნში გამოკვლევის პირველი ქვეთავია „ტექსტისათვის“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ კრებულის ტექსტის გამოცემის საფუძველად აღებული აქვს ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის 3333 ხელნაწერი.³

¹ იხ. ქართული საბარტლის ძეგლები, ტ. I, გვ. 2.

² ძველი ქართული საბარტალი, ი. დოლიძის გამოცემა, 1954 წ.

ვახტანგ VI, საბარტლის წიგნი, ტექსტი გამოხატვმად მოამზადა, გამოკვლევა და სიძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, 1955 წ.

გიორგი ბრწყინვალის საბარტალი, ი. დოლიძის გამოცემა, 1957 წ.

ბერძნული საბარტალი ვახტანგ VI-ის საბარტლის წიგნის კრებულისად, თ. ბრეგაძის გამოცემა, 1964 წ.

³ ეს ხელნაწერი უდევს საფუძველად ვახტანგ VI-ის საბარტლის წიგნთა კრებულისად დღემდე გამოცემულ ყველა ტექსტს.

ამას გარდა იყენებს ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდში 575 ნომრით დაცულ ხელნაწერს, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

საჭიროდ მიგვიჩნია Q 575 ხელნაწერის შესახებ გამოთქმული აკად. ი. დოლიძის აზრი მოვიტანოთ შემუშავებულად:

„ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ტექსტი იბეჭდება უძველესი, თვით ვახტანგის მიერ ნარედაქციევით, ხელნაწერის (S 3683) მიხედვით. ამასთან ერთად გამოყენებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციებში ამ ცოტახნის წინათ გამოვლინებული და აღწერილი ჩინებული ხელნაწერი (Q 575), რომელიც კრებულში შესული ყველა საკანონმდებლო ძეგლის ტექსტს შეიცავს. ამ ნუსხის 27 v ქვემო კიდეზე, სადაც კრებულის საძიებლის ტექსტი მთავრდება, ტექსტისავე ხელით მიწერილია: „ძპს ტშმ“, ე. ი. საძიებელი გადაწერილია 1710 წელს. რაც შეეხება კრებულის სამართლის წიგნთა ტექსტს, იგი გადაწერილია სხვა ხელით, მაგრამ უღვაჯოა (ხაზი ჩვენია თ. ე.), რომ შესრულებული იმავ 1710 წელს, ან, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 1711 წლისა, ე. ი. ვახტანგის გამგებლობის უკანასკნელი წლისა, რაც დასტურდება ხელნაწერის ყველა ფურცლის r-ს ზედა აშიაზე გაკეთებული მინაწერით: „ქ რ თ ხ ე ლ მ ც არ ის განმგებლობა ვახტანგისა“.⁴

„წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული გვაქვს მეორე საუცხოო ხელნაწერი (Q 575), რომლის საფუძველზე აღდგენილ და შესწორებული იქნა A ნუსხის რამდენიმე დამახინჯებული ადგილი.⁵

„ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტის... გამოცემის საფუძვლად ჩვენც S 3683 ხელნაწერი გვაქვს აღებული, რომელიც აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო B ლიტერით აღნიშნული გვაქვს Q 575 ხელნაწერი, რომელიც კრებულის ერთერთ უძველესსა და უძვირფასეს ნუსხას წარმოადგენს. 1955 წლისათვის ეს ნუსხა ჭერ კიდეც არ იყო გამოვლინებული და შესწავლილი, ამიტომ მისი ვარიანტები თ. ენუქიძის გამოცემაში ვერ აისახა, მაგრამ ძეგლის გამომცემლის მიერ გამოყენებულია ამ ტიპის ნუსხის გვიანდელი პირი, რომელიც მას თავის გამოცემაში C ლიტერით აქვს აღნიშნული“.⁶

„ჩვენ მიერ გამოყენებული Q 575 ნუსხა, დედნის (S 3683) გარდა, კრებულის ყველა სხვა ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერზე უკეთეს ხელნაწერს წარმოადგენს, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი დასწორება შეაქვს A ნუსხის წაკითხვაში. შეიძლება ითქვას, რომ არცერთ სხვა ნუსხას ვახტანგის კანონთა ტექსტის დადგენისათვის ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც Q 575 ხელნაწერი.“⁷ „S 3683 ხელნაწერის დანაკლისი მუხლებისა (225—237 და 269—281) და ადგილების აღდგენა-გამართვის თვალსაზრისით Q 575 ნუსხა რძაბაძეშულად (ხაზი ჩვენია თ. ე.). ბევრად უკეთესია (საუბარია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის რედაქციაზე, თ. ე.). ვიდრე ქუთაისის ხელნაწერი, რომელშიც 237 მუხლი მთლიანად გამოტოვებულია, ხოლო 259 მუხლს მეორე ნაწილი აკლია; თანაც უცნობია, თუ რა წყაროებით სარგებლობდა გადაწერილი ხსენებული დანაკლისი მუხლების აღდგენისას. დედნის (S 3683) დანაკლისი მუხლების აღდგენისათვის გადაშყვევით მნიშვნელობა აქვს იმას, რომ Q 575 ნუსხა გადაწერილია 1710 წელს, ე. ი. ვახტანგის გამგებლობის დროს და თანაც ვახტანგის დედნიდან ამიტომ, ცხადია, უპირატესობა მას უნდა მიეცეს.“⁸

წიგნში ვახტანგ VI სამართლის წიგნის 268 მუხლთან გაკეთებული შენიშვნა: „აქ მთავრდება B ხელნაწერის ტექსტი“ (გვ. 550). მე-7, 74-ე-76-ე, მუხლებთან გაკეთებული შენიშვნები: „B-ში არ არის“⁹ დაბოლოს: „კრებულის S 3683 ხელნაწერი..., რომელიც Q 575 ნუსხის დედანია“.¹⁰

აი, ყველაფერი აკად. ი. დოლიძის გამოთქმებით იმ „უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი“, „ჩინებული ხელნაწერის“, „უძვირფასესი ნუსხის“, „საუცხოო ხელნაწერისა“ და „მეტად ძვირფასი ხელნაწერის“ შესახებ. სერიოზული სამეცნიერო ნაშრომისათვის უხერხული ხომ არ არის ასეთი გამოთქმები? მით უმეტეს, როდესაც ამ ეპითეტებს შესაფერისი და შესაბამისი გამოკვლევა თან არ ახლავს.

აკად. ი. დოლიძის შემომოტანილ შეხედულებათა მიმართ გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

1. არ არის სწორი Q 575 ხელნაწერის დოლიძისეული დათარიღება.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 563.

5 იქვე, გვ. 564.

6 იქვე, გვ. 564.

7 იქვე, გვ. 565.

8 იქვე, გვ. 565.

9 იქვე, გვ. 482, 500, 501.

10 იქვე, გვ. 571.



1 არ არის მართალი აკად. ი. დოლიძე, როცა ამბობს, სამართლის ტექსტის დადგენისათვის Q 575 ხელნაწერზე უკეთესი ნუსხა არ გვაგაჩინაო.

2 აკად. ი. დოლიძე ვერ გაერკვა ჩვენს შრომაში დადგენილ ვახტანგ VI სამართლის წიგნის (და საერთოდ კრებულის) რედაქციებში და ხელნაწერთა ტიპებში ი. ისინი ერთიმეორესში აურია.

3 ი. დოლიძეს არ შეუხწავლია და იგი არ მხნინებს Q 575 ხელნაწერისათვის დართულ ორი ტიპის საძიებელს, მაშინ როცა საძიებლების შესწავლას ცალკე თავს უთმობს.

4 ი. დოლიძე არხად არ ხსნის, თუ რატომ წყდება Q 575 ხელნაწერის ტექსტი ვახტანგ VI სამართლის წიგნის 263 მუხლზე, ან, რატომ არის A ნუსხის (S 3683) ტექსტში 7, 74, 76 მუხლები უფრო ვრცელი, ვიდრე Q 575-ში. ამ მუხლებთან მიწერილი შენიშვნები „B-ში არ არის“, არაა ხკმარისი მათ ასახსნელად, მით უმეტეს, ი. დოლიძე აღნიშნავს, S 3683 ხელნაწერი Q 575 ხელნაწერის დედანა არისო.¹¹

ხანამ ჩვენ შენიშვნების დასაბუთებას შევუდგებოდეთ, მოკლედ წარმოვადგინოთ ამავე საკითხებთან დაკავშირებული და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებანი. ეს გავკვიდვილებს, მკითხველი დავარწმუნოთ ჩვენი შენიშვნების სამართლიანობაში.

1955 წელს გამოვეცი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი (უძველესი ნუსხა), რომელშიც დადგენილი გვაქვს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის (და საერთოდ კრებულის) რედაქციები, რომლებსაც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის მხოლოდ S—3683 ხელნაწერი იძლევა თვალსაჩინოდ. დაწვრილებით გვაქვს მოცემული აგრეთვე ცალკეული რედაქციების დამახასიათებელი ნიშნები და რედაქციების შექმნის თარიღები შემდეგნაირად:

I რედაქცია, როცა კრებულში შესული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი შედგება 204 მუხლისა და ბოლოსიტყვაობისაგან (მასვე ერთვის წიგნის ხმარების წესი), ამ დროს ვახტანგ VI-ის დამატებანი 7, 74, 76 მუხლებზე არ არის.

II რედაქცია, როცა კრებულში შესული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი შედგება 263 მუხლისაგან. ამ დროსაც მე-7, 74-ე, 76-ე მუხლებს არა აქვთ დამატებანი და

III რედაქცია, როცა ვახტანგის სამართლის წიგნი შედგება 270 მუხლისაგან. ამ დროს შემოდასახელებულ მუხლებს და საძიებელს აქვს დამატებანი ვახტანგ VI-ის ხელით.¹²

ვაცხადებთ, რომ რედაქციების დასადგენად გარდა S 3683 ხელნაწერისა, სხვა ნუსხა არ დავვისახელებია.

ჩვენს შრომაში დასაბუთებულია რედაქციების შექმნის თარიღები. I რედაქცია, რომელშიც შევიდა 6 ძველი და შევიადე—ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი 204 მუხლით, ბოლოსიტყვაობით და სამართლის წიგნის ხმარების წესით, დაერთო სამეფო მდივნის გვი თუმანიშვილის მიერ შედგენილი კრებულის საერთო შესავალი. ეს სდება 1705—1708 წლის 1 ნახევარში.¹³

II და III რედაქციების შექმნა ჩვენ ვახტანგ VI-ის სპარსეთიდან დაბრუნების (1719 წ.) შემდგომ პერიოდს დაუკავშირეთ.¹⁴ ხოლო რაც შეეხება ტიპებს, ამას რედაქციებზე დასაბუთებას აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო. ჩვენს ხელთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის დაახლოებით 100-მდე ნუსხაში გააირა. ეს ხელნაწერები მომდინარეობენ (ე. ი. დედნად ჰქონდათ) S—3683 ხელნაწერიდან, რომელსაც ჩვენ A ტიპი შევარქვით, A ნუსხის ფიზიკურმა დაზიანებამ (ფურცლების დაკარგვა) თავის მხრივ წარმოშვა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის 201 ხელნაწერის მსგავსი, რომელსაც ჩვენ B ტიპი შევარქვით, და საისტორიო საზოგადოების H 1659 ხელნაწერის დედნიდან მომდინარე ნუსხები, რომელთაც ჩვენ C ტიპი შევარქვით. თითოეულ ამ ტიპის ხელნაწერს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები.¹⁵

აქვე წარმოვადგენთ მასალებს Q 575 ხელნაწერის შესწავლასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც აკად. ი. დოლიძე თითქოს და ვრცლად, მაგრამ არა არსებითად მსჯელობს.

აკად. ი. დოლიძემ მდგომარეობა იხე წარმოადგინა, თითქოს მისი წიგნის გამოსვლამდე Q 575 ხელნაწერის შესახებ არხად არავის არაფერი ეთქვა. ხინამდვილესი ასე არ არის.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ხელნაწერის შესახებ პირველ ცნობას ქართულ ხელნაწერთა

¹¹ იქვე, გვ. 571.
¹² ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, გვ. 29.
¹³ იქვე, გვ. 17, 18, 20, 21.
¹⁴ იქვე, გვ. 29.
¹⁵ იქვე, გვ. 18—28 და 32—37.



აღწერილობაში ვხვდებით,¹⁶ ხოლო აკად. ი. დოლიძის შრომის გამოცემაზე 5 წლით ადრე ეს ხელნაწერი ჩვენ შევისწავლეთ ერთ-ერთ შრომაში¹⁷ და იქვე შევეცადეთ მოგვეცა მისი მეცნიერული შეფასება. ჩვენ ვწერდით: „ვერალაზე უძველესი ნუსხა, რომელიც იმერეთის სამეფო კარზე ინახებოდა, Q 575 ხელნაწერია. იგი წარმოადგენს ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულს, რომელიც წყდება 268 მუხლზე... სამართლის წიგნთა კრებულს წინ უძღვის ტექსტის ძირითადი ხელისაგან განსხვავებული ხელით ნაწერი საძიებლები, როგორც გრაფებში, ისე გრაფების გარეშე, იგი ნაკლებია. საძიებლის ტექსტის ბოლოს მიწერილია „ქს ტშშ“. ძირითადი ტექსტი და საძიებლები სხვადასხვა ქალაქებზეა ნაწერი. ქალაქი, რომელზედაც დაწერილია საძიებლები ჰვირნიშნის მიხედვით XVII—XVIII სს., ხოლო იმ ქალაქს, რომელზედაც დაწერილია ძირითადი ტექსტი, ჰვირნიშანი არ გააჩნია. ვახტანგ VI სამართლის ტექსტის გამოცემის დროს ეს ხელნაწერი ჩვენ ხელთ არ გვქონია. ამჯერად გულდასმით შევისწავლეთ კრებულში შესული ვახტანგის სამართლის ტექსტი და დავრწმუნდით, რომ იგი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის გამოცემაში¹⁸ ჩვენს მიერ C ლიტერით აღნიშნული ნუსხის დედანია. ხეინებულ გამოცემაში C ნუსხად ჩვენ აღებული გვაქვს H—1659 ხელნაწერი (XIX ს. I მეოთხედის), მაგრამ ნავარაუდევია გვაქვს, რომ მისი დედანი 1719 წელზე ადრე არ უნდა ყოფილიყო გაკეთებული (რადგან ხელნაწერი II რუდაქციისა). Q 575 ხელნაწერის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იგი არის დედანი ზემოხსენებულ გამოცემაში C ლიტერით აღნიშნული ხელნაწერისა... ეტყობა, სამართლის წიგნს ეს ნუსხა ადრე მოხვედრილა იმერეთის სამეფო კარზე და იგი დასდებოდა საფუძვლად იმერეთში გავრცელებულ სამართლის წიგნთა მრავალ ათეულ ნუსხას“.¹⁹

ამ ხანროვ ვითარების გაცნობის შემდეგ ვუბრუნდებით იმ კონკრეტულ შენიშვნებს, რომლებზეც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ.

1. არ არის სწორი Q 575 ხელნაწერის აკად. ი. დოლიძისეული დათარიღება. ამ ხელნაწერში საძიებელი განსხვავებული ხელით და განსხვავებულ ქალაქებზეა დაწერილი. იმისათვის, რომ Q 575 ხელნაწერის ტექსტი დათარიღდეს 1710 ან 1711 წლით, საჭიროა არ არის ფურცლების ზემო კიდეზე მიწერილი: „კურთხულმც არის განმგებლობა ვახტანგისა“. მაშინ რა ვუყოთ S—2688 ხელნაწერის ფურცლების ზემო კიდეზე მიწერილი: „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“, რომ 204 მუხლის შემდეგ წყდება არის თუ არა ესეც (სხვა საბუთებთან ერთად) იმის დადასტურება, რომ 204 მუხლის შემდგომი მუხლები ვახტანგის ბატონიშვილობის შემდეგ არის შეტანილი?

აკად. ი. დოლიძის დასაბუთება სუსტია. იმისათვის, რომ Q 575 ხელნაწერი დათარიღდეს 1710—1711 წლით აკად. ი. დოლიძემ პირველ რიგში უნდა დაარღვიოს ჩვენს მიერ დადგენილი რედაქციები და მათი დათარიღებანი. რედაქციების გაუთვალისწინებლად (ამჯერად მოპოვებული მასალებით) ვერ გაცივმა დასაბუთებული პასუხი ჩვენს მიერ ზემომოყვანილ მეხუთე შენიშვნაზე. — თუ რატომ წყდება Q—575-ში ტექსტი 268 მუხლზე, რატომ არის უფრო ვრცელი მე-7, 74-ე და 76-ე მუხლები.

არ არის მართალი აკად. ი. დოლიძე, როცა ამბობს, რომ სამართლის ტექსტის დადგენისათვის Q 575 ხელნაწერზე უკეთესი ნუსხა არ გაგვაჩნია. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ Q 575 ხელნაწერი არის დედანი H 1659 ხელნაწერისა.²⁰ აბსოლუტურად დიდებული ცალი, წაკითხვის თვალსაზრისით ისინი არ განსხვავდებიან. ამით რასაკვირველია არ მცირდება Q 575 ხელნაწერის ღირებულება, როგორც დედნისა. ტექსტის დადგენისათვის Q 575 და H 1659 ხელნაწერებს თანაბარი მნიშვნელობა აქვთ. მათი შეჯერება (Q 575-ისა და H 1659-ისა) აკად. ი. დოლიძეს უნდა გაკეთებინა და შედეგი უფრო ნათლად მოეცა, ვიდრე მას აღნიშნული აქვს წიგნის 564 გვ. „[Q 575-ის] ვარიანტები თ.

¹⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, შედგენილია და დასაბუთებულია დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ვნუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძის და ქრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით, 1958, გვ. 51.

¹⁷ თ. ვნუქიძე, მასალები ვახტანგ VI, სამართლის წიგნის გავრცელების შესახებ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 207—208.

¹⁸ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი... 1955 წ., გვ. 29.

¹⁹ თ. ვნუქიძე, მასალები... გვ. 208.

²⁰ ეს ჩვენ ვერ კიდევ 1955 წ. ვეგარაუდეთ. ჩვენი შრომის 29 გვ.



ენუქიძის გამოცემაში ვერ აიხსნა, მაგრამ ძეგლის გამომცემლის მიერ გამოყენებულია ამ ტიპის ნუსხის გვიანდელი პირი, რომელიც მას თავის გამოცემაში C ლიტერითა აქვს აღნიშნული“.

თუ Q 575 ნუსხა ჩვენს მიერ გამოყენებული C ნუსხის წვდანია, რატომ ვერ აიხსნებოდა Q 575-ს წაკითხვები ჩვენს გამოცემაში? საქმეც ისაა, რომ აიხსნა, დღეობის დროს თქმა კი ჩვენი შრომის გაუფასურებას იხსნავს მიზნად.

ჩვენი მესამე შენიშვნაა, რომ აკად. ი. დოლიძე ვერ გავრკვია ჩვენს შრომაში დადგენილ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის (და საერთოდ კრებული) რედაქციებსა და ხელნაწერთა ტიპებში. ისინი ერთმეორეში აურია. ჩვენ ზემოდ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ რედაქციებს მხოლოდ S 8688 ხელნაწერი იძლევა ნათლად, რომ ხელნაწერთა ტიპები A (8688—S), B (ქუთაისის მუზეუმის 201 ხელნაწერი) და C (H 1659) არიან ნიმუშები, რომელთაგან მომდინარეობს ის მრავალათეული ნუსხები, რომელთა დაგუფება წარმოავლობის მიხედვით და ცხრილი ჩვენ წარმოვადგინეთ ჩვენი შრომის 32—37 გვ.

ზემომოყვანილი რომ ასე გავგო აკად. ი. დოლიძეს, წიგნის 565 გვ. არ დაიწყებდა იმის მტკიცებას, რომ „S—8688 ხელნაწერის დანაკლისის მუხლებისა (225—237 და 259—261) და ადგილების აღდგენა-გამართვის თვალსაზრისით Q—575 ნუსხა რედაქციულად (რე შუაშია რედაქციულად? თ. ე.) ბევრად უკეთესია, ვიდრე ქუთაისის ხელნაწერი“. განა ამას ვინმე სადაოდ ხდის? ქუთაისის მუზეუმის 201 ნომერი ხელნაწერის წაკითხვას ჩვენს ფონდებში არსებული ათეული ნუსხა გვაძლევს. საჭირო იყო თუ არა იმის გარკვევა და ახსნა, თუ საიდან გვაქვს ეს განსხვავებული წაკითხვა?

ქუთაისის მუზეუმის 201 ნომერი ხელნაწერის გადამწერის ანდერძში ვკითხულობთ: „...დაეხრულა წიგნი... მიზეზითა რადათამე, რამეთუ დედა ამის წიგნისა თვით მეფეთ-მეფის ვახტანგის მიერ ნაღვაწი იყო...“²¹ ჩვენ ანდერძის გადამწერის ეს ცნობა შევამოწმეთ და ვწერით: A ნუსხის (S—8688) ამჟამად დატული ტექსტის შედარებამ B ნუსხასთან (ქუთაისის მუზე. 201 ხელნაწერი) დაგვანახა, რომ გარდა მცირეოდენი ორთოგრაფიული სხვაობისა, განსხვავება მათ შორის არ არის... B ნუსხის მიხედვით ჩვენ

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო ფიციური დატულობა A ნუსხისა 1746 წლისათვის (B ნუსხის გადაწერისას). როგორც ჩანს, ფურცლები, რომლებზედაც მოთავსებული იყო 225—237 და 259—261 მუხლები, დაკარგული უყოფილა მაშინაც და არ უყოფილა თავის ადგილზე ბოლო 836-ე ფურცელი, რომელზედაც 268—270 მუხლები იყო მოთავსებული“²² S—8688 ნუსხაში ფურცლების დაკარგვის გამო დაკლებული 225—237, 259—261 და შეუვსებელი 149, 178 და 195 მუხლების შევსება ჩვენ ვარაუდით თეიმურაზ II მიგაწერეთ,²³ მაგრამ მისი ტექსტები პარალელად დავუყენეთ C ნუსხის წაკითხვას და მათი სათანადო შეფასება არ დაგვიწყებია. ჩვენ ვწერით: „B ნუსხისაგან განსხვავებით C ნუსხამ გამართა 259-ე მუხლის შინაარსი. ამდენად, ხარჭუნოდ შევხედეთ 225-237-ე მუხლების შინაარსსაც და C ნუსხიდან (H—1659) ჩვენს გამოცემაში შეტანილი ეს მუხლები მიგვანჩნა A ნუსხის დაკარგული მუხლების ზუსტ აღდგენად“²⁴.

ჩვენი მეოთხე შენიშვნა ეხება საძიებელს. წიგნში საძიებლის შესწავლის საკითხს ცალკე თავი აქვს დათმობილი და განხილულია S—8688 ხელნაწერისათვის დართული მხოლოდ სოლომონ მაღალაძის მიერ შედგენილი საძიებელი. ამ საკითხზე ი. დოლიძის გამოთქმული აზრები ჩვენს შრომაში გამოთქმული აზრების პერიფრაზებს წარმოადგენენ. ავტორს გამოერჩა აღნიშნა, რომ ჩვენს შრომაში ამ საკითხს ცალკე თავი აქვს დათმობილი²⁵ (უფრო ვრცლად კი 1952 წელს გადაცემულ საქანდილატო დისერტაციაში, რომლის ერთი ცალი ამჟამადაც აკად. ი. დოლიძესთან ინახება) და გამოერჩა ისიც, რომ ორიოდ ხიტუვით აღნიშნა მაინც, რომ Q 575 ხელნაწერს ორივე ტიპის საძიებელი გააჩნია. რასაკვირველია, ვთვლით, რომ ეს საძიებლები მას უნდა შეეხწავლა ერთმანეთთან მიმართებაში. ხაერთოდ, ასეთ გამოცემაში საკითხი უნდა სრულყოფილად იყოს განხილული, ის მაინც, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დასმულია და ზოგჯერ შესწავლილიც.²⁶

გამოვლევთაც ცალკე თავი აქვს დათმობილი საკითხს აკრებულის სახელწოდებისათვის“.

აკად. ი. დოლიძე აღნიშნავს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული მოხსენებულია სახელწოდე-

21 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი (უძველესი ნუსხა), 1955, გვ. 22.

22 იქვე, 25—26 გვ.

23 იქვე, გვ. 27.

24 იქვე, გვ. 28.

25 იქვე, გვ. 6—8.

26 იხ. იქვე, გვ. 33—34.



ბით: „ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული“ და „ვახტანგ VI-ის კოდექსი“. მისივე თქმით ამ ძეგლს კანონთა კრებულთა ტექსტის რუსული გამოცემის (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, изд. Правительствующего Сената, 1828) გავლენით ეწოდა, ხოლო „კოდექსი“ აკად. ივ. ჯავახიშვილმა შეარქვა. ეს სახელწოდებები აკად. ი. დოლიძეს არ მიაჩნია მართებულად და აცხადებს: „ამ კრებულს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული უნდა ეწოდოს და ამის დასახელებულად მოჰყავს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ტექსტში ნახშირი ტერმინები: „სამართლის წიგნი“, „წიგნი სამართლისანი“, „სამართლები შეგკრბით“ და სხვ.

ამ საკითხის ცალკე თავად გამოყოფა შეუძლებელია. ავტორი მოჩვენებით ძიებას ეწევა. სახელწოდება: „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული“ უკვე 1955 წელს იყო ნახშირი.²⁷ ხოლო აკად. ი. დოლიძის ამ შრომის გამოსვლამდე კრებულის ეს სახელწოდება სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა²⁸ და არავის აზრად არ მოსვლიდა საამისოდ სპეციალური კვლევა ჩატარებინა.

წიგნში ცალკე თავად არის შეტანილი საკითხი — „კრებულის შესავლისათვის“, სადაც აკად. ი. დოლიძე წერს: „ვახტანგის კანონთა კრებულის როგორც პირველ, ისე მეორე რუსულ გამოცემაში სამართლის წიგნთა კრებულის საერთო შესავალი წინასიტყვაობის სახით წამოღვარებული აქვს ხაკუთრივ მოხეს სამართალს, რომლის მუხლები შესავლის ტექსტს უშუალოდ მოსდევს (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, გვ. 145—146). ამრიგად კრებულის შვიდივე საკანონმდებლო ძეგლის საერთო შესავალი მიკუთვნებული აქვს კრებულის მხოლოდ ერთ ძეგლს — მოხეს სამართალს. ამ ნადავზე წარმოშობილმა გაუგებრობამ თავი იჩინა სპეციალურ ლიტერატურაშიც, სადაც კრებულის საერთო შესავალს დღემდე იმოწმებენ, როგორც მოხეს სამართლის წი-

ნასიტყვაობას“ და იქვე აღნიშნავს, რომ „ხინამდვილეში საერთო შესავალი, რომელშიც ლაპარაკია კრებულში შეტანილი ყველა უცხო და ეროვნული სამართლის ძეგლების თარგმნისა და შედგენის შესახებ, ეკუთვნის მთელ კრებულს და არა მის ერთ ნაწილს — მოხეს სამართალს“.²⁹ აკად. ი. დოლიძე აქ ისეთ საკითხებს ხდის საკვლევად, რომლებიც ადრე, მისი ნაშრომის გამოსვლამდე, გარკვეული და მიღებული იყო: განა ჩვენ „სამართლის წიგნთა კრებულის შესავალი“ (და არა „მოხეს სამართლის წინასიტყვაობა“) არა გვაქვს ნახსენები?³⁰ ამ საკითხი ვახტანგ VI-ის სამართლის „წიგნთა კრებულის შესავალი“ ჩვენც ცალკე თავად არა გვაქვს შესწავლილი და თან უფრო არსებითად, სადაც დადგენილი გვაქვს შესავლის ტექსტის ავტორის ვინაობაც, ცხადია, როცა იგი წინამორბედ მკვლევარებს არ იხსენიებს, ამით არასპეციალისტ მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს თვითონ არის ამ საკითხების ერთადერთი და პირველი მკვლევარი.

ცალკე თავი აქვს წიგნში დათმობილი საკითხს: „მოხეს სამართლის ქართული ვერსია“.³¹

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული (7 წიგნი) მოხეს სამართლით იწყება. სამართლის წიგნის სათაურივე დაცულია ცნობა იმ წყაროების შესახებ, საიდანაც შემდგენელმა გამოიღო მუხლებად მოხეს სამართალი. წიგნის სათაურში ვკითხულობთ: „კარი ბირველი დასაწყისი წიგნისა სამართლისა... რომელი დაწერა მან, მოხე, წიგნსა მეორე ხეულისასა და გამოსვლათას...“ გარდა ამ სათაურისა კრებულის საერთო შესავალშიც არის ცნობა მოხეს სამართლის წიგნის წყაროს შესახებ.

ამდენად, მოხეს სამართლის წიგნის წყაროს, დასახელებას თვითონვე სამართლის წიგნთა კრებულის ტექსტი იძლევა, ესენია: მოხეს „მეორე შუღლთა“ და მისივე „გამოსვლათა“.

²⁷ იხ. ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია „ვახტანგ VI სამართლის წიგნის უძველესი ნუსხა“.

²⁸ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ... 1955 წ. გამოცემა. გვერდები: 4, 6, 8, 10, 11, 12, 15, 17, 22, 29, 33, 37, 38; თ. ბრეგაძე, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ბერძნული სამართლის წყაროსათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—A და XXI—B, 1957, გვ. 81, 82, 90 — სხვათა შორის, ეს წერილი აკად. ი. დოლიძეს ისევე, როგორც ჩვენი შრომა, გამოყენებული აქვს კიდევ თავის შრომაში, იხ. გვ. 592; თ. ენუქიძე, მასალები ვახტანგ VI სამართლის წიგნის გავრცელების შესახებ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 199—215;

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q) კოლექცია, ტ. II, 1957, გვ. 16, 509; ბერძნული სამართალი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულიდან, თ. ბრეგაძის გამოცემა, 1964 წ.

²⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 570.

³⁰ იხ. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, 1955 წ. გვ. 11, 13, 15.

³¹ ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 572—573.



ცნობილია, რომ მოსეს წიგნები (5 წიგნი) შეხუთა ბიბლიაში. ამიტომ ამ საკითხზე მომუშავე მეცლევარი, ბუნებრივია, ბიბლიის ხელნაწერ ტექსტებს მიმართავდა. აკად. ა. დოლიძეც ასე მოიქცა. ვახტანგ VI ახლო პერიოდის მოღვაწის სულხან საბა ორბელიანის ნუსხური ბიბლიის (A-51) შესწავლას შეუდგა, თუმცა მას საკოდიფიკაციო კომისიის არავითარი მინაწერები არ გააჩნია.

უკეთესი იქნებოდა ი. დოლიძეს გადაეთვალისწინებინა ქართულ ხელნაწერთა აღმწერლების შენიშვნები, თუნდაც ამგვარი: „მრავალ ადგილას, განსაკუთრებით „რიცხვთა“ და „სჯულთა“ წიგნების ტექსტის არშეებზე, მხედრული ხელით ხ. ს. ორბელიანის შენიშვნები [XVII—XVIII სს. ხელით] მოწმობს, რომ შენიშვნების ავტორი სამართლის საკითხებით ყოფილა დაინტერესებული (მაგ. „სამართალი ნახუიდის კაცისა“, „გამოსვლათა“ თავი 1-33).“³²

ვახტანგ VI-ის ბიბლიაზე მუშაობას მიუთითებს H 885 ხელნაწერის აღმწერელიც.³³ აღმწერელთა ეს შენიშვნები პირდაპირ იძლევიან იმის გეგმას, სად ეძებო მოსეს სამართლის წიგნის წყაროსათვის ვახტანგის საკოდიფიკაციო მუშაობის მთელი ლაბორატორია. და მართლაც, A ფონდში დაცული ბიბლიის ერთერთ ხელნაწერს მოსეს სამართლის წიგნის მუხლებრივი დასათურებაც კი გააჩნია ვახტანგის ხელით შეტანილი.

აკად. ა. დოლიძე აღნიშნავს, რომ „მოსეს სამართლის ქართული ვერსია წარმოადგენს გამოწერებს მეორე სჯულიდან (როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს თვითონ სათაურიდანაც არის ცნობილი, თ. ე.) და „გამოსვლათა“ წიგნიდან მოსეს სამართლის ქართულ ვერსიაში არც ერთი მუხლი არაა შეტანილი.“³⁴ ეს დასკვნა სწორი არ არის. მოსეს სამართალში „გამოსვლათა“ და „მეორე სჯულის“ საერთო მუხლებიც არის გამოყენებული.

ჩვენი აზრით, საკითხთან უშუალო კავშირი არა აქვს და წიგნის მოცულობის გაზრდის მიზნით არის შესული მასში „ხამურაბის კანონების და დაბადების“ პარალელური ადგილები.

ზემომოტანილი მასალის გათვალისწინების შემდეგ მკითხველისათვის ვფიქრობთ ნათელია,

რცენიის დახაწვისში გამოთქმული ზოგადი შეფასება აკად. ი. დოლიძის შრომისა. ესაა, ვიმეორებთ: საკითხის ბოლომდე დაუმუშავებლობა და სხვა მეცნიერების შრომების იგნორირება.

* * *

ჩვენ დახაწვისში მოვიტანეთ ციტატა ქართული სამართლის ძეგლების I ტომის წინასიტყვაობიდან: აკად. ი. დოლიძე წერდა: „ქართული სამართლის ძეგლები სამ ტომად გამოდის. წინამდებარე, პირველი ტომი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს შეიცავს, მეორეში XI—XVIII საუკუნეების საერო და სასულიერო სჯულმდებლობის ძეგლები შევა, ხოლო უკანასკნელ მესამე ტომში — უმნიშვნელოვანესი იურიდიული აქტები“³⁵. II ტომის წინასიტყვაობაში ეს აზრი მან შეცვალა და წერს: „...როცა ტექსტები გამოხატვამდ მომზადდა, აღმოჩნდა, რომ შერჩეული მასალა ერთ ტომში ვერ მოთავსდებოდა. ამიტომ საჭირო გახდა მისი ორ ტომად გაყოფა“. II ტომში საერო საქანონმდებლო წესდებები (X—XIX სს.) დაიბეჭდა, III-ში კი ამვე საუკუნეების საეკლესიო საქანონმდებლო ძეგლები. ამას შემდეგ მოჰყვა IV ტომი, რომლის წინასიტყვაობა აკად. ი. დოლიძემ ასე დაიწყო: „ჩვენი დიდი მასწავლებლის (აკად. ი. ჭავჭავაძის) ლაბარაკი. თ. ე.) ნაანდერძების(?) მიხედვით ქართული სამართლის ძეგლების წინამდებარე მეოთხე ტომში იბეჭდება XVI—XVIII სს. ჩვენამდე მოღწეული სასამართლო განჩინებები... მომდევნო მეხუთე ტომში XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ხასამართლო აქტები“³⁶.

ასე რომ, 1966—1974 წწ. ქართული სამართლის ძეგლების 4 სქელტანიანი ტომი გამოვიდა, ე. ი. სულ 5 ტომი სამის ნაცვლად, თანაც გამოცემა ჭერ კიდევ არ დასრულებულა.

ზემომოტანილი ციტირებული ადგილები გვიჩვენებს, რომ აკად. ი. დოლიძე უგეგმოდა გარკვეული მიზანდასახულობის გარეშე მუშაობს. ეს აიძულებს ყოველი ახალი ტომის გამოცემისას თავი რაიმეით იზარტოს.

ტომებში შესული მასალიდან ზოგი მრავალჯერ არის გამოცემული (ბევრი უახლოეს პერიოდში) ზოგი, ქართული სამართლის ძეგლებისათ.


³² ხელნაწერთა აღწერილობა... (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტიანე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, 1948, გვ. 158.

³³ ხელნაწერთა აღწერილობა... (H კოლექცია), ტ. II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლილი ქუთათელაძის მიერ, ილია აბულაძის რედაქციით, 1951, გვ. 257.

³⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 572.

³⁵ იქვე, ტ. I, გვ. 2.

³⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 5.



გვ. შეტად ხაინტერგო, მაგრამ რთული (მაგ. XIII ს. სარჩელი სხსლისა, ხელ. ინსტ. Hd 1582) გამოცემის გარეშე დატოვებული.

აკად. ი. დოლიძე არ შეეცადა ერთგვაროვანი ძეგლებიდან ტაობრივი შეერჩია და ამით შემოფარგლულიყო.

II ტომში შესული 164 ერთეულიდან 134 ადრე გამოცემული. აკად. ი. დოლიძე წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „მხოლოდ ორიოდე კარგად გამართული და გამოქვეყნებული ტექსტი იბეჭდება ჩვენს გამოცემაში უცვლელი სახით“³⁷ მკითხველი იფიქრებს დანარჩენ ძეგლებში სახლდა შეტანილი. სინამდვილეში ი. დოლიძისავე შედგენილ არქეოგრაფიულ აღწერილობაში 164 საბუთიდან 60 საბუთს მიწერილი აქვს:

„ტექსტი იბეჭდება თ. შორდანიას გამოცემის მიხედვით“ (№ 6, 41, 88).

„ტექსტი იბეჭდება“ ე. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით“ (№ 63, 64, 83, 90, 116, 128);

„ტექსტი იბეჭდება ნ. ბერძენიშვილის გამოცემის მიხედვით“ (№ 62, 67, 70, 72, 76, 85, 99, 106).

„ტექსტი იბეჭდება ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით“ (№ 42, 79, 81, 97);

„ტექსტი იბეჭდება შ. მესხიას გამოცემის მიხედვით“ (№ 87, 161, 180, 183, 146);

„ტექსტი იბეჭდება კ. კეკელიძის გამოცემის მიხედვით“ (№ 22);

თ. შორდანიას დაბეჭდილი აქვს:

„...და თუ რაა ცვლი
მომატებულ იქნებოდეს...“

შეცდომა კარნახიდან მომდინარეობს. ეტყობა ის ბირი, ვინც აკად. ი. დოლიძეს კარნახობდა ამ ტექსტს, დარწმუნებული იყო, რომ ი. დოლიძე სიტყვა „რაა“-ს ბოლოს ასო „აა“ (იოტს) არ

საბუთშია:

„ეს იმისი შვილი ბეცია პატარა იყო“.

„ბოჭორიძე ბერს როსტომ თუხარლისა ერთი ფურკანბეგი, ერთი ცხენი, უღელი ხარი და ერთი ფური მისცემია“.

„შეკაშული“
„ორთვალი წიხვილი“
„მღვერობა გვიბძანებია“

„მღვერობა ამთაქვესთ“
„სირცხვილეულნი გააბრუნოთ“

[წყალობ] „ედიონს მილით“

„ტექსტი იბეჭდება ვ. ფუთურაძის გამოცემის მიხედვით“ (№ 66, 73, 74, 91);

„ტექსტი იბეჭდება ი. ფუტყარაძის, ი. ცინცაძის, პლ. იოსელიანის, ა. ცაგარელის, ა. კლიმაშვილის და სხვ. გამოცემების მიხედვით“ (№ 181, 182, 189, 160, 164, 128, 151, 93, 100, 122, 143, 153, 150 და სხვ);

აკად. ი. დოლიძე არქეოგრაფიულ აღწერილობაში თვითონვე აღნიშნავს, რომ იბეჭდება სხვათა გამოცემების მიხედვით. ჩვენი მხრივ კი დავუმატებთ — იბეჭდება შეუცვლელად, ე. ი. ამ ტექსტებზე ის არ მუშაობს. არ მუშაობს იმდენად, რომ არც კი ასახელებს იმ საბუთების სიძველეთსაცავე და ცულობის ნომრებს, რომლებიც თავის მხრივ წინა გამოცემებებს დასახელებული აქვთ, ხოლო თუ არა აქვს დასახელებული (თ. შორდანიას, ს. კაკაბაძე და სხვ.), არც ცდილობს დაუძებნოს ნომერი, ე. ი. არ ასრულებს არქეოგრაფიული ხასიათის სამუშაოს.

ამავე ტომში 26 ნომრის ქვეშ ბეჭდავს დავით წარინის გელათისადმი შეწირულების სიგელს. ამ საბუთის არც დედანი და არც ბირი ჩვენს სიძველეთსაცავეებში არ შემოგვრჩენია. იგა მხოლოდ თ. შორდანიას გამოცემით (ქრონიკ. II, გვ. 159—160) არის ცნობილი. აკად. ი. დოლიძეც გამოცემის დროს შორდანიას გამოცემით სარგებლობს.

აკად. ი. დოლიძე ბეჭდავს:

„და თუ რაა იოტში ცვლი
მომატებულ იქნებოდეს...“

დასვამდა, ამიტომ სიტყვაც მიაყვალა. ამის შედეგია ეს კურთხეული შეცდომა.

ცუდად ამოკითხვის მნიშვნელოვანი ნიმუშები ბევრია. მაგალითად:

აკად. ი. დოლიძის წაკითხვა:

„ეს იმისი შვილი ბეცია პატარა იყო“
(ტ. IV, გვ. 628).

„ბოჭორიძე ბერს როსტომ თუხარლისა ერთი ფურკანბეგი, ერთი ცხენი, უღელი ხარი და ერთი ფური მისცემია“ (იქვე, გვ. 634).

„შეკაშული“ (იქვე, გვ. 635).

„ორთვალი წიხვილი“ (იქვე, გვ. 636).

„მღვერობა გვიბძანებია“
(ტ. II, გვ. 427)...

„მღვერობა ამთაქვესთ“ (იქვე, გვ. 427)

„სირცხვილეულნი დააბრუნოთ“
(იქვე, გვ. 428).

„ედიონს მილით“ (IV, გვ. 648)

³⁷ ქართ. სამართ. ძეგლ. II, გვ. X.



აკად. ი. დოლიძისეული საბუთების გამოცემის ერთ-ერთ ნიმუშად მოვიყვანო საქართველოს ცენტრალური საარქივო სამმართველოს დედნების ფონდში 5020 ნომრით დაცულ სა-

ბუთს — მცნება სახელოვან.

საბუთის დედნის აკად. ი. დოლიძის გამოცემასთან შედარება მცდარი წაკითხვის შემდგენაირ სურათს იძლევა:

საბუთშია:

უქორწინებელისა
იჭლუსარიმისა
საქართულლოს
სათანალო
ეზისკოპოზთა
პატრიაქთ(ა)გ(ა)ნ
ვნახე
მოციქ(უ)ლის(ა)ათა
აღარ
სამზღუარი
საპატრიაქოსა
მოვიდეს
თქ(უ)ნ(უ)ელ(ა)
რისხვთ
დაიწყევლოს
რჭული
~
ოვ
არის
დედინაცუალსა თანა
დაბეჭდული
მოლოზონთა
სამოსელითა
[განას]ურნელნა
თავადად
აღმსარებელნი
გაიკანონოს
იმას

აკად. ი. დოლიძის წაკითხვით:

უქორწინებულისა 221 გვ.
იერუსალიმისა " "
საქართველოსა " "
სათანალო " "
ეზისკოპოზთა 222 გვ.
პატრიაქსთაგან " "
ვნახეთ " "
მოციქულისათა " "
არა 223 "
სამზღვარი " "
საპატრიაქოსა " "
მოვიდის " "
თქუნდა " "
რისხვით 224 გვ.
დაიწყეოს " "
სჭული 225 გვ.
იესო " "
არს " "
დედინაცუალსა " "
დაბეჭდილი 226 გვ.
მოლოზონთა " "
სამოსლითა 227 გვ.
[განას]უნენლა " "
თავად " "
აღმასრულებელნი 228 გვ.
განიკანონოს 229 გვ.
ამას 230 გვ.

ზოგიერთი სიტყვის შეცვლა აზრს მთლიანად სცვლის. მაგალითად:

ვითარცა გამცნოს ქა და გ ე ბ (უ) ლ მ ა ნ წმიდათა მოციქულთამან.

ვითარცა გამცნოს მქა და გ ე ბ ე ლ მ ა ნ წმიდათა მოციქულთამან. 223 გვ.

ვინცა სჭულისა მსაჯულსა ქრისტესსა და ქადაგებელსა მონათა მისთასა ურჩ ექმნათ.

ვინცა სჭულისა მსაჯულისა ქრისტესსა და ქადაგებელსა მონათა მისთასა ურჩ ექმნათ.

და უქმნი, წელიწადსა შინა, ვითარცა საეკლესიოთა წიგნთა კრებათაგან განჩენილმან ამცნოს, ეგრეთ.

და უქმნი, წერილსა შინა, ვითარცა საეკლესიოთა წიგნთა კრებათაგან განჩენილმან ამცნოს, ეგრეთ. 231 გვ.

ფიქრობთ საქმარისია, აკად. დოლიძის მიერ გამოცემულ ამ საბუთში მოტანილ შენიშვნებს გარდა კიდევ 90 სხვა განხვავებული, არასწორი წაკითხვა.


ბაძისეულ გამოცემაში, რომელიც ამ 60 წლის წინ განხორციელდა, აქ მოტანილი შეცდომების 5 პროცენტზე კი არ მოიპოვება.

აკად. ი. დოლიძე ამ საბუთის არქეოგრაფიულ აღწერილობაში წერს: „სრული, მაგრამ გაუმართავი ტექსტი, ხელნაწერის ოროგრაფიის დაცვით გამოსცა ს. კაკაბაძემ 1913 წ.“³⁸ მკითხველთა საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ კაკა-

აკად. ი. დოლიძე იქვე წერს, რომ: „ტექსტი მუხლებად ვაკვეთილი არ არის“³⁹ და ფიქრობს, რომ ეს „მუხლებად და აბზაცებად დაყოფა“ მისი შრომის შედეგია. აკად. ი. დოლიძე მთავარს არ აღნიშნავს. საქმე შემდგომია: მცნება სახელოვან ტექსტი დაწერილია ნუსხურად. იმ

³⁸ ქართ. სამართ. ძეგლები, III, გვ. 1153.

³⁹ იქვე.



ადგილებში, სადაც შემდეგნეილი მუხლებსა თუ აბზაცებს გულისხმობს, ხმარობს მთავრულ (მრგვლოვან) ასოებს (ხშირად ხინგურითაც) ან სამ წერტილს (-.). ხელნაწერის ტექსტში ასე გამოყოფილი თუ განხვავებული ადგილები უმეტეს შემთხვევაში ემთხვევა ტექსტის აკად. ი. დოლიძისეულ დამუხლვას თუ აბზაცებს. ამიტომ საბუთის ტექსტის ეს თავისებურება (რადგან დამუხლვას ასეთ მნიშვნელობას აძლევს) მას უნდა აღენიშნა.

* * *

ტექსტოლოგიაში უთარილო საბუთების დათარიღება შრომატევად და ფრიად სერიოზულ სამუშაოდ ითვლება. კათალიკოსთა თუ სხვა მოღვაწეთა ქრონოლოგიური რიგი და სხვა ამგვარი შრომები დიდად უწყობს ხელს უთარილო მასალების დათარიღებას. აკად. ი. დოლიძესაც მოუხდა დაეთარიღებინა ქართული სამართლის ძეგლები. ასე მაგ.: III ტომში შესული 102, 109, 122, 124—127, 137, 163—167, 170, 174, 228, 252—257, 261—265, 271, 287, 314, 337, 340—343; სულ 34. საბუთები დათარიღებული აქვს იმ კათალიკოსთა ზეობის წლებით, რომელთა მეცნიერულად დადგენილი თარიღები მხოლოდ ბ. ლომინაძის შრომებში⁴⁰ შეეძლო ენახა, მაგრამ არცერთ ზემოხსენებულ საბუთის დათარიღებისას იგი არ იხსენიებს იმ ავტორს, რომლის შრომამაც მას ამდენი საბუთის დათარიღებაში სერიოზული სამსახური გაუწია.

ეს ფაქტი სხვისი შრომის არა მარტო მიჩქმალვის, არამედ მათი მითვისების კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიშნულია.

მრავალი სერიოზული შეცდომიდან კიდევ რამდენიმე მაგალითს მოვიტანო:

II ტომში 15 ნომრის ქვეშ აკად. ი. დოლიძე აქვეყნებს ლაშა გიორგის მიერ ქვათახევისადმი მიცემულ შეწირულების წიგნს „ამ საბუთის დედანი ხელნაწერთა ინსტიტუტის საეკლესიო ფონდშია დაცული (Ad — 18). დაწერილია გარკვეული ლამაზი კალიგრაფიული ხელით.

აკად. ი. დოლიძე იმეორებს ამ საბუთის ადრინდელი გამოცემების (თ. შორდანიას) კორექტურულ შეცდომას: გეოგრაფიული სახელი — სურდნეთის მაგივრად ბეჭდავს „სუელეთს“. აკად. ი. დოლიძეს ახალი გამოცემის დროს დედანი რომ წაეკითხა, მაშინ ამ შეცდომას აიცილენდა, რადგან ეს გეოგრაფიული სახელი დე-

დანში სრულიად ნათლად და გარკვევით იკითხება.

II ტომში 168 ნომრით გამოცემულია აკად. ი. დოლიძის მიერ ხუთი წლის წინ ცალკე წიგნად გამოქვეყნებული „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“.

ამავე ტომში 131 ნომრით ი. ფუტყარაძის საკანდიდატო დისერტაციის „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა („ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის)“ ტექსტი უცვლელად არის გადმობეჭდილი. იგი აკად. ი. დოლიძის შედგენილი წიგნის გამოცემამდე ერთი წლით ადრე, 1964 წელს, გამოვიდა ცალკე წიგნად.

87 ნომრით წიგნში შესულია პროფ. შ. მესხიას მიერ 1951 წ. გამოცემული „ქნის ერისთავთა საგვარეულო ქრონიკა — ძეგლი ერისთავთა“.

III ტომში მეთუე ნომრით შეტანილია 1939 წ. ლ. მუსხელიშვილის მიერ გამოცემული „გაბანის ქუაბთა განგება“. ეს გამოცემა თითქმის ორმოცე წლის გავლის შემდეგაც ისტორიული ძეგლის ტექსტის მეცნიერულად დადგენისა და გამოცემის ეტალონად ითვლება.

ამდენი დროის გავლის შემდეგ, მართალია, მისი გამოცემა საჭიროა, მაგრამ რატომ ვუკარგავთ ავტორობას იმ კარგ მეცნიერს, რომელმაც ეს რთული და მძიმე ტექსტი მეცნიერულად გამოცემის მიზნით პირველმა შეისწავლა და ისე გააქეთა, რომ ამ წნის განმავლობაში მისი ნაშრომი ვიმეორებთ ტექსტის გამოცემის ნიშნულად რჩება. რად ვუკარგავთ ავტორობას ამ ამავდარ მეცნიერს. განა უფრო კეთილშობილური, და რაც მთავარია, სამართლიანი არ იქნებოდა ეს შრომა მისი ავტორის — ლ. მუსხელიშვილის სახელით გამოვიდეს?

II ტომში 31 ნომრით აქელმწიფის კარის გარიგები“-ს ტექსტია დაბეჭდილი, ხოლო 89 ნომრით ვახტანგ VI-ს დასტურლამალი. ავტორმა იცის, რომ ორივე მათგანზე მისი კოლეგა პროფ. ივ. სურგულაძე ათეული წელია მუშაობს და იგი თითქმის მუშადა აქვს გამოსაცემად.

უფრო მეტიც. სამართლის ძეგლების III ტომში მესუთე ნომრით დაბეჭდა „ბეტრძინის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი“. ზუსტად ერთი წლის შემდეგ გამოდის ჩვენი სახელგანთი მეცნიერის აკადემიკოს აკ. შანიძის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი: „ქართველთა

⁴⁰ ბ. ლომინაძე, მასალები საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტ. ნაკვეთი № 29, 1951; ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ. 31, 1954.



მონასტერი ბულგარეთში, რომელსაც დამსახურებულად, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

აკად. ი. დოლიძის გამოცემული ამ ტექსტის შესაფასებლად საკმარისად მიგვაჩნია მოგიტანოთ აკად. ა. შანიძის აზრი (იხ. მისი შრომის 26 გვ.): ტიპოგონის ტექსტი „1954 წ. ბელგიაში გამოსცა კათოლიკე მღვდელმა მიხეილ თარზნივილმა, რომელიც რომში მოღვაწეობდა... ამ გამოცემიდან ქართული ტექსტი უცვლელად გადაბეჭდა პროფ. ი. დოლიძემ“. ზუსტი შეფასება ი. დოლიძის შრომის მეთოდისა, იმ განხვავებით, რომ ზოგჯერ ზუსტ გადმობეჭდვას აკად. ი. დოლიძე ვერ ახერხებს.

უამრავი მაგალითი გვაქვს, როცა აკად. ი. დოლიძე მასალის შესახებ არ იძლევა სრულ არქეოგრაფიულ ცნობებს. II ტომში 45 საბუთი გიორგი მეფის მიერ ვირშელ წულუკიძისადმი მიცემული წყალობის წიგნი, 52 ნომრით, შალვა ჭვენიფნველ ერისთავის ღარგვისისადმი შეწირულების წიგნი გამოცემების (ქრონიკ. II, საქ. სიძვ. I, საქ. სიძვ. III) მიხედვით იბეჭდება, მაშინ, როცა ამ საბუთების პირები ხელნაწერთა ინსტიტუტში Qd 8691, Qd 9020 ნომრებითაა დაცული.

II—III ტომებში ზოგჯერ საბუთების წინა გამომცემელს არ უთითებს მგ. II ტ. № 46 საბუთი Hd 1055; — შეუვალობის სიგელი გიორგი მეფისა ფილიპე ერემიძისადმი გამოცემულია საქ. სიძვ. II, № 10, ასევე „განწესება ერეკლე მეფის დაკრძალვისა“, მაგრამ ასეთი მაგალითები აქ რა მოხატანია მას შემდეგ, როცა აკად. ი. დოლიძე IV და V ტომებში შესული საბუთების გამოცემების მითითებიდან სრულიად ითავისუფლებს თავს და წინასიტყვაობაში აცხადებს: „ლეგენდაში... მითითებულია პუბლიკაციები მხოლოდ იმ საბუთებისა, რომელთა დედნები ან პირები დაკარგულად ითვლება“. და ამდენად მთელ პასუხისმგებლობას ერთბაშად იხსნის.

მიუღებელია ფორმა პირთა საძიებლებისა, რომელიც დართული აქვს ხაშარაილის ძეგლების II ტომს. კიდევ უარესია განცხადება, რომელიც მოთავსებულია II ტ. 647 გვერდზე. „ქვემოთ მითითებულ გვერდებზე საძიებელს აკლია აღნიშნულ პირთა ხანებები: გვ. 241—252, 265, 277—278, 288—293, 297, 308—309, 313—315, 385—387, 405—407, 483—492, 527—540“. ასეთივე განცხადებაა III ტ-ის მე-8 გვერდზე — „მასალის დიდი მოცულობის გამო პირთა საძიებელში შეტანილი არ არის საშემოსავლო და ხალხის აღწერის დავთრებისა და აგრეთვე ზოგიერთი სხვა საბუთების მონაცემები“.

აკადემიკოსის მიერ შეკრებილი მასალების გამოცემებში ასეთი განცხადებები, ვფიქრობთ, უზერსულია და თავის მართლების დამაზოგად ვერ ჩაითვლება. ხომ არა ხჯობდა შემდგენელი გაფრთხილებლად საკუთარ ავტორიტეტს, მაღალ სამეცნიერო ტიტულებს?

ახევე დაიზღვია თავი ი. დოლიძემ ტექსტობრივი ხასიათის კომენტარებისაგან. II ტომის წინასიტყვაობაში გაკეთებული განცხადებით: „შეიძლება მკითხველმა გვიხაყვედუროს, რომ დაბეჭდილ ტექსტს დართული არა აქვს კომენტარები და ზოგჯერ მხოლოდ მოკლე, იხილ უმთავრესად არქეოგრაფიული ხასიათის შენიშვნებით ვკმაყოფილდებით. შენიშვნა უდავოდ ხამართლიანი იქნებოდა, ჩვენს გამოცემას რომ ასეთი მითითება დასახელებულია ბჰონდეს (ხაზი ჩვენია თ. ე.), მაგრამ როგორც I, ისე მომდევნო ტომებისთვისაც ტექსტის კომენტარები თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული“ (გვ. X).

აკად. ი. დოლიძის გამოცემულ ტექსტებში შეცდომები, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტია, ვიდრე აქ არის მოტანილი, მაგრამ ამჟერად მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებ ყურადღება.

დასანანია, რომ ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც კარგი ტექსტოლოგიური სკო-

ლის ტრადიციები აქვს, ახე დაბალი დონისა და ხარისხის გამოცემულ ნაშრომებს ურიგდება, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა ტექსტოლოგია ფილოლოგიის ერთ-ერთ დარგად ითვლება და კრიტიკულად სწავლობს ლიტერატურული, ისტორიული (დოკუმენტური


თუ ნარატიული) ხასიათის ძეგლთა ტექსტებს მათი მეცნიერულად გამოცემის მიზნით.

ვინც თანამედროვე ტექსტოლოგიური მოთხოვნების დონეს იცნობს, დამეთანხმება, რომ დოკუმენტებისა და ტექსტების ახე გამოცემა მეცნიერებისათვის საზიანოა.

რედაქციისაგან: აკად. ი. დოლიძის პასუხი ამ რეცენზიაზე გამომავალ-
დება ჩვენი შუიანლის მორიგ ნომერში.

მოკონუბანი

მეზროლი სულისკვეთების აღიანი



„რა საგანს ასწავლით ინსტიტუტში?“ ანკეტის ამ კითხვას ახალგაზრდა მეცნიერმა, ევდოკიმე ერმალოვის ძე ენუქიძემ უპასუხა: „ლიალექტიკურ მატერიალიზმს“. იგი მაშინ 25 წლისა თუ იქნებოდა. ამ ახალგაზრდამ, თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ბევრის გაკეთება შეძლო.

ევდ. ენუქიძე დაიბადა 1907 წელს, სოფ. ვორაში (ვანის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ადგილობრივ სასწავლებელში მიიღო; 1924 წელს დაამთავრა ქუთაისის პირველი ზუმანიტარული ტექნიკუმი და იმავე წელს ჩარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც იურიდიული განხრით წარმატებით დაამთავრა 1928 წელს.

ევდ. ენუქიძემ სტუდენტობის ბერიოდშივე მიიპყრო ყურადღება. მოწინავე სტუდენტებთან ერთად (იონა ბოჭორიშვილი, თინათინ წერეთელი, ანდრო გელოვანი, ივანე ძაძაშიძე, ივანე სურგულაძე და სხვ.) ე. ენუქიძე აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო სემინარებში, ბევრჯერ შეუქია იგი პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილს.

1929 წელს უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის მალაქია ტოროშელიძის წარდგინებით ე. ენუქიძე უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის ასპირანტად დატოვის. იგი მაღალ თეორიულ დონეზე ატარებდა სემინარებს და თავისი ხელმძღვანელის მ. ტოროშელიძის დავალებით ლექციებსაც კითხულობდა 1931-1932 წლებში.


ევდ. ენუქიძე შეთავსებით დიალექტიკური მატერიალიზმის კურსს კითხულობდა ოზურგეთის ჩაის ინსტიტუტშიც, სადაც იგი დოცენტის თანამდებობას ასრულებდა. 1928 წლიდან შეთავსებით მუშაობდა აგრეთვე უურნალ „საბჭოთა სამართლის“ მდივანად, შემდეგ კი ამ უურნალის ფაქტიური რედაქტორი გახდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ევდ. ენუქიძე, როგორც მოწინავე ასპირანტი სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში მიავლინა, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო იგი იქ ვერ გაემგზავრა. ე. ენუქიძე მისთვის ჩვეული ენერგიით და სიბეჯითით განაგრძობდა მუშაობას, განსაკუთრებით მარქსისტული ფილოსოფიური მეცნიერების დასაუფლებლად.

მე მას ანლო ვიცნობდა, ერთადაც ვცნობდით მოწაფეობის დროს ქ. ქუთაისში, შემდეგ კი, ასპირანტობის დროს, — თბილისში. მაკვირვებდა მისი უშრეტე ენერგია: ბევრს კითხულობდა მეცნიერულ, აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას, ხშირად ისე გაიტაცებდა კითხვა, რომ ჭამა ავიწყდებოდა, ბევრს ბეჭდავდა იურიდიულ, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ თემებზე.

მისი სტატიები ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში — „კომუნისტში“, „ბოლშევიკში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „ახალგაზრდა ბოლშევიკში“ და სხვ. ე. ენუქიძემ ჭერ კიდევ 1927 წელს, მესამე თორხის სტუდენტთა მარქსისტულად, მაღალ თეორიულ დონეზე დამუშავა რთული ფილოსოფიური პრობლემა, „თავისუფლება და აუცილებლობა“.

ქართველი ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობის იდეური დონის ამაღლების, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური აზრის დაუფლების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ე. ენუქიძის მიერ ქართულად თარგ-



მნილ ვ. აღორაცვის „დიდიექტიკურ მატერიალიზმს“, რომელიც ხანელგამმა გამოსცა 1932 წელს. ეს ვრცელი ფილოსოფიური ნაწარმოებია ვ. ლენინის კლასიკური ფილოსოფიური წყაროების მიხედვით შედგენილი, რომელიც დღესაც არ არის მოძველებული.

ე. ენუქიძე იყო მრავალმხრივ განათლებული, ღრმა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მფუძავი. 1921 წლიდან იგი იყო კომკავშირის წევრი, ხოლო 1931 წლიდან — სკკპ წევრი. 1932 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხილიზაციით გაიზავნა პარტიის ვანის რაიკომის კულტპროპაგანდის სექტორის გამგედ და რაიონული გაზეთის „კომმუნის მნათობის“ პასუხისმგებელ რედაქტორად. 1933 წლის ბოლოდან თბილისში გადმოჰყავთ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პასუხისმგებელ რედაქტორად. აქ ე. ენუქიძე გაზეთის რედაქტორობას ათავსებს მეცნიერულ მუშაობასთან, კითხულობს ლექციებს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან არსებულ საგაზეთო მუშაობის პრაქტიკისა და ბოლშევიკური პრესის კურსებზე.

1936 წლიდან ე. ენუქიძეს ნიშნავენ ჟურნ. „პარტიული მშენებლობის“ რედაქტორად, მალე კი ეს ვადამოკავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორად.

მოწაფეობის პერიოდში ქ. ქუთაისში ე. ენუქიძე სულ ახალგაზრდა, ლექსებსაც წერდა, იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების წევრი.

თავისი ერთ-ერთი პირველი ლექსი მან გაწ. „მუშა და გლეხის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა 1928 წელს. 1924 წელს ე. ენუქიძის ლექსი „ნაპირი“ დაიბეჭდა ჟურნალ „დინამიკში“ (ქუთაისის პროლეტარულ მწერლობის კავშირის უფვლთვიური ორგანო).

ლექსი მებრძოლი სულსკვეთებით არის დაწერილი. პოეტი ხედავს, რომ „გაცრეცილი ბლანეტა ვეღარ უძლებს ტკივილებს“ და გაირღვა, მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება, ბრძოლა ვრძელდება:

„ღ. ეს გზები გრძელია, მოთმინება არ მყოფნის, მინდა მალე ვიხილო აღთქმულ ქვეყნის კარები, არენაზე ისევ ჩანს: ბრძოლა ყოფნა-არ. ყოფნის, მწაშს, რომ მალე დარეკავს გამარჯვების ზარები“.

დაიხ, გამარჯვება ნამდვილად სწამდა სბეტაკ ქომკავშირელს, მზად იყო ამ გამარჯვებისათვის საბრძოლველად. ის წერდა:

„და ეს მკლავი მაგარი ის ვ ამხსნერევს ნაპირებს“

„ჩვენ კი ისევ წინ მივქრით, მედგარ ბრძოლას ვაპირებთ“.

1924 წლის 14 აგვისტოს თოქქის მთელი დასავლეთი საქართველო მენშევიკების ავანტიურამ მოიცვა. მან მაშინვე იარაღს მოჰკიდა ხელი და სამშობლოს სადარაჯოზე დადგა.

მკითხველისათვის ალბათ არ იქნება ინტერესსმოკლებული, თუ ორიოდ სიტყვით შევეხებით ამ ეპიზოდს.

1924 წლის 15 (ძველი სტილით) აგვისტო რელიგიური დღესასწაული — „მარამობა“ იყო. 14 აგვისტოს მე ე. ენუქიძეს საერთო საცხოვრებელში გაუფარე და შევთავაზე ჩემს მშობლიურ სოფელ ფარცხანაყანეში წამყოლოდა სტუმრად. იგი დამეთანხმა და ჩვენ წავედით.

მეორე დღეს დილიდანვე სტუმარს რატიმ-დაც მოწყენილობა დაეტყო, არაფერი არ აინტრესებდა, წავიდეთ ქუთაისშიო — შეუბნებოდა.

მე უოველმხრივ ვცდილობდი მეგობრის გართობას, მაგრამ ვერაფერი ვაგაწყე. სადილზე იმავე სოფელში ნათესავმა მიგვიპატიუა, გოგონებიც მოეწვია, რომ შეტი მხიარულება ყოფილიყო.

საერთოდ გოგონებთან მასლაათი ევდ. ენუქიძეს უყვარდა, მაგრამ ახლა დანა პირს არ უხსნიდა.

რა მოხდა? რა მოგვიდა? — ვეკითხებოდი.

არაფერიო — მიპასუხებდა.

ერთ ქალიშვილზე თვალი ჩავუკარი, ვანიშნე როგორ მოგწონს მეთქი, მაგრამ ჩემი თვალი უშალ გოგონამ შენიშნა: „აბოლონ, რას აპარბალებ თვალებს, არ მოგწონვარ?“ როგორ გეკადრებათ, პირიქით, ძლიერაც მოგწონხართ-მეთქი ვუთხარი.

ამაზე ევდოკიმემ მხოლოდ გაიღიმა.

რა გაეწყობოდა, რაკი სტუმარი დაუნებით მოითხოვდა ქუთაისში წასვლას, მეც დავთანხმე და დაახლოებით საღამოს 9 საათზე უკვე სადგურ მუხიანში ვიყავით. უკვე ჩამოდგა ფოთი-ქუთაისის სახალხო მატარებელი, ადგილები დავიკავეთ, მაგრამ მატარებელი არ იძვრის!

ცოტახანი და, აი „დრეზინი“ გამოჩნდა, ჩვენი მატარებელიც თურმე მან შეაკავა. ჩვეულებრივ, „დრეზინი“ ყოველთვის რკინიგზის მუშებით იყო დატვირთული. ახლანდელი მეზავრები მუშებს არა ჰგავდნენ.

ჩვენი მატარებელი დამის 10 საათზე ქუთაისში იყო. მხოლოდ აქ შევიტყუე, რომ



„დრეზინში“, რომელაც სადგურ მუხიანში დავ-ტოვით, თურმე ვანო სტურუა, რუბენი, ა. ჩეჩელაშვილი და სხვ. პასუხისმგებელი მუშაკები იხსდნენ, რომლებსაც ავაჯაკურად თავს დაესხნენ მუხიანელი მენშევიკი ბანდიტები და დააპატიმრეს.

მეორე დღეს შევიტყუეთ აგრეთვე, რომ ჩემს სოფელსა და სხვა ახლო-მახლო სოფლებში (ოფშკვითი, პატრიკეთი, გეგუთი, მესხეთი და სხვ.) მენშევიკებმა დააპატიმრეს ყველა კომუნისტი და კომკავშირელი, მენშევიკი გარეწრები თურმე ჩემს ძმასთანაც მისულან, რომ მე და ევდ. ენუქიძე დავეპატიმრებინეთ, მაგრამ ჩვენ უკვე წასული დავხვდით.

ასე „დაგვემარა“ ევდ. ენუქიძის მოწყენილობა იმ დღეს.

ქუთაისის სადგურიდან ძნელი იყო შინ მისვლა. „უპაროლოდ“ თითქმის არავის უშვებდნენ. ჩვენს ბედზე, თანაკლასელი იარაღს-ხმული კომკავშირელები (ი. ბოკერია, ს. ბუაღავა, ბ. ბერაძე და სხვ.) შეგვხვდნენ, რომლებმაც „პაროლი“ გვაცნობეს.

იმ დროს, ჩვენ, კომკავშირელებს სახლებში ყველას იარაღი (შაშხანა, რევოლვერი და სხვ.)

გვქონდა. მე და ე. ენუქიძე შევთანხმდით ავადი იარაღი და დაუყოვნებლივ გამოვცხადებუდიყავით „ZOH“-ში (განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილი), რომლის უფროსი კირილე წიფწივაძე იყო.

იმ დამსხვე გაგვაწესეს საგუშაგოზე — ხაღორის ტყეში. მეორე დღეს მე და ე. ენუქიძე მენშევიკური ავანტიურის წინააღმდეგ საბრძოლველად სხვადასხვა მიმართულებით გავგზავნეს. ერთმანეთს მხოლოდ ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ შევხვდით.

ეს ფაქტი გვიჩვენებს, თუ როგორ დაამტკიცა ე. ენუქიძემ საქმით ხელში იარაღმომარგვებულმა ერთგულება საბჭოთა წყობილებისადმი, კომუნისტურა პარტიისადმი.

ე. ენუქიძე იყო უადრესად გულისხმიერი, კეთილი, მეტად პრინციპული, საქმის მოყვარული, მორალურად წმინდა. იგი დიდ დანაშაულებას უწევდა ახალგაზრდობას.

რა დასანანია, რომ მან სულ რაღაც 29 წელი იცოცხლა, რომ დასცლოდა იგი ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებდა ჩვენი ერისათვის.

პ.რ.ფ. აპ. ნუცუბიძე.

საბჭოთაეთის მთავრობის განცხადება



1. ნაკლმიწოდებული პროდუქციის რაოდენობის შევსება წარმოებს ფონდის მოქმედების ვადის ფარგლებში

რაზიკუსკის საცდელ-სარემონტო ქარხანამ აღძრა ქ. თბილისის ერთ-ერთ საწარმოს მიმართ სარჩელი 1972 წლის I, II და III კვარტლებში პროდუქციის ნაკლმიწოდებისათვის პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე. სარჩელს საფუძვლად ედო მხარეებს შორის 1971 წლის დეკემბერში დადებული ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 1972 წლის იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სახელმწიფო არბიტრაჟში სარჩელი აღძრა 1973 წლის 23 აპრილს. აქედან გამომდინარე სახელმწიფო არბიტრმა ჩათვალა ექვსთვიანი სასარჩელო ვადა გაშვებულად, რის გამოც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ზედამხედველობის წესით ამ დავის განხილვის შედეგად არბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება მცდარად იქნა მიჩნეული, რადგან საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მი-

წოდების შესახებ დებულების 31-ე მუხლის ძალით მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების ერთ პერიოდში ნაკლმიწოდებული პროდუქცია შეავსოს შემდგომ პერიოდში. ნაკლმიწოდებულ პროდუქციის რაოდენობის შევსება წარმოებს ფონდის მოქმედების ვადის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება დაიდო გამოყოფილი ფონდის საფუძველზე. ფონდი მოქმედებს სამეურნეო წლის ბოლომდე და ამიტომაც მოსარჩელეს უფლება ჰქონდა 1972 წლის ბოლომდე მოეთხოვა ნაკლმიწოდებული პროდუქციის შევსება. გამომდინარე აქედან პირგასამტეხლო გადახდევინების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 1973 წლის 1 იანვრიდან და მასასადავო იმავე წლის აპრილში აღძრული სარჩელი ხანდაზმული არ იყო. სახარბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა. სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.

2. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის უსწორო განაგარიშება

საქსოფლტექნიკის პერმის ბაზამ აღძრა სარჩელი ქუთაისის რეზინის ნაკეთობათა ქარხნის მიმართ ერთი და იგივე ანგარიშის ორჯერ გადახდევინებული თანხის დაბრუნებაზე.

სასარჩელო განცხადებაში, რომელიც შემოტანილი იყო 1973 წლის აპრილში ნაჩვენებია იყო რომ მოპასუხის 1971 წლის 2 მაისის № 365 ანგარიშით კუთვნილი ფასთა სხვაობის თანხა მოსარჩელემ პირველად გადაიხადა 1971 წლის 23 ივლისს № 584 ანგარიშით, ხოლო მეორედ იგივე თანხა მოპასუხემ გადაახდევინა მას № 1073 ანგარიშით 1972 წლის 17 ოქტომბერს. სახარბიტრაჟმა ჩათვალა ეს სარჩელი ხანდაზმულად და მოსარჩელეს უარი უთხრა იმ საფუძველით, რომ სადავო ანგარიშსწორება ეხება 1971 წლის მაისში მომხდარ ოპერაციას და სარჩელი 1973 წლის აპრილში აღძრულია ერთწლიანი ვადის დარღვევით.

ზედამხედველობის წესით შემოტანილი სა-

ჩივრის განხილვის შედეგად სახარბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში არა სწორად იყო განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისი მომენტი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იწყება სარჩელის უფლების წარმოშობის დღიდან, სარჩელის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის უფლება დაირღვა იმ მომენტში, როცა მას მეორედ გადაახდევინეს ერთხელ უკვე განადღებული ანგარიშის თანხა ე. ა. 1972 წლის ოქტომბერში. ამგვარად 1973 წლის აპრილში აღძრული სარჩელი ხანდაზმული არ იყო. პერმის ბაზის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.



8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ეკისრება ხელშეკრულების დამდებ მხარეს და არა მესამე ორგანიზაციას, რომელიც ხელშეკრულებაში არ მონაწილეობს

სოხუმის კვებვაჭრობის და აფხაზხილბოსტნის სამმართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება 1972 წლის მოსავლიდან თესლოვანი და კურკოვანი ხილის მიწოდებაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ მიმწოდებელი განახორციელებს ხილის მიწოდებას თავისი სისტემის დამამზადებელი პავილიონების მეშვეობით და, რომ ანგარიშსწორება მიწოდებული პროდუქტისათვის და ყოველგვარი პრეტენზიები ხარისხზე და რაოდენობაზე მოგვარდება უშუალოდ საქონლის გამომგზავნ პავილიონებსა და მყიდველის შორის. ხელშეკრულება ნაწილობრივად არ შესრულდა და ამიტომ სოხუმის კვებვაჭრობამ აღძრა სარჩელი აფხაზხილბოსტნის მიმართ პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის ნაკლმიწოდებისათვის.

სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. აფხაზხილბოსტანმა ზეწყესით საჩივარში აღნიშნა, რომ ჯერ ერთი მყიდველი თითონ გაუბრუნდა საქონლის მიღებას და რომ ხელშეკრულების პირობის თანახმად პასუხისმგებლობა პრო-

დუქციის ნაკლმიწოდებისათვის უნდა დაეკისროს დამამზადებელ პავილიონებს.

აფხაზხილბოსტანის საჩივარი უშედეგოდ დატოვეს, მომჩივარს განუმარტეს, რომ მოსარჩელეს მხრივ პროდუქტის აუთენტიკულობის ფაქტი საქმის მასალებით დადასტურებული არ არის. ხელშეკრულება დადებულია სოხუმის კვებვაჭრობის, როგორც მყიდველის და აფხაზხილბოსტნის სამმართველოს, როგორც მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის; ხელშეკრულებას ხელს აწერენ მხოლოდ ამ ორი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, არავითარი წილობრივი მონაწილეობა სხვა ორგანიზაციისა ხელშეკრულებით არ არის არც გათვალისწინებული და არც გაფორმებული (დებულების მე-17 მუხლი) და მაშასადამე სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების მე-60 მუხლის ძალით, პირგასამტეხლო საქონლის ხელშეკრულების დაწესებულ ვადებში ნაკლმიწოდებისათვის უნდა გადაიხადოს მიმწოდებელმა და არა საქონლის გამომგზავნმა.

4. სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 60 მუხლის მეხამე აბზაცით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდევინების წესი

საქველტვაჭრობამ აღძრა სარჩელი ფაბრიკა „დინამოსაგან“ პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების დამრღველ ვადებში სატრიკოტაჟო ნაწარმის ნაკლმიწოდებისათვის. კუთვნილი სანქციების თანხა განაგარიშებულ იქნა პირგასამტეხლოს ერთხანევი ოდენობით იმ საფუძველზე, რომ მოსარჩელე ორგანიზაცია არის საბითუმო ვაჭრობის ბაზა, ხოლო ნაკლმიწოდებული საქონელი იყო განკუთვნილი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.

სახელმწიფო არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელობდა საქონლის მიწოდების შესახებ დებულების მე-60 მუხლის მეორე და მესამე აბზაცებით, რომელთა თანახმად სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებისათვის და ვადად შეზიდვის სხვა რაიონებისათვის საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების ან ნაკლმიწოდებისათვის ამ პუნქტის პირველ აბზაცში გათვალისწინებული პირგასამტეხლო გადახდებთან ერთხანევი ოდენობით. თუ მიმ-

წოდებელს საბითუმო ვაჭრობის ან მომარაგება-გასაღების ორგანიზაციას (საწარმოს) ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ერთხანევი ოდენობით საქონლის დამამზადებელ საწარმოს მიზეზით, ეს უკანასკნელი საბითუმო ვაჭრობის ან მომარაგება-გასაღების ორგანიზაციის წინაშე პასუხს აგებს ქონებრივად ამავე ოდენობით, მაშინაც როცა ისინი იმყოფებიან ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში.

მოპასუხე შემოტანილ ზეწყესით საჩივარში არ უარყოფდა ნაკლმიწოდების ფაქტს, მაგრამ შეედავა შეფარდებული სანქციების ოდენობას. იგი ამტკიცებდა, რომ მოსარჩელემ — საქველტვაჭრობამ არ წარმოადგინა მტკიცება იმისა, რომ მან ფაქტიურად გადაუხადა თავის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მყიდველებს მომეტებული სანქციები. სარჩელის აღძვრის დღისათვის კი, ხანდაზმულობის ვადა ამ საქმეზე მოსარჩელეს მიმართ უკვე გასულია, ამიტომ ფაბრიკა „დინამო“ სთვლიდა რომ პირგასამტეხლო მან უნდა გადაიხადოს მიწოდებელი საქონლის ღირებულების არა 7,5, არამედ 5 პროცენტის ოდენობით. ამ და-

ვასთან დაკავშირებით გაიგზავნა შეკითხვა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში. საკავშირო არბიტრაჟის პრაქტიკის განზოგადების და საინსტრუქციო განყოფილებამ 1973 წლის 25 ივნისს ონ-18/41 წერილით აცნობა საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟს, რომ

ამგვარი სარჩელების აღძვრის დროს მტკიცება იმისა რომ მოსარჩელემ ფაქტიურად გადაიხადა მომეტებული სანქციები საჭირო არ არის. ფაბრიკის საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ.

5. მხარეს უფლება აქვს სათანადო საფუძველის არსებობისას გაასაჩივროს ხარისხის ინსპექციის, სასაქონლო ექსპერტიზათა ბიუროს ან სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტის (ლაბორატორიის) დასკვნა მათ ზემდგომ ორგანოში

სმოლენსკის სამკერვალო საწარმოთა გაერთიანებამ აღძრა სარჩელი თბილისის მულდკამოლ კომბინატის მიმართ მისი გამოშვებული ქსოვილის არა სათანადო ხარისხის შესახებ, რისთვისაც მოითხოვა დაწუნებული ქსოვილის ღირებულება და კანონით გათვალისწინებული ჯარიმა სულ თანხა 2187 მან. სარჩელი ემყარებოდა სმოლენსკის ოლქის სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროს რამოდენიმე აქტს, რომლითაც შემოწმებულ იქნა სადავო ქსოვილის ხარისხი და დადგინდა მისი სახელმწიფო სტანდარტისადმი შეუსაბამობა.

გად დაკმაყოფილა სარჩელი თანხით 684 მან. არბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სმოლენსკის სამკერვალო გაერთიანებამ. საჩივარში იგი უთითებდა, რომ არბიტრაჟს არ ჰქონდა საფუძველი არ გაეზიარებინა სმოლენსკის საექსპერტო ბიუროს დასკვნა.

მულდკამოლის კომბინატმა პრეტენზიის მიღებისას გამოითხოვა სმოლენსკიდან დაწუნებული ქსოვილი, ხოლო სმოლენსკის ექსპერტიზათა ბიუროს დასკვნა გაასაჩივრა საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ხარისხის მთავა რსახელმწიფო ინსპექციაში. სახელმწიფო ინსპექციამ უარი განაცხადა დასკვნის მიცემაზე რაც სახეებით სწორი იყო, ხოლო დაბრუნებული სადავო ქსოვილი კომბინატმა გაუშვა რეალიზაციაში ისე, რომ დავის გარჩევის დღესათვის იგი სახეზე აღარ იყო. სახარბიტრაჟოში დავის გარჩევის დროს მულდკამოლის კომბინატმა გაიმეორა თავისი შედაგებმა სმოლენსკის საექსპერტო ბიუროს დასკვნების წინააღმდეგ განაცხადა, რა რომ სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ ექსპერტიზა ჩატარებულია ქსოვილის ეტალონთან შეუდარებლად, რაც სავალდებულო იყო ერთერთი გამოვლინებული დეფექტის დასადგენად და სხვა. არბიტრაჟმა მიმართა რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს ხარისხის მთავარი ინსპექციას, რათა გამოეთქვა აზრი წამოჭრილი დავის გამო, მაგრამ ამ უკანასკნელმა აცნობა არბიტრაჟს, რომ ამ საკითხის ვადაჭრა საკონტროლო ექსპერტიზის ჩატარების გარეშე შეუძლებელია.

შემოტანილი საჩივრის ზედამხედველობითი წესით განხილვის დროს მთავარმა არბიტრმა მხედველობაში მიიღო, რომ საქონლის ხარისხობრივი მიღების მოქმედი ინსტრუქციის 35-ე მუხლის ძალით დამამზადებელს უფლება აქვს სათანადო საფუძვლის არსებობისას გაასაჩივროს სასაქონლო საექსპერტო ბიუროს დასკვნა ზემდგომ ორგანოში. თუ ზემდგომი ორგანოზეცა სცნობს დამამზადებელის მოსაზრებათა საფუძვლიანობას, სათანადო წესისამებრ დაინიშნება განმეორებითი ექსპერტიზა. განმეორებითი ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის ან სასამართლო საგამომძიებლო ორგანოების დავლებით.

სახარბიტრაჟომა გაიზიარა მულდკამოლის კომბინატის განმარტება სახელმწიფო სტანდარტის დარღვევის ნაწილში და ნაწილობრივ

მოცემულ შემთხვევაში თბილისის მულდკამოლის კომბინატმა ეს სავალდებულო წესი დაარღვია. სმოლენსკის ოლქის საექსპერტო ბიუროს დასკვნა გაასაჩივრა საქართველოს რესპუბლიკურ ინსპექციაში, რომელიც სმოლენსკის ბიუროსათვის ზემდგომ ორგანიზაციად ვერ ჩათვლება დავის ვადაჭრამდე გაუშვა რეალიზაციაში სადავო ქსოვილი და ამით გამოიციტა განმეორებით ექსპერტიზის ჩატარების საშუალება ხოლო მისი განცხადება ხარისხის შემოწმების დარღვევის შესახებ სწორი იყო სარჩელის მეტად უმნიშვნელო ნაწილის მიმართ.

სმოლენსკი ექსპერტიზა ჩატარდა ყველა დაწესებული ვადების და წესის დაცვით და ამიტომ არბიტრაჟს არ ჰქონდა საკმაო საფუძველი არ დაყრდნობოდა მის დასკვნებს. ყველა ამის გამო, სახარბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიცვალა. სმოლენსკის საწარმოთა გაერთიანების სარჩელი ძირითად ნაწილში, 125 მანეთის გამოკლებით, დაკმაყოფილებულია.

ინფორმაცია

საქართველოს საზოგადოებრივი საინჟინერო-ტექნიკური საზოგადოების მიერ 1974 წლის 24-25 ოქტომბერს ქ. ბაქოში გა- იმართულ სახელმწიფო-სამართლის

1974 წლის 24-25 ოქტომბერს ქ. ბაქოში გა-
იმართა ზონალური სამეცნიერო-საპროფესიონალ-
ციო თათბირი სახელმწიფოს და სამართლის
ზოგადი თეორიის საკითხებზე; რომელშიც მო-
წოდებულია მიიღეს სსრ კავშირის მეცნიერე-
ბათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის
ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის, საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის სამართლის სექტორის,
აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის, აზერბაიჯანის
სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა
და სამართლის ინსტიტუტის, აზერბაიჯანის სსრ
იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერ-
ტიზის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომ-
ლებმა, აგრეთვე აზერბაიჯანის სსრ იუსტიციის
ორგანოების პრაქტიკულმა მუშაკებმა.

თათბირის დღის წესრიგში იყო სამი საკი-
თბი: 1. სახელმწიფოსა და სამართლის მარქსის-
ტულ-ლენინური თეორიის ობიექტუალური გან-
ხილვა; 2. განვითარებული სოციალისტური
საზოგადოების სახელმწიფო და დემოკრატია;
3. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თე-
ორიაში სამეცნიერო გამოკვლევათა კოორდინა-
ცია.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა აზერ-
ბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილო-
სოფიისა და სამართლის ინსტიტუტის დირექ-
ტორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერება-
თა დოქტორმა პროფესორმა ტ. კაფაროვმა.

ობიექტუალური განხილვა დაიწყო მისი
ერთ-ერთი თანაგებორის, სსრ კავშირის მეც-
ნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სა-
მართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი
თანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორის გ. მანოვის, გამოსვლით, რომელ-
მაც თათბირის მონაწილეებს გააცნო სახელ-
მწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინ-
ური ზოგადი თეორიის კურსის შექმნისათვის
საბჭოთა მეცნიერთა დიდი კოლექტივის მუშა-
ობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ავტორები შე-
ეცადნენ განეზოგადებინათ საბჭოთა იური-
დიული მეცნიერების მიღწევები და საბჭოთა
სოციალისტური სახელმწიფოს მრავალმხრი-
ვი ფართო სამართალმემოქმედებითი და სა-

მართალმემოქმედებითი საქმიანობა. სოციალის-
ტური სამართლის ინსტიტუტების ანალიზის
დროს კურსში ფართოდ არის გამოყენებული
სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეთნოგრაფიისა
და ეკონომიური მეცნიერების მონაცემები.

აზერბაიჯანის უნივერსიტეტის სახელმწიფო-
სა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კა-
თედრის გამგე იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი პროფესორი მ. მელიქოვა არ დაე-
თანხმა სოციალისტური სამართლის შინაარსის
იმ სტრუქტურას, რომელიც მოცემულია კუ-
რსში. მისი შეხედულებით დასაბუთებულად არ
გამოიყურება დებულება მუშათა კლასის (მოე-
ლი ხალხის) კლასობრივ-ნებითი ინტერესის
გამოყოფა სოციალისტური სამართლის შინაარ-
სის ერთ-ერთ ელემენტად. კლასობრივი ინტე-
რესი შეადგენს სოციალისტური სამართლის
არსს და მან უნდა მოიცავდეს სამართლის ში-
ნაარსის ყველა ელემენტი. ამიტომ უფრო და-
საბუთებულად უნდა იქნეს მიჩნეული იმ საბ-
ჭოთა იურისტების პოზიცია, რომლებიც სა-
მართლის შინაარსში გულისხმობენ გაბატონე-
ბული კლასის დაკანონებულ ნებასურვილს. მ.
მელიქოვას აზრით საჭირო იყო სამართლის
სოციალური ფუნქციების მკაფიოდ გამოჩენა,
აღმზრდებლობითი, დაცვითი, შემოქმედებითი
ანუ გარდაქმნელი ფუნქციებისა ცალკე გამო-
ყოფა სწორი არ არის აგრეთვე სამართლის
რეგულატიური ფუნქციის ცალკე გამოყოფა,
ვინაიდან სამართალი ყველა თავის ფუნქციას
ასრულებს როგორც საზოგადოებრივ ურთი-
ერთობათა რეგულატორი (განმსაზღვრელი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემი-
ის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის დოც. ა. შე-
ნაბდის გამოსვლა მიეძღვნა განსახილველ კუ-
რსში სახელმწიფო წყობილების ფორმების გა-
შუქებას. მან აღნიშნა, რომ ეს პრობლემა
კურსში სწორად და ღრმად არის გადმოცემუ-
ლი, ამასთანავე მან გააკრიტიკა ზოგიერთი ნი-
შრომი საბჭოთა ფედერაციის შესახებ, რომ-
ლებიც მისი აზრით არაზუსტად და ზოგჯერ
უსწოროდაც განიხილავენ ჩვენს ქვეყანაში
ერთგულად სახელმწიფოებრიობის პერსპექტი-
ვებს.

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. კახუშოვმა აღნიშნა, რომ კურსის მესამე ტომში არსაკმარისად არის გაშუქებული „საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის“ ცნება, სუსტად არის არგუმენტირებული ამ ცნების გაფართოების ტენდენციის კრიტიკა, არაა მითითებული სამართლის როლის შესახებ პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემაში. გაუმართლებელია „სახელმწიფო წყობილების“ ტერმინის შეცვლა „სოციალისტური სახელმწიფოებრივი ერთიანობის ფორმის“ ტერმინით.

აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე პროფესორი ა. ასადოვი შეჩერდა სოციალისტური სამართლის სისტემის თეორიული პრობლემების გადაწყვეტილებაზე განსახილველ კურსში. მან აღნიშნა, რომ სამართლის ახალი დარგების გამოყოფა (საოჯახო, სამეურნეო) არ უნდა ხდებოდეს სამოქალაქო სამართლის ხარჯზე. შემდგომ მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს სოციალისტური საკუთრების ფორმის, კერძოდ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრების საკითხები.

თბილისის უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გ. ინწკირველი შეეხო ზოგადი იურიდიული ცნებების შემუშავების საკითხს, როგორც სამართლის თეორიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ამ თვალსაზრისით მან მიუთითა კურსში მთელი რიგი ისეთი ზოგადი ცნებების არარსებობაზე, რომლებიც აუცილებელია არა მარტო სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისათვის, არამედ დარგობრივი იურიდიული მეცნიერებისათვის. კურსის საერთო შეფასების დროს პროფ. გ. ინწკირველმა აღნიშნა, რომ იგი მყარ მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგებისათვის.

აზერბაიჯანის უნივერსიტეტის სახელმწიფო-სა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის დოცენტმა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ალტამანმა კურსის უდავო ღირსებად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მასში მარქსისტული მეთოდოლოგია წარმოდგენილია არა აბსტრაქტული სქემებისა და ზეისტორიული კონსტრუქციების სახით, არამედ ისტორიული წარსულისა და თანადროულობის კონკრეტულ მასალასთან ურთიერთკავშირში. იგი ამავე დროს თვლის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში

კურსის ავტორები არღვევენ ისტორიულსა და ლოგიკურს ერთიანობის პრინციპს (მაგალითად, პარაგრაფებში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ); ფეოდალური ტიპის სახელმწიფოსა და სამართალთან დაკავშირებული თეორიული დებულებები აგებულია მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითებზე, მაშინ როდესაც საჭირო იყო აზიის ფეოდალური სამართლის სისტემების გამოყენებაც.

კურსის განხილვის ყველა მონაწილემ ხაზი გაუსვა ობიექტურის შექმნის უადრესად დიდ მნიშვნელობას საბჭოთა იურიდიული მეცნიერებისათვის, ყველა სამართლებრივი დისციპლინის შემოქმედებითი განვითარებისათვის.

ობიექტურული კურსის ავტორთა კოლექტივის სახელით განხილვის მონაწილეებს პასუხი გასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა—იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ე. დუჟაშევამ, რომელიც დაეთანხმა მთელ რიგ შენიშვნებს, განმარტა სადისკუსიო საკითხში ავტორთა კოლექტივის პოზიცია და დაუსაბუთებლად ჩათვალა ზოგიერთი კრიტიკული გამოსვლა.

25 ოქტომბერს სამეცნიერო-საყოორდინაციო თათბირზე დღის წესრიგის მეორე საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა პროფ. გ. ინწკირველმა „სახელმწიფო და დემოკრატია განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში“. მომხსენებელმა ვრცლად და ღრმად გაანალიზა სოციალისტური დემოკრატიის ძირითადი მიმართულება თანამედროვე პერიოდში და გამოთქვა მთელი რიგი საინტერესო თეორიული დებულებები და პრაქტიკული რეკომენდაციები სოციალისტური დემოკრატიზმის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებისა და პრინციპების სრულყოფის მიზნით. მოხსენებაში კერძოდ, საინტერესოდ იყო გაშუქებული საკითხი, საბჭოების როლის ამოღების, საარჩევნო სისტემის სრულყოფის, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ავტორმა წამოაყენა ზოგიერთი ახალი დებულება დემოკრატიისა და სამართლის, დემოკრატიისა და კანონიერების ურთიერთობის, უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ინსტიტუტების იურიდიული გარანტიების შესახებ და ა. შ. მომხსენებელმა მკაფიოდ უჩვენა საბჭოთა დემოკრატიის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამუშავების მნიშვნელობა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის, ჩვენ იდროლოგიურ მოწინააღმდეგეებთან წარმატებითი ბრძოლის ამოცანებისათვის.



მოსხენების გარშემო გამართული კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს მოსხენების მაღალი მეცნიერული დონე, თეორიული დებულებების ორგანული დაკავშირება მეცნიერულად დასაბუთებულ პრაქტიკულ რეკომენდაციებთან, მოსხენებაში სოციოლოგიური გამოკვლევების, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და ისტორიის მასალების გამოყენება.

ამავე დროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი **ბ. სტრაშუნი** თავის გამოსვლაში შეჩერდა საბჭოთა საარჩევნო სისტემის საკითხებზე და წამოაყენა წინადადება, რომ საჭიროა საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციების გამოცდილების გამოყენება. მან მოიყვანა საარჩევნო სამართლის დარგში სოციალისტური ექსპერიმენტების მონაცემები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

პროფესორმა მ. მელიქოვამ თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია სოციალისტური სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრობლემების ისეთ ასპექტს, რომლებმაც ჭერჯერობით სათანადო გაშუქება ვერ ჰპოვა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. სახელდობრ, საკითხი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთიანობის შესახებ, რაც მოითხოვს სოციალისტური დემოკრატიის განხილვას მის განუშლადებებაში სახელმწიფოს ნებითი მოქმედებების მეშვეობით სხვადასხვა, პოლიტიკური და სამართლებრივ დაწესებულებებში (პიროვნების უფლებებრივ სტატუსში, პოლიტიკურ რეჟიმში და სხვა), ასეთივე პრობლემას წარმოადგენს „პიროვნება — სახელმწიფოს“-ს ურთიერთობის მექანიზმი, სახელმწიფოსა და არასამართლებრივი ნორმების ურთიერთობა და სხვ.

დოც. ზ. კასუშოვამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თანამედროვე პერიოდში სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ერთერთ მთავარ ტენდენციას წარმოადგენს წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის შეხამება. ხალხის ნების გამოვლინების ამ ორი ფორმის თავის გამოხატულებას ასრულებს სახელმწიფო ორგანოების შექმნასა და საქმიანობაში, სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების შემუშავებაში, კანონების შესრულებაში და ა. შ.

დოც. მ. ალტმანმა ხაზი გაუსვა მოქალაქეთა უფლებების იურიდიული გარანტიების შემდგომ სრულყოფას როგორც კონსტიტუციურ დონეზე, ასევე მიმდინარე კანონმდებლობის წესითაც.

პროფ. გ. მანოვი წამოაყენა მთელი რიგი

დებულებები კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების როლის შესახებ საბჭოთა დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების ფუნქციონირების სფეროში.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ვაჭაბოვი** შეეხო საბჭოთა საარჩევნო სისტემის შემდგომი სრულყოფის ცალკეულ კონკრეტულ საკითხებს.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს პროფ. **გ. მანოვის** გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ ოთხტომეულის კურსისა და სოციალისტური დემოკრატიის საკითხების განხილვა მოწმობს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და საბჭოთა სახელმწიფო სამართალში სამეცნიერო მუშაობის დონის ამაღლებაზე. მან დამსწრეთ ვაცნო აგრეთვე საკუთრივ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ზოგადი თეორიის სექტორის გამოკვლევათა ძირითადი მიმართულებები.

სამეცნიერო-საკოორდინაციო თათბირის შედეგები შეაჯამა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა **ტ. კაფაროვმა**. მან მაღალი შეფასება მისცა განხილულ ოთხტომეულს და ხაზი გაუსვა განხილვის მონაწილეთა გამოსვლების სერიოზულ და ღრმად მეცნიერულ ხასიათს. მოხსენება და გამოსვლები მეტყველებს სამართლის ზოგადი თეორიისა და საბჭოთა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების დიდ წარმატებებზე, ამავე დროს, სწორი და რეგულარული კოორდინაცია ამ დარგში წარმოადგენს, ახალი მეცნიერული პრობლემების დამუშავების აუცილებელ პირობას. სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციაში კი იგულისხმება მეცნიერთა კოოპერირებისა და თანამეგობრობის მრავალგვარი ფორმები, რომლებიც ჭერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოყენებული. პროფ. **ტ. კაფაროვი** შეეხო იმ მუშაობას, რომელიც აზერბაიჯანში წარმოებს სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიისა და საბჭოთა სახელმწიფო სამართლის დარგში და წამოაყენა კონკრეტული ღონისძიებანი ამიერკავკასიისა და მოსკოვის მეცნიერთა მუშაობის კოორდინირებისათვის.

განხილულ საკითხებზე სამეცნიერო-საკოორდინაციო თათბირმა მიიღო ვრცელი დადგენილება. თათბირმა აგრეთვე ერთხმად დაუჭირა მხარი წინადადებას ოთხტომეულის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიაზე წარდგენის შესახებ.

დოც. მ. ალტმანი

საგარეო-პრაქტიკული კონფერენცია

შარშან 18-19 ოქტომბერს საქართველოს სსრ პროკურატურაში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის ამაღლების ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ტაყაიძემ. რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გატარებული პრინციპული და სერიოზული ღონისძიებები მითხოვს გაუმჯობესებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, იუსტიციის და სასამართლო ორგანოების წინაშე დასახულია ამოცანა-ძირეულად გარდაქმნა თავიანთი მუშაობა, დაამყარონ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი და განამტკიცონ კანონიერება.

ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში, მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაში, დიდი როლი ენიჭება სასამართლობაში სახელმწიფო ბრალდების როლის გაძლიერებას, მისი ხარისხის ამაღლებას. ყოველივე ეს განაპირობებს ამ კონფერენციის მნიშვნელობასა და აქტუალობას.

სახელმწიფო ბრალდების მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყველა ღონისძიებით შეუწყოს ხელი სასამართლოში საქმის მასალების სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას, კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის გამოტანას.

შემდეგ ა. ტაყაიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ პროკურორმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა სამსჯავრო გამოძიებაში, მოხერხებულად აწარმოოს პოლემიკა თავის პროცესუალურ მოწინააღმდეგეებთან, შეაფასოს საქმის მასალები თავისი შინაგანი რწმენის მიხედვით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქმის გარემოებების სრულ და ყოველმხრივ შესწავლას.

ამხ. ა. ტაყაიძემ აღნიშნა, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობაში არის ნაკლოვანებები. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფაქტები, როცა პროკურორები სუსტად ემზადებიან სასამართლო პროცესისათვის, ზერელედ სწავლობენ საქმის მასალებს, არ უკეთებენ განსახილველ დანაშაულს ღრმა იურიდიულ ანალიზს.

მოხსენებით თემაზე — სახელმწიფო ბრალდების მონაწილეობა სამსჯავრო გამოძიებაში

— გამოვიდა სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრი პ. კულდრაივეცი.

სამსჯავრო განხილვა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — სისხლის სამართლის პროცესის მთავარი სტადიაა, სამსჯავრო გამოძიება კი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია სამსჯავრო განხილვისა, ხოლო მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეიროვნება — ცენტრალური ნაწილი სამსჯავრო გამოძიებისა. პროკურორის აქტიური და ქმედითი მონაწილეობა სამსჯავრო გამოძიებაში გულისხმობს: სასამართლო პროცესისათვის გულმოდგინედ მზადებას, კანონის და უკლებლივ საქმის ყველა მასალების კარგად ცოდნას. მტკიცების ტვირთი პროკურორს აწევს და არა განსასჯელს. სამსჯავრო გამოძიება ეყრდნობა წინასწარი გამოძიების მიერ შეგროვილ მასალებს, მაგრამ სასამართლო არ არის შეზღუდული გამოითხოვოს ახალი მასალები, შეავსოს გამოძიების მიერ შეგროვილი მტკიცებულებები.

ამიტომ პროკურორიც არ უნდა შეზღუდოს მხოლოდ იმ მასალებით, რომლებიც სასამართლომდე შეკრება წინასწარმა გამოძიებამ. მას უფლება არა აქვს ამტკიცოს, თითქოს წინასწარი გამოძიება ყველაფერში მართალია, ხოლო შემდეგ მოპოვებული მტკიცებულებანი ყოველთვის ყალბია.

პ. კულდრაივეცივს აზრით, უმჯობესია სამსჯავრო გამოძიება დაიწყოს განსასჯელის დაკითხვით. მიზანშეწონილია, რათა დაკითხვა დაიწყოს პროკურორმა.

პროკურორი კარგად უნდა იცოს მომზადებული თეორიულად, მან უნდა იცოდეს მტკიცებულებათა თეორია. სამსჯავრო გამოძიების დროს მოპოვებულ ფაქტებს პროკურორმა აუცილებელია მისცეს არა მარტო იურიდიული, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასებაც.

სამსჯავრო გამოძიებაში პროკურორის აქტიური და საქმიანი მონაწილეობა, — თქვა დასასრულს პ. კულდრაივეციმა — განსაზღვრავს სახელმწიფო ბრალდების დონეს, წარმოადგენს მხარეთა კამათისათვის პროკურორის მომზადების მთავარ პირობას, რომლითაც ლოგიკურად უნდა დასრულდეს მტკიცებულებათა გამოკვლევა.

სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭედა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე — ასეთი იყო საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ა. შუშანაშვილის მოხსენების თემა.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება — აღნიშნა ა. შუშანაშვილმა — კომუნისტური პარტიის საპროკურორო მითხოვნა. სოციალისტური კანონიერების



უმჯავრეს დაცვას, მტკიცე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის დამყარებას, საბჭოთა კანონების ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრას ამ ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა. ჩვენ დიდ კმაყოფილებას გვგვრის და ბევრს გვაგალებს ის გარემოება, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მიღებული სახელმძღვანელო პარტიულ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით ხაზგასმულია პროკურატურის როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამწუხაროდ პროკურატურის ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ სრულად არ პასუხობს ამ დიდ მოთხოვნებს.

ამს. ა. შუშანაშვილმა შემდეგ ხაზი გაუსვა იმას, რომ მრავალმხრივია პროკურატურის საქმიანობა სახელმწიფო ბრალდების მხარდასაჭერად და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის კანონიერებაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად. მომხსენებელმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ მხრივ სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნიათ. მოხსენებაში გაიხაზილებული იყო ყურადღება სასამართლო პროცესის კულტურაზე, აღინიშნა, რომ სახელმწიფო ბრალმდებლები სპეციალურად უნდა შეირჩეს და რომ საჭიროა მათი სავანებოდ მომზადება. სახელმწიფო ბრალმდებლებს არა აქვთ მშობლიურ ენაზე ლიტერატურა ბრალდების მხარდაჭერის საკითხებზე, არ არის შესწავლილი საუკეთესო ბრალმდებელთა გამოცდილება, არ გამოიყენება საბრალდებო სიტყვათა კრებული. ეს საკითხები, მომხსენებლის თქმით, ამჟამად რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია და იმედია, უახლოეს მომავალში მდგომარეობა გამოსწორდება.

დასასრულ ა. შუშანაშვილმა წამოაყენა რამდენიმე წინადადება, რომლებიც შეეხება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას სასამართლოში.

სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვა — ასეთი იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **მ. რაგინსკის** მოხსენების თემა. საბრალდებო სიტყვით — თქვა **მ. რაგინსკიმ**, — მთავრდება მრავალმხრივი, რთული და პასუხსაგები საქმიანობა პროკურორის სასამართლოში. პროკურორი თავის სიტყვაში აჯამებს სასამართლოს მიერ შეკრებილ და შემოწმებულ მტკიცებულებებს, მრავალმხრივი, რთული და ობიექტური ანალიზის საფუძველზე აკეთებს საქმეზე საბოლოო დასკვნებს. პროკურორი მხარს უჭერს ბრალდებას სახელმწიფოს სახელით და გამოდის საბრალდებო სიტყვით, როცა დარწმუნდება, რომ განსაკუ-

ლის ბრალეულობა უეჭველად დამტკიცებულა. თუ პროკურორი შივა იმ დასკვნამდე, რომ სამსჯავრო გამოძიების მონაცემები საკმარისი არ არის განსასჯელის ბრალეულობის დასადგენად, იგი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე და ახსნას ამის მოტივები. **მ. რაგინსკიმ** გაილაშქრა იმ დებულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით პროკურორის მხრივ ბრალდებაზე უარის თქმა სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი. ეს ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

მომხსენებელმა შემდეგ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროკურორის სიტყვა უნდა დაეხმაროს სასამართლოს აღმზრდელი ფუნქციების განხორციელებაში, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს დანაშაულის პროფილაქტიკის საქმეში.

მომხსენებლის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი **ნ. ჭელიძე**, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე **დ. ლენსვა**, სამტრედიის რაიონის პროკურორი **ჯ. კვაბაძე**, ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე **ი. მახარაძე**, ქ. ქუთაისის პროკურორი **ა. ბარაბაძე**, საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლის სამართლის სასამართლო განყოფილების პროკურორი **ა. თადუმაძე**, ქარელის რაიონის პროკურორი **ა. ჯოხაძე**, აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე — **ვ. არშვა**, თელავის რაიონის პროკურორი **ტ. მეტრეველი**, დუშეთის რაიონის პროკურორი **მ. მამუჩაშვილი**, ქ. თბილისის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი **ზ. მუსრანელი**.

„სამსჯავრო პროცესის ფსიქოლოგია“ და „ქართული მეტყველების კულტურა“ — ამ თემებზე კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრნენ პროფესორი **შ. ჩხარტიშვილი** და დოცენტი **ი. გაგინიშვილი**.

ნიურნბერგის პროცესის მონაწილე პროფესორი **მ. რაგინსკი** დამსწრეთ ესაუბრა ამ პროცესის მნიშვნელობაზე.

დასასრულ ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „ნიურნბერგის პროცესი“.

699/74



შპს 50 333.

ИНДЕКС 70185

საბჭოთა სამართალი № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР